



ავტორის შესახებ

## ზიგმუნდ ფრიდი

1856 - 1939

ავსტრიელი ნევროლოგი, ფსიქოანალიტიკური სკოლის დამფუძნებელი. ფროიდმა ცხოვრების დიდი ნაწილი ვენაში გაატარა, ამიტომ მისი სახელი მჭირდოდაა დაკავშირებული ამ ქალაქთან. ცხოვრების ბოლოს, ნაცისტებისაგან დევნილს, ლონდონში მოუხდა გადასახლება, სადაც გარდაიცვალა 1939 წელს.

ფროიდის ფსიქოანალიტიკური კონცეფცია ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. ფსიქიკურ მოვლენებს აქვთ საზრისი. ისინი არ ხდება შემთხვევით, მექანიკურად — თუ შეცდომით ვამბობ სახელს, არასწორად ვწერ სიტყვას, ვხედავ აბსურდულ სიზმარს, სახლში მრჩება გასაღები — ყოველივე ამას აქვს საზრისი, რომლის ახსნაც შეიძლება;
2. ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიმდინარეობს არაცნობიერად; ძალიან ხშირად არ ვიცით, რა გვამოძრავებს, რატომ განვიცდით ამა თუ იმ ემოციას, რატომ ვმოქმედებთ ასე და არა — სხვაგვარად. იმიტომ, რომ ცნობიერება ჩვენი ფსიქის მხოლოდ მცირე ნაწილია. ჩვენს ფსიქიკურ ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს არაცნობიერი ასრულებს. როგორც ფროიდი აჯამებს, „ჩვენ არ ვართ ბატონ-პატრონები საკუთარ სახლში“.

ფსიქოანალიტიკური თეორიის ეს ორი პრინციპი, ისევე როგორც ანალიზის სხვადასხვა ტექნიკა, რომელთა საშუალებითაც არაცნობიერის აღმოჩენა შეგვიძლია, ფროიდმა გადმოსცა შრომებში: „სიზმრების ინტერპრეტაცია“ (1900), რომელშიც სიზმარი განხილულია როგორც „სამეფო გზა არაცნობიერისაკენ“; „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია“ (1901) — ავტორი ასაბუთებს, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავლენს არაცნობიერ მოტივაციათა კვალს; „სამი ესე სექსუალობის თეორიის შესახებ“ (1905) — აქ ფროიდი გადმოსცემს სექსუალობის შესახებ საკუთარ თეორიას, რომლის ცენტრშიც დგას ოიდიპოსის კომპლექსი — ეროტიკულ-აგრესიულ ლტოლვათა ერთობლიობა, რომელსაც ბავშვი განიცდის საკუთარი მშობლების მიმართ.

ფროიდის დიდი მნიშვნელობა აზროვნების ისტორიაში დაკავშირებულია აგრეთვე მის მიერ ნორმასა და ნორმიდან გადახრას შორის კავშირის ახლებურად გააზრებასთან. თუ ფროიდამდე არანორმალური ქცევა განიხილებოდა მოვლენად, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ნორმასთან, მისი დამსახურებაა იმ კანონზომიერებათა ძიე-

ბა, რომლებიც საფუძვლად უდევს როგორც ნორმალურ, ისე არანორმალურ ფსიქიკურ პროცესებს. ამით მკვლევარმა დასაბამი მისცა ფსიქიკური დაავადებების, საზრისის მქონე ფენომენებად განხილვას.

20-იან წლებში ფროიდმა ფსიქიკის ახალი სქემა შეიმუშავა, რომელიც სამნაწილიანია: **იგი** (გერმ. *Es*, ინგ. *Id*), **მე** (გერმ. *Ich*, ინგ., *Ego*) და **ზე-მე** (გერმ. *Über-Ich*, ინგ., *Super-ego*). ეს სქემა ადამიანის ფსიქიკის წარმოდგენის კიდევ ერთი მცდელობაა, ის ავსებს უფრო ადრინდელ, ასევე სამნაწილიან სქემას, რომელიც ცნობიერისაგან, წინარეცნობიერისაგან და არაცნობიერისაგან შედგებოდა.

ფროიდი შეეცადა, საკუთარი ფსიქოანალიტიკური თეორია გამოეყენებინა კულტურისა და საზოგადოების ზოგადი თეორიის ასაგებად. ამას მიუძღვნა შემდეგი შრომები: „ტოტემი და ტაბუ“ (1913), „ერთი ილუზიის მომავალი“ (1927), „კულტურით დაუკმაყოფილებლობა“ (1929) და სხვ., რომლებშიც მოცემულია სოციალური ინსტიტუტების გენეზისის ახსნის მცდელობა.

ფროიდის კონცეფციამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ XX საუკუნის ფსიქოლოგიასა და, ზოგადად, თეორიულ აზროვნებაზე, არამედ ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაზეც. ფროიდის თეორიისაგან დავალებულ თეორეტიკოსთა და შემოქმედთა სიაში არიან: კარლ-გუსტავ იუნგი, ჰერბერტ მარკუზე, კლოდ ლევი-სტროსი, სალვადორ დალი, ჯეიმზ ჯონსი, თომას მანი, დ. ჰ. ლოურენსი, ალფრედ ჰინკო, ვუდი ალენი და მრავალი სხვა.

\* \* \*

# ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგიის შესახებ

თავი პირველი

## საკუთარ არსებით სახელთა დაცილება

„ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის ყოველთვიური ჟურნალის“ 1898 წ. გამოცემაში გამოვაჩვეუნე პატარა სტატია სათაურით „გულმავინყობის ფსიქიური მექანიზმისათვის“, რომლის შინაარსს აქაც გავიმეორებ და შემდგომი მსჯელობისას მასვე დავეყრდნობი. იქ მე ფსიქოლოგიურად გავანაალიზე საკუთარი არსებითი სახელების დროებითი დავინყების ხშირი შემთხვევა, ვიშველიებდი რა ჩემი თვითდაკვირვებიდან აღებულ ზედგამოჭრილ მაგალითს. დავასკვენი, რომ ერთერთი ფსიქიური ფუნქციის — გახსენების მოშლის ეს ჩვეულებრივი და პრაქტიკულად არც თუ ისე ძალიან მნიშვნელოვანი ერთეული შემთხვევა ახსნა-განმარტების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფენომენის ჩვეულებრივი ამოკითხვა-ამოშიფრის ფარგლებს სცილდება თუ ძალიან არ მეშლება ალბათ ფსიქოლოგისათვის რომ ახსნა გეკითხათ, რატომ ხდება, რომ ვიღაც ასე ხშირად ცერ იხსენებს მისთვის ნაცნობ სახელსო, იგი დაკმაყოფილდებოდა პასუხით, რომ საკუთარი სახელების დავინყება უფრო იოლად ხდება, ვიდრე სხვაგვარად დამახსოვრებული შინაარსისა. იგი დამაჯერებლად დაასაბუთებდა საკუთარი სახელების ამგვარ გამორჩეულობას, თუმცა პროცესის სხვაგვარ პირობითობას ვერ ივარაუდებდა.

ჩემთვის სახელების დროებითი დავინყების ფენომენის საფუძვლიანი შესწავლის საბაბი გახდა კონკრეტულ დეტალებზე დაკვირვება, თუმცა ისინი ყველაში არა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში საკმაოდ ნათლად ჩანს. ამგვარ შემთხვევებში ხდება არა მარტო დავინყება, არამედ არასწორი გახსენება. დავინყებული სახელის მაგიერ ადამიანის ცნობიერებაში ჩაენაცვლება სუროგატი სახელები (*Ersatzname*), რომლებიც მაშინვე აღიქმება როგორც არასწორი, თუმცა ისევ და ისევ ხდება მათი აკვიატება. საჭირო სახელის რეპროდუქციის მაგიერ საქმე გვაქვს პროცესის არევასთან და ხდება არასწორი ჩანაცვლება. ჩემი ვარაუდით ეს არევა ფსიქიური თვითნებობით კი არ ხდება, არამედ კანონზომიერი და გამოთვლადი გზით მიმდინარეობს. სხვაგვარად რომ ვთქვა, მე ვვარაუდობ, რომ ერთი ან რამდენიმე სათადარიგო სუროგატი სიტყვა საჭირო სიტყვასთან აშკარა კავშირშია, რომლის კვალის მიგნება შესაძლებელია,

და ვიმედოვნებ, თუ მოვახერხებ, ეს კავშირი დავადასტურო და ნათელი მოვფინო სახელების დავიწყების პროცესს.

1898 წელს ჩემს მიერ გასაანალიზებლად შერჩეულ მაგალითში, ორვიეტოს ტაძრის დიდებული ფრესკების — „ჯოჯონეთი და მკაცრი სამსჯავრო“-ს შემქმნელი ოსტატის სახელი, ვერა და ვერ მოვიგონე. სასურველი გვარის სანაცვლოდ — სინიორელი (*Signorelli*) ამეკვიატა ორი სხვა მხატვრის გვარი — ბოტიჩელი და ბოლტრაფიო, რომლებიც მაშინვე და გარკვევით უარყავი, რადგან ვიცოდი, რომ არასწორი იყო. როცა სხვისგან მოვისმინე სწორი გვარი, მაშინვე და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გამახსენდა იგი. იმის გამოკვლევამ, თუ რამ იქონია გავლენა და რა ასოციაციური გზებით მოხდა რეპროდუქციის ამგვარი არევა — სინიორელი ბოტიჩელითა და ბოლტრაფიოთი, მიგვიყვანა შემდეგ შედეგებამდე:

ა) სინიორელის გვარის დავიწყების მიზეზი არც თავად ამ გვარის განსაკუთრებულობაში და არც იმ კონტექსტის ფსიქოლოგიურ ხასიათშია საძიებელი, რომელშიც იგი იყო ჩართული. დავიწყებული გვარი ჩემთვის ისევე ნაცნობი იყო, როგორც ერთერთი ჩანაცვლებული გვარი — ბოტიჩელი და გაცილებით უფრო მეტად ნაცნობი, ვიდრე მეორე ჩანაცვლებული გვარი — ბოლტრაფიო, რომლის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ იგი მიღანის სკოლის წარმომადგენელი იყო. ის კონტექსტი კი, რამაც განაპირობა გვარის დავიწყება, უმნიშვნელოდ მეჩვენება და შემდგომ ახსნა-განმარტებას ვერ იძლევა: უცხო ადამიანთან ერთად ერთ ვა-გონში მოვხვდი. დალმათიაში ყოფნისას რაგუზადან მოვემზავრებოდი ჰერცოგოვინას ერთ-ერთი სადგურისაკენ საუბარში ვახსენეთ იტალიაში მოგზაურობა. ჩემს თანამგზავრს ვკითხე, იყო თუ არა ნამყოფი ორვიეტოში და უნახავს თუ არა იქ იმისი ... ცნობილი ფრესკები.

ბ) გვარის დავიწყება მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, როცა მახსენდება იმ საუბრის წინმსწრები თემა და აღიქმება როგორც ახლად აღმოცენებული, წამოჭრილი თემის შეფერხება წინმსწრები თემით.


სანამ ჩემს თანამგზავრს ვკითხავდი, იყო თუ არა ნამყოფი ორვიეტოში, ცოტა ხნით ადრე ჩვენ ვსაუბრობდით ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მცხოვრები თურქების ზნე-ჩვეულებებს. მე მას მანამდე ვუამბე, რაც მოსმენილი მქონდა თურქებთან მომუშავე ერთ-ერთი კოლეგისგან, როგორი პატივისცემით და ნდობით ეპყრობიან ისინი ექიმს და მთლიანად ემორჩილებიან ბედს. როცა ისინი იგებენ რომ ავადმყოფის საშველი არ არის, ასე პასუხობენ: „ბატონი (*Herr*) რაღა გვეთქმის? ვიცი გადასარჩენი რომ იყოს შენ მას გადარჩენდი!“ — აქვე ამ წინადადებებში ვპოულობთ სიტყვებსა და სახელებს: ბოსნია, ჰერცეგოვინა, ღმერთი რომლებიც სინიორელი და ბოტიჩელი — ბოლტრაფიო ასოციაციურ ჯაჭვში ხვდება.

გ) ვვარაუდობ, რომ ჩემმა აზრმა ბოსნიელი თურქების ზნე-ჩვეულებებზე იმიტომ შეძლო წინამორბედ ფიქრთა მსვლელობის შეფერხება, რომ მე მანამდე გადავიტანე მისგან ყურადღება, სანამ ბოლომდე დავასრულებდი აზრს. სახელდობრ მახსენდება, რომ ვაპირებდი მეორე ამბის მოყოლას, რომელიც პირველთან ერთად იქვე ამომიტივტივდა მეხსიერებაში. ეს თურქები ყველაზე მეტად აფასებენ სექსუალურ განცხრომას და სქესობრივი დარღვევების შემთხვევაში

სასონარკვეთილებაში ვარდებიან, რაც გასაოცრად უპირისპირდება სიკვდილის საშიშროები-სადმი გულგრილობას. ერთერთ პაციენტს ჩემი კოლეგისთვის უთქვამს: „შენ ხომ იცი, ბატონო (Heer), თუ ეს საქმე ანი ვეღარ გამომივა, მაშინ სიცოცხლეს ფასი აღარ აქვს“ მათთვის დამახა-სიათებელ თვისებაზე ლაპარაკი შეწყვიტე, რადგან არ მინდოდა უცხო ადამიანთან ამ თემაზე მესაუბრა. თუმცა უფრო მეტი მომივიდა; ჩემი ყურადღება „სიკვდილისა და სექ-სუალობის“ თემიდან სხვაზე გადავიტანე. რამდენიმე კვირით ადრე, ტრაფორმი ჩემი ხანმოკლე ვიზიტისას, ერთი ამბავი შევიტყვე, რომელმაც ჩემზე იმოქმედა. პაციენტმა, რომელსაც მე დიდი ჯაფა და ენერგია შევალიე, განუკურნებული სექსუალური დარღვევის გამო თავი მოიკლა. ნამდვილად ვიცი, რომ ჰერცოგოვინაში იმ მოგზაურობისას ეს სამწუხარო ამბავი და ყველაფერი, რაც ამას-თან იყო დაკავშირებული შეგნებულად არ გამსხენებია. მაგრამ ტრაფორმისა და ბოლტრაფორმის ერთმანეთთან დაკავშირება მაფიქრებინებს, რომ მაშინ ამ რემინისცენციამ ჩემზე იმოქმედა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტზე განზრახ მოვადუნე ყურადღება.

დ) სინიორელის გვარის დავინწყებას ანი როგორც შემთხვევით მოვლენას ვეღარ გან-ვიხილავ. უნდა ვაღიარო ამ პროცესში მოტივის გავლენა. არსებობდა მოტივები, რომლებიც მაიძულებდნენ ფიქრები (თურქების ზნე-ჩვეულებებზე და ა.შ.) არ გადმომეცა და შემდეგშიც მასთან დაკავშირებული აზრები, რომელსაც შეიძლებოდა ტრაფორმის ამბამდე მივეყვანე, ჩემში გაცნობიერებამდეგამომერიცხა. ე.ი. მემინდოდარალაცის დავინწყება, რაღაც განვდევნე. ყოველ შემთხვევაში სხვა რამის დავინწყება მინდოდა, ვიდრე ორვიეტოს ოსტატის გვარის, მაგრამ ამ სხვამ გამოიწვია იმის სახელთან ასოციაციური კავშირი, ასე რომ ჩემი სურვილის გამოხატვის აქტი მიზანს ასცდა და მე სურვილის სანინაალმდეგოდ ერთი რამე დამავინწყდა, მაშინ როცა მეორეს დავინწყება განზრახ მინდოდა. მოგონებისადმი არასასურველი დამოკიდებულება მიმართულ იქნა ერთი შინაარსის წინააღმდეგ; გახსენების უუნარობამ გადმოინაცვლა წინ. ალბათ უფრო მარტივი შემთხვევა იქნებოდა გახსენებისადმი არასასურველი დამოკიდებულება (ანტიპათია) და უუნარობა ერთი და იგივე შინაარს რომ შეეხებოდა. — სუროგატი სახეები ახლა უკვე აღარ მეჩვენება აბსოლუტურად გაუმართლებლად, როგორც ესიყოახსნა-განმარტებამდე; ისინი ასევე მიმანიშნებენ (კომპრომისის სახით) იმაზე, თუ რისი დავინწყება და რისი გახსენება მინდოდა და აღმოჩნდა, რომ ჩემი განზრახვა, რაღაც დამევინწყებინა, არც მთლად გამომივიდა და არც თუ მთლად ჩამეფუშა.

ე) ძალზე თვალშისაცემია კავშირი, რომელიც დამყარდა სასურველ სახელსა და განდევნილ (სიკვდილისა და სექსუალობის და ა.შ.) თემას შორის, სადაც სახელები ბოსნია, ჰერცოგოვინა, ტრაფორმი გვხვდება. 1898 წლის სტატიიდან გადმოტანილი სქემა თვალნათლივ გვიჩვენებს ამ კავშირს.



სინიორელის გვარი ამასთან ორ ნაწილად გაიყო. მარცვალთა ერთი ნუკილი უცვლელად განმეორდა ჩანაცვლებულ სუროგატ გვარში (*elli*), მეორე ნუკილმა თარგმნის მეშვეობით *Signor* - *Herr* შეიძინა მრავალჯერადი და სხვადასხვაგვარი მიმართება განდევნილ თემაში მოხსენიებულ სახელებთან, სწორედ ამის გამო აღარ მოხდა მისი რეპროდუქცია. მისი ჩანაცვლება ისე მოხდა „ჰერცეგოვინასა და ბოსნიის“ სახეთა კავშირის მსგავსად, რომ არ მომხდარა აზრისა და მარცვალთა აკუსტიკური გამიჯვნა. ამ პროცესში სახელების ისეთი გამოყენება მოხდა, როგორც რებუსის ასოებისა, სინიორელის გვარის მაგირ ამგვარი გზით სუროგატი სახელების შექმნის მთელი ამ პროცესის შესახებ ცნობიერებას ინფორმაცია არ მოუღია.

თავდაპირველად ძნელი მისაგნებია კავშირი სინიორელის გვართან დაკავშირებულ თემასა და მის წინმსწრებ განდევნილ თემას შორის, რაც მსგავსი მარცვლების ხელახალ დაბრუნებას სცილდება. ზედმეტი არ იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ფსიქოლოგების მიერ ნავარაუდები რეპროდუქციისა და დავიწყების პირობები, რომელთა მოძიება ხდება გარკვეულ ურთიერთ-კავშირსა და განწყობილებაში, ზემოთაღნიშნული განმარტების გამო წინააღმდეგობას არ აწყდება. გარკვეული შემთხვევებისათვის ჩვენ, ყველა ამ კარგა ხნის წინ აღიარებულ მომენტებს, რასაც შეუძლია სახელის დავიწყებაზე იმოქმედოს, კიდევ ერთი მოტივიდავამატეთ და ამასთან არასწორი გახსენების მექანიზმი ავხსენით. ის დისპოზიციები (მიდრეკილებები) აუცილებელია ჩვენი შემთხვევისათვისაც, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ განდევნილმა (შევიწროებულმა) ელემენტმა ასოციაციურად იმძლავროს სასურველ სახელზე და შეავიწროვოს იგი. უფრო ხელსაყრელი რეპროდუქციის პირობების მქონე სხვა დანარჩენ სახელთან ეს აღბათ არ მოხდებოდა. ცხადია, რომ დათრგუნული ელემენტი მუდამ ცდილობს სადმე სხვაგან თავი იჩინოს, ამ წარმატებას კი მხოლოდ იქ მიაღწევს, სადაც მას შესაფერისი პირობები დახვდება. სხვა

შემთხვევებში შევიწროება ხდება ფუნქციის მოშლის გარეშე, ანდა მართებულად რომ ვთქვათ სიმპტომების გარეშე.

დავიწყებული სახელის არასწორი გახსენების პირობები დასკვნის სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1) მისი დავიწყებისადმი გარკვეული დისპოზიცია; 2) ცოტა ხნით ადრე წინმსწრები დათრგუნვის (*Verdrangung*) პროცესი; 3) კონკრეტულ სახელსა და მანამდე დათრგუნულ ელემენტს შორის გარეგნული ასოციაციის აღდგენის შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი პირობა აღბათ ძლიერ გადაჭარბებულად არ უნდა შევაფასოთ, რადგან ასოციაციაზე ოდნავი პრეტენზიების წაყენებისას მსგავსი ასოციაციის განხორციელება უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს.

სხვა და უფრო ღრმად მიმავალი საკითხია, ის რომ შეიძლება თუ არა ამგვარი გარეგნული ასოციაცია ნამდვილად საკმარისი პირობა იყოს იმისთვის, რომ შევიწროებული ელემენტი სასურველი სახელის რეპროდუქციას უშლიდეს ხელს. ხომ არ ხდება ორივე აუცილებელი თემის უფრო ახლო კავშირის არსებობა. ზერელე დაკვირვებისას ამ უკანასკნელი მოთხოვნის უარყოფის სურვილი გაჩნდებოდა და სავსებით შეუსაბამო შინაარსის შემთხვევაში დროითი მომიჯნაობა შეიძლებოდა საკმარისადაც კი ყოფილიყო მიჩნეული. საფუძვლიანი შესწავლისას სულ უფრო ხშირად ვაწყდებით, რომ გარეგნული ასოციაციით დაკავშირებულ ორივე ელემენტს (დათრგუნულს და ახალს) გარდა ამისა შინაარსობრივი კავშირიც გააჩნია და სინიორელის მაგალითიც ამას ამტკიცებს.

სინიორელის მაგალითის ანალიზით მიღებული შედეგის მნიშვნელობა რასაკვირველია დამოკიდებულია იმაზე, მივიჩნევთ თუ არა ამ შემთხვევას ტიპურ თუ ცალკეულ მოვლენად. მე ამით ვამტკიცებ, რომ სახელების დავიწყება არასწორი გახსენებით საოცრად ხშირად ხდება ისე, როგორც ეს ჩვენ სინიორელის შემთხვევაში ავხსენით. რადგან მე ამ ფენომენს საკუთარ თავზე ვაკვირდებოდი, თითქმის ყოველთვის შემეძლო ზემოთ დასახელებული წესით ამეხსნა იგი, როგორც შევიწროებით მოტივირებული. გარდა ამისა ჩვენი ანალიზის ტიპური ბუნების სასარგებლოდ კიდევ სხვა შეხედულებაც უნდა მოვიშველიო. ჩემი აზრით სამართლიანი არ იქნებოდა არასწორი გახსენებით სახეების დავიწყების შემთხვევების პრინციპული გამიჯვნა იმათგან, როცა არასწორი სათადარიგო სახელები არ ჩაენაცვლება. ეს სათადარიგო სახელები მთელ რიგ შემთხვევებში სპონტანურად ჩნდებიან; სხვა შემთხვევებში, როცა ისინი სპონტანურად არ ამოტივტივდებიან შესაძლებელია მათი ამოტივტივება ყურადღების დაძაბვის წყალობით და ისინი კონკრეტულ კავშირს ავლენენ გაძევებულ ელემენტთან და საძიებელ სახელთან, თითქოს ისინი სპონტანურად იყონ აღმოცენებული. სათადარიგო სახელის გაცნობიერებისათვის როგორც ჩანს, ორი მომენტი არის გადამწყვეტი: ერთის მხრივ — ყურადღების დაძაბვა, მეორეს მხრივ — შინაგანი პირობა, რომელიც ფსიქიკურ მასალასთან არის მიბმული, მე შემეძლო ეს უკანასკნელი ასე თუ ისე, მეტი თუ ნაკლები სიადვილით მომეძიებია, რითაც ამ ორივე ელემენტს შორის საჭირო გარეგნული ასოციაცია წარმოიქმნებოდა. არასწორი გახსენებით სახელების დავიწყების შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება სათადარიგო სახელწარმოების

შემთხვევებს, რისთვისაც სწორედ „სინიორელის“ მაგალითის მექანიზმი მოქმედებს. თუმცა მე თავს უფლებას ვერ მივცემ ვამტკიცო, რომ სახელების დავიწყების ყველა შემთხვევა სახელ-დობრ ამ ჯგუფში უნდა შევიტანოთ. უდავოდ არსებობს სახელების დავიწყების შემთხვევები, რომლებიც გაცილებით უფრო მარტივად ხდება. ჩვენ საქმის მთელ არსს საკმაო სიფრთხილით წარმოვაჩინთ, როცა ვამბობთ: საკუთარი არსებითი სახელების უბრალო დავიწყების გვერდით არსებობს კიდევ ერთი დავიწყება, რომელიც განდევნით არის მოტივირებული.

## თავი მოორი

### უცხო სიტყვების დავიწყება

ჩვენი მშობლიური ენის ყოველდღიური ლექსიკური მარაგი, როგორც ჩანს, ნორმალური ფუნქციის ფარგლებში, დაზღვეულია დავიწყებისაგან. უცხო ენის სიტყვათა მარაგთან კი ჩვეულებრივ სხვაგვარად არის საქმე. მისი დავიწყებისადმი წინასწარი დისპოზიცია აშკარაა ყველა მეტყველების ნაწილებთან მიმართებაში, და ფუნქციის დარღვევის პირველი მაჩვენებელი თავს იჩენს ჩვენს განკარგულებაში მყოფი უცხო ენის სიტყვათა მარაგის არათანაბარზომიერებაში, ჩვენს საერთო მდგომარეობასა და გადაღლის ხარისხში. ეს გულმავიწყობა ვლინდება შემთხვევათა ერთ წყებაში იმავე მექანიზმით, რომელიც „სინიორელის“ მაგალითმა თვალნათლივ დაგვანახა. ამის დასტურად მოვიშველიებ ერთადერთ, თუმცა მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამორჩეულ ანალიზს, რომელიც ეხება ერთი ლათინური ციტატის არა არსებითი სახელის დავიწყების შემთხვევას. ნება მომეცით, ეს პატარა შემთხვევა წარმოვაჩინო სრულად და თვალსაჩინოდ.

გასულ ზაფხულს ვიმყოფებოდი საშვებულებო მოგზაურობაში და ნაცნობობა განვაახლე აკადემიური განათლების მქონე ერთ მამაკაცთან. მაშინვე მივხვდი, რომ წაკითხული ჰქონდა ჩემი ზოგიერთი ფსიქოლოგიური სტატია. როგორლაც საუბარი შეეხო ჩვენი საერთო მოდგმის სოციალურ მდგომარეობას. ამ პატივმოყვარე კაცმა სინაზული გამოთქვა იმის გამო, რომ მისი თაობა დაკრინებისკენ მიექანება, საკუთარ ნიჭს არ ანვითარებენ და თავიანთ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებენ. მან თავისი მგზნებარე სიტყვა დაასრულა ვერგილიუსის ცნობილი ლექსით, რომელშიც საბრალო დიდოს ენეასისადმი მიმართული შურისძიება მის შთამომავლობაზე გადააქვს: *Exoriare...*, უფრო სწორად, მას სურდა ეს ასე დაესრულებინა, თუმცა ციტატა ვერ გაიხსენა და ცდილობდა დავიწყებით გამოწვეული აშკარა ჩავარდნა სიტყვების გადაადგილებით დაეფარა: *Exoriare(e) ex nostris ossibus ulti!* ბოლოს გაბრაზებულმა თქვა: „ნუ გაქვთ ასეთი დამცინავი სახე, თითქოს ჩემი დაბნეულობდით ხარობდეთ, უმჯობესია შემომეშველეთ. ლექსს რაღაც აკლია. როგორ არის სინამდვილეში?“

სიამოვნებით, მივუგე მე და ციტატა სწორად წარმოვთქვი:

*Exoriar(e) a liquis nostris ossibus ulti!*

„რა სისულელეა ამგვარი სიტყვის დავიწყება! სხვათაშორის, თქვენგან გამიგია, რომ უსაფუძვლოდ არაფრის დავიწყება არ ხდება. ძალიან მაინტერესებს გავიგო, რატომ დამავიწდა ეს განუსაზღვრელი ნაცვალსახელი *aliquis*“.

მე ეს გამოწვევა სიამოვნებით მივიღე, რადგან ჩემი კოლექციის გამდიდრების იმედი მქონდა. მე მას ვუთხარი: ახლავე გავარკვევთ. ერთი რამ მინდა გთხოვოთ მხოლოდ, ყველაფერი გულწრფელად და კრიტიკის გარეშე მითხრათ, რა გახსენდებათ, როცა თქვენ ყოველგვარი განზრახვის გარეშე მთელი ყურადღება დავიწყებულ სიტყვაზე გადაგაქვთ<sup>1</sup>.

„მაშ კარგი, ამ დროს სასაცილო აზრი მებადება, ეს სიტყვა შემდეგნაირად დავყო: *a da liquis*“. რას ნიშნავს ეს? — „არ ვიცი“. — მერე კიდევ რა აზრი გებადებათ? — „ეს ამგვარად გრძელდება: *Reliquien – Liquidation – Flüssigkeit* (სითხე) – *Fluid* (თხიერი საშუალება). ახლა ხვდებით?“

ვერა, ჯერ ვერა, განაგრძეთ.

„მახსენდება, განაგრძო მან დაცინვით, ტრენტოელი სიმონი, რომლის რელიქვიები ტრენტოს ერთ-ერთ ეკლესიაში ვნახე თრი წლის წინ. ვფიქრობ სისხლიან ბრალდებაზე, რასაც სწორედ ახლა ისევ ებრაელებს უყენებენ, კლაინპაულის (*Kleinpaul*) ნაშრომზე, რომელიც ყველა ამ მოჩვენებით მსხვერპლებში ინკარნაციებს, ასე ვთქვათ, მხსნელის ახალ ვარიანტს ხედავს“.

ეს უეცარი აზრი გარკვეულ კავშირშია თემასთან, რომელზეც ვსაუბრობდით, ვიდრე თქვენის ლათინური სიტყვა ამოგივარდებოდათ მეხსიერებიდან.

„სწორია. გარდა ამისა, მაგონდება ერთერთ იტალიურ უურნალში ახლახან წაკითხული სტატია. მე მგონი ასეთი სათაური ჰქონდა: რას ამბობს წმ. აუგუსტინუსი ქალების შესახებ.

ამას რა ახსნას მოუძებნით?“

ველოდები.

„მაშასადამე, ახლა იქნება ის, რაც აშკარად არანაირ კავშირში არ არის ჩვენს თემასთან“.

გთხოვთ, თავი შეიკავოთ ყოველგვარი კრიტიკისაგან და —

„უკვე ვიცი, მახსენდება ერთი დიდებული ხანდაზმული მამაკაცი, რომელსაც შევხვდი წინა კვირაში მოგზაურობისას. ნაღდი ორიგინალი იყო. დიდ მტაცებელ ფრინველს წააგავდა. თუ გაინტერესებთ, მას ბენედიქტი ჰქვია.“

ყოველ შემთხვევაში, აქ ერთად ჯგუფდება წმინდანები და საეკლესიო მამები: წმ. სიმონი, წმ. აუგისტინუსი, წმ. ბენედიქტუსი. ერთ საეკლესიო მამას მგონი ორიჯინესი ერქვა. სამივენი ისეთივე სახელებია, როგორც პაული, კლაინპაულის გვარში.

„ახლა წმ. იანუარიუსი მაგონდება და მისი სისხლიანი სასწაული — მე მგონი, ეს მექანიკურად გრძელდება“.

შეეშვით ამას; წმ. იანუარიუსი და წმ. აუგუსტინუსი, ორივე დაკავშირებული არიან კალენ-

დართან. არ გინდათ, სისხლიანი სასწაული გამახსენოთ?

„ეს თქვენ გეცოდინებათ! ნეაპოლის ერთერთ ეკლესიაში კოლბაში ინახება წმინდა იანუა-რიუსის სისხლი, რომელიც სასწაულის მეშვეობით გარკვეულ დღესასწაულზე თხევადი ხდება. ხალხს სჯერა ამ საოცრებისა და ძალიან ღელავენ, თუ რაიმე შეფერხებაა, როგორც ამას ერთ-ხელ ფრანგული ოკუპაციის დროს ჰქონდა ადგილი. მაშინ გენერალმა – თუ მეშლება? გარიბალდი ხომ არ იყო? — გვერდზე გაიხმო სასულიერო პირი და ძალზე გასაგები ჟესტით გარეთ ჩამწკრივებულ ჯარისკაცებზე მიუთითა და უთხრა, იმედია, სასწაული მალე აღსრულდება. და მართლაც მოხდა...“

მერე? რატომ შეჩერდით?

„ახლა რაღაც გამახსენდა... ერთობ ინტიმური რამ არის სათქმელად... ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ და ვერც საჭიროებას, ამის შესახებ მოგითხოვთ.“

კავშირზე მე ვიფიქრებ. თქვენთვის უსიამოვნო რამის მოყოლას ვერ გაიძულებთ, მაგრამ ჩემგანაც ნუ მოითხოვთ იმის ახსნას, თუ რატომ დაგავიწყდათ სიტყვა *aliquis*.

„ნამდვილად? თქვენ ასე ფიქრობთ? უეცრად ერთი ქალი გამახსენდა, რომლისგანაც ორივე ჩვენთაგანისთვის უსიამოვნო ამბავი მომივიდოდა.“

რომ ციკლი შეუწყდა?

„როგორ გამოიცანით?“

ეს უკვე სირთულეს არ წარმოადგენს. თქვენ საკმარისად შემამზადეთ საამისოდ. გაიხსენეთ კალენდრის წმინდანები, სისხლის გათხევადება განსაზღვრულ დღეს, ამბოხი, თუ მოვლენას ადგილი არ ექნება, აშკარა მუქარა, რომ სასწაული უნდა მოხდეს, თორემ... თქვენ ხომ წმინდა იანუარიუსის სასწაული გადაამუშავეთ და ჩინებული მინიშნება გააკეთეთ ქალის მენსტრუალურ პერიოდზე.

„ისე, რომ ეს არც კი ვიცოდი. და თქვენ ნამდვილად თვლით, რომ ამ საშიში მოლოდინის გამო ვერ შევძელი სიტყვის *aliquis* რეპროდუცირება?“

ამაში ეჭვი არ მეპარება. აბა გაიხსენეთ თქვენს მიერ დანაწევრებული სიტყვა *a - Liquis* და ასოციაციები: *Reliquen, Liquidation, სითხე*.

რელიქვია – ლიკვიდაცია, გნებავთ ამავე კავშირში ჩავაქსოვო ჯერ კიდევ ბავშვობისას მსხვერპლშენირული წმინდა სიმონი, რომელიც თქვენ რელიქვიებთან დაკავშირებით გაგახ-სენდათ?

„უმჯობესია, არა. იმედი მაქვს, სერიოზულად არ მიიჩნევთ ამ ჩემს ფიქრებს. სამაგიეროდ უნდა ვალიარო თქვენს წინაშე, რომ ის ქალბატონი იტალიელია, მასთან ერთად მოვინახულე ნეაპოლი. განა ეს შემთხვევითობას არ უნდა მივაწეროთ?“

ეს თქვენი განსჯისთვის მომინდვია, ყველა ამ კავშირს შემთხვევითობით ახსნით თუ არა. მე კი გეტყვით, ყოველი მსგავსი შემთხვევა, რომლის გაანალიზებას მოინდომებთ, ასევე უცნაურ „შემთხვევებამდე“ მიგიყვანთ<sup>2</sup>.

უამრავი საფუძველი გამაჩინია ამ პატარა ანალიზის სათანადოდ შესაფასებლად, რასაც

მე ჩემს მასინდელ თანამგზავრს ვუმადლი. ერთი მხრივ, ამ შემთხვევაში მე უფლება მომეცა გამომეყენებინა ის წყარო, რომელიც ჩემთვის დახშული იყო. ძირითადად იძულებული ვარ, ყოველდღიური ცხოვრების ფსიქიკური მოშლილობის მაგალითები, რასაც აქ უყირი თავს, ჩემი დაკვირვებიდან მოვიშველიო. ჩემი ნევროტული პაციენტების მიერ მოწოდებულ გაცილებით უფრო მდიდარ მასალას ვცდილობ თავი ავარიდო, შიშით, რომ შემომედავებიან, ეს ფენომენები ნევროზის გამოხატულება და შედეგიაო. ჩემი მიზნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ჯანსალი ნერვების მქონე უცხო პირი ამგვარი კვლევის ობიექტად მომევლინება. სხვა მხრივ, ეს ანალიზი ჩემთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი ნათელს ჰერცენს სიტყვის დავიწყების შემთხვევას სათადარიგო სიტყვის გახსენების გარეშე და ჩემს ადრინდელ წინადადებას ადასტურებს, რომ არასწორი სანაცვლო მოგონებების ამოტივტივება თუ არარსებობა არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან<sup>3</sup>.

*aliquis*-ის მაგალითის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს „სინიორელის“ შემთხვევის ერთერთ სხვა განსხვავებაშიც. ბოლო მაგალითში სახელის რეპროდუქცია ფერხდება ცოტა ხნით ადრე დაწყებული და შეწყვეტილი ფიქრის მსვლელობის მომდევნო მოქმედების შედეგად, რომლის შინაარსი ახალ თემასთან არანაირად გამოკვეთილ კავშირში არ იყო. დათრგუნული და დავიწყებული სახელის თემას შორის არსებობდა მხოლოდ დროში ურთიერთშეხება; ორივე ერთმანეთთან კავშირშია გარეგნული ასოციაციის მეშვეობით<sup>4</sup>. *Aliquis*-ის მაგალითში კი არ არის ამგვარი დამოუკიდებელი დათრგუნული თემა, რომელიც მანამდე იყო ფიქრის საგანი და ახლა მხოლოდ ხელისმეშლელ ფაქტორად გვევლინება. რეპროდუქციის შეფერხება ხდება მოცემული თემის შიგნიდან, მაშინ, როცა გაუთვითცნობიერებლად იქმნება წინააღმდეგობა ციტატაში მოცემულ იდეასთან. პროცესის კონსტრუირება შემდეგნაირად უნდა მოხდეს: მოსაუბრემ სინანული გამოთქვა, რომ მისი ხალხის თანამედროვე თაობა თავიანთ უფლებებში იზღუდება; დათრგუნული ახალი თაობა შურს იძიებს, წინასწარმეტყველებს იგი დიდონას მსგავსად. მაშასადამე, მან შთამომავლობის სურვილი გამოხატა.

ამასობაში საპირისპირო ფიქრმა გაუელვა: „ნამდვილად ასე მონდომებით ისურვებდი შთამომავლობას? არარისმართალი. როგორშეცხებოდი, ახლარომშენთვის ამბავი მოეტანათ, რომ იმ მეორე მხრიდან, ვისაც შენ იცნობ, შთამომავალს ელოდები. არა, არავითარი შთამომავლობა, – თუმცა, იგი ჩვენ შურისძიებისთვის გვჭირდება“. ეს წინააღმდეგობა ანგარიშგასაწევია, როცა იგი ზუსტად ისევე, როგორც „სინიორელის“ მაგალითში, გარეგნულ ასოციაციას აღადგენს მისი წარმოსახვის ელემენტთაგანსა და სადაც სურვილის ელემენტს შორის, და ამჯერად კი უკიდურესად ძალისმიერი ხერხით ხელოვნურად მოჩვენებადი ასოციაციური შემოვლითი გზით. მეორე არსებითი შესაბამისობა (დამთხვევა) სინიორელის მაგალითთან ჩანს იმაში, რომ წინააღმდეგობა შევიწროებული წყაროებიდან მოდის და ფიქრებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ყურადღების გაფანტვას (სხვაზე გადატანას) გამოიწვევდა. — ეს მინდოდა მეთქვა სახელის დავიწყების ორივე პარადიგმის შინაგან წათესაობასა და განსხვავებულობაზე. ჩვენ გავეცანით დავიწყების (გულმავიწყობის) მეორე მექანიზმს, შინაგანი წინააღმდეგობის მეშვეობით დათრგუნული ფიქრის შეფერხებას. ამ პროცესს, რომელიც უფრო იოლად გასაგები

გვეჩვენება, შემდგომ ახსნა-განმარტებებში ხელახლა შევხვდებით.

### თავი მასამა

## სახელებისა და სიტყვათმიმდევრობის დავით განაცხადი

უცხოენობრივ ტექსტში სიტყვათმიმდევრობის დავით განხილული მაგალითებიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა, ესაჭიროება თუ არა მშობლიურ ენაზე სიტყვათა თანმიმდევრობის დავით განხილული არსებითად სხვაგვარი ახსნა, თუ მოტივაცია ორივე შემთხვევაში ერთნაირია. როგორც წესი, არ გვაოცებს ის ფაქტი, რომ ზეპირად ნასწავლი ფორმულის ან ლექსის რეპროდუცირება გარკვეული პერიოდის შემდეგ მხოლოდ არასწორად, მცირე ცვლილებებით და ადგილების გამოტოვებით ხდება შესაძლებელი. მაგრამ რადგან ეს დავით განხილული ერთნაირად არ ეხება საერთო კონტექსტში დასწავლილს, არამედ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მთელს რაღაც პარაზინა ნამცეცები მოწყდა, ფუჭ შრომად ნამდვილად არ ჩაგვეთვლება, თუ ტექსტის შეცდომებით რეპროდუცირების ცალკეულ მაგალითებს ანალიტიკურად განვიხილავთ.

ერთი ახალგაზრდა კოლეგა ჩემთან საუბრისას გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მშობლიურ ენაზე ნასწავლი ლექსების დავით განხილული იგივე მოტივაცია უდევს საფუძვლად, რაც უცხოენობრივი ტექსტის სიტყვათმიმდევრობის ცალკეული ნაწილების მეხსიერებიდან დროებით ამოვარდნას. ბოლოს თავისი ვარაუდის დასამტკიცებლად ექსპერიმენტის მოწყობა შემომთავაზა, ხოლო ცდის ობიექტად — საკუთარი თავი. ვკითხე, რომელი ლექსის მაგალითზე ისურვებდა აღნიშნული ექსპერიმენტის ჩატარებას. მან გოეთეს ლექსი „საცოლე კორინთიდან“ აირჩია. თქვა, რომ ეს ლექსი განსაკუთრებულად უყვარს და დარწმუნებულია, რომ ცალკეული სტროფები მაინც ზეპირად ახსოვს. ტექსტის რეპროდუქციის დაწყებისთანავე აშკარა ყოყმანი დაეტყო. <<როგორ არის, „კორინთიდან ათენს გასწია“, — მკითხა მან, — თუ „კორინთისკენ გასწია ათენიდან“?>> ერთ მომენტში მეც დავეჭვდი, თუმცა სათაური მალევე გამახსენდა და სიცილით შევნიშნე, რომ ლექსი „საცოლე კორინთიდან“ ჰქვია და ეს უკვე აშკარად მიუთითებს, საით მიმავალ გზას დასდგომია ყმანვილი. ამის შემდეგ პირველი სტროფის რეპროდუქცია უპრობლემოდ განვითარდა, ყოველ შემთხვევაში, თვალშისაცემ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. პირველი სტრიქონის შემდეგ კოლეგას შეეტყო, რომ სიტყვებს ეძებდა; თუმცა მალევე გააგრძელა და სტროფი ამგვარად გადმოსცა:

*Aber wird er auch willkommen scheinen,  
Jetzt, wo jeder Tag was Neues bringt?  
Denn er ist noch Heide mit den Seinen  
Und sie sind Christen und - getauft. <sup>5</sup>*

მე აქამდეც დაეჭვებით ვუსმენდი, ბოლო სტრიქონის დასრულების შემდეგ კი ორივენი

მივხვდით, რომ აქ უდაოდ რაღაც დამახინჯებას ჰქონდა ადგილი. რადგან სწორი ვარიანტის აღდგენა ვერ შევძელით, სასწრაფოდ ბიბლიოთეკას მივაშურეთ და წიგნი მოვიძიეთ. გოეთეს ლექსში ჩვენდა გასაოცრად აღმოვაჩინეთ, რომ ამ სტროფის მეორე სტრიქონს სრულიად სხვა მიმდევრობა ჰქონდა, რომელიც ჩემი კოლეგის მეხსიერებიდან თითქოსდა ამოვარდნილიყო და, ჩანდა, რაღაც უცხოთი ჩანაცვლებულიყო. გოეთესთან ეს სტრიქონი შემდეგნაირად იკითხებოდა:

*Aber wird er auch willkommen scheinen,  
Wenn er teuer nicht die Gunst erkauft.<sup>6</sup>*

სიტყვა „erkauft“ (დაუჯდა) ერითმება სიტყვას „getauft“ და უცნაურად მომეჩვენა რომ ჩემს კოლეგას ტექსტის აღდგენაში ასე უმნიშვნელო დახმარება გაუნია სიტყვათა მიმდევრობამ: წარმართი, ქრისტიანები და მონათლული.

რით შეგიძლიათ ახსნათ, რომ სავარაუდოდ თქვენთვის ძალიან კარგად ნაცნობ ლექსში ერთი სტრიქონი ასე მთლიანად ამოაგდეთ და თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა კონტექსტიდან მოიტანეთ სიტყვათა ის თანმიმდევრობა, რომლითაც ჩანაცვლეთ აღნიშნული სტრიქონი? — ასეთი კითხვით მივმართე ჩემს ახალგაზრდა კოლეგას.

მან შეძლო ახსნა მოეძებნა მომხდარისთვის, მაგრამ როგორც ეტყობოდა, ეს განმარტება მაინცდამაინც დიდი სიამოვნებით არ გაუკეთებია. <<სტრიქონი: „ახლა, როცა ყოველ დღეს რაღაც ახალი მოაქვს“ მეცნობა; მე მგონი, ცოტა ხნის ნინ სწორედ ეს ფრაზა ვიხმარე ჩემს სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომლის ბოლოდროინდელი წარმატებებით, როგორც იცით, ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ. მაგრამ როგორ მოხვდა ეს წინადადება ამ ლექსში? მე ასეთ კავშირს ვხედავ: სტრიქონი, „თ უ ძვირად არ დაუჯდა ეს წყალობა“, ეტყობა, ჩემში უსიამო გრძნობას იწვევს. ის უკავშირდება ხელის თხოვნას, რაზედაც პირველად უარი მივიღე, და რასაც კვლავ ვაპირებ, ვითვალისწინებ რა ჩემს ბოლო დროს ზედმინევნით გაუმჯობესებულ მატერიალურ მდგომარეობას. მეტს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნამდვილად არ მესიამოვნება, თუ თანხმობის შემთხვევაში მაგრძნობინებენ, რომ ამჯერადაც ისეთივე გათვლამ შეასრულა გადამწყვეტი როლი, როგორც მაშინ, ჩემი უარით გამოსტუმრების შემთხვევაში.>>

ამ განმარტებამ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახადა, ისე რომ აღარც მჭირდებოდა გარემოებებში უფრო დაწვრილებით ჩახედვა. მაინც გავაგრძელე შეკითხვების დასმა: როგორ მიხვედით საერთოდ იქამდე, რომ თქვენი პირადული მომენტები გოეთეს ლექსის „საცოლე კორინთიდან“ ტექსტში ჩართეთ? იქნებ თქვენს შემთხვევაში რელიგიური აღმსარებლობის ისეთივე განსხვავებებთან გვაქვს საქმე, როგორიც ამ ლექსშია გამოხატული?

*Keimt ein Glaube neu,  
wird oft Lieb und Treu,*

wie ein böses Unkraut ausgerauft.<sup>7</sup>

მართალია, სწორად ვერ გამოვიცანი, მაგრამ გამიკვირდა, როცა დავინახე, როგორ გაუნათა უცებ გონება ამ კაცს ერთმა კარგად გამიზნულმა შეკითხვამ. მან პასუხად მითხრა ის, რაც აქამდე საკუთარი თავისთვისაც ვერ გაემუდავნებინა. მიყურებდა შეწუხებული და უკმაყოფილო მზერით და თავისთვის ბუტბუტებდა ლექსის მომდევნო სტროფს:

Sieh sie an genau!

Morgen ist sie grau.<sup>8</sup>

და მოკლედ დაამატა: ეს გოგონა ცოტათი უფროსია ჩემზე. გადავწყვიტე, მეტად აღარ დამეტანჯა და გამოკითხვა შევწყვიტე. განმარტება საკმარისი მეჩვენა. თუმცა ნამდვილად გასაოცარი იყო, რომ ჩემი მცდელობა, დამედგინა მეხსიერების ერთი სრულიად უვნებელი შეცდომის მიზეზი, ჩემი გამოკითხვის ობიექტის ასე შორეულ, ინტიმურ და უხერხული აფექტის თანმხლებ გარემოებას შეეხო.

ერთი ცნობილი ლექსის სიტყვათმიმდევრობის დავინწყების სხვა მაგალითი კ. გ. იუნგს მინდა დავესესხო და ავტორის სიტყვებითვე დავიწყო:

„ერთმა ბატონმა ცნობილი ლექსის მხატვრულად წაკითხვა მოისურვა:

„Ein Fichtenbaum steht einsam usw“.<sup>9</sup> სტრიქონზე „Ihn schlaefert“,<sup>10</sup> უიმედოდ შეფერხდა და აბსოლუტურად დაავიწყდა მომდევნო სიტყვები „mit weisser Decke“.<sup>11</sup> ამგვარი დავინწყება ასეთ ცნობილ ლექსში მაშინვე თვალში მომხვდა და ვთხოვე, აღედგინა, რა აზრები მოუვიდა თავში სიტყვებთან დაკავშირებით — „თეთრი საბურველით“. ასე წარმოიშვა აზრთა შემდეგი რიგითობა: „თეთრი საბურველის გახსენებისას სუდარ ა მომაგონდა, ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც მიცვალებულს აფარებენ — (პაუზა) — ამის შემდეგ ახლო მეგობარი გამახსენდა — მას სრულიად ახალგაზრდა ძმა უეცრად მოუკვდა — გულის შეტევით გარდაიცვალა — თუმცა ასევე ზედმეტი სიმსუქნეც იყო მისი სიკვდილის მეორე მიზეზი — ჩემი მეგობარი გარეგნობით ძალიან ჰეგავს ძმას, ასევე ძალიან მსუქანია — და მე უკვე დავფიქრდი, ხომ შეიძლება ისიც ასევე გარდაიცვალოს — თანაც ძალიან ცოტას მოძრაობს; მისი სიკვდილის შესახებ რომ შევიტყვე, უცებ შემეშინდა, მეც ხომ შეიძლება ასევე დამემართოს, მით უფრო რომ ჩვენს ოჯახში ყველანი სიმსუქნისაკენ ვართ მიდრეკილი, თან ბაბუაჩემიც გულის შეტევით გარდაიცვალა. ვთვლი, რომ მეც საკმაოდ მსუქანი ვარ და სწორედ ამიტომ დავინწყე ამ დღეებში გასახდომი პროცედურების ჩატარება.“

„გამოდის, რომ ამ ბატონმა საკუთარი თავი არაცნობიერად მაშინვე ფიჭვის ხესთან გააიგივა“, — შენიშნავს იუნგი, — „რომელიც მიცვალებულის სუდარით იყო შებურვილი“.

მას შემდეგ უამრავი სხვა ექსპერიმენტი ჩავატარე სიტყვათმიმდევრობის შეცდომით რეპ-როდუქციასა და დავიწყებასთან დაკავშირებით და ამ გამოკვლევათა შედეგების თანხვედრის გამო ვიხრები სწორედ იმ ვარაუდისკენ, რომ ლექსების „aliquis“ და „საცოლე კორინთიდან“

მაგალითებზე ნაჩვენები დავიწყების მექანიზმი თითქმის საზოგადო ხასიათისაა. უმეტეს შემთხვევაში მაინცა და მაინც მოსახერხებელი არ არის ამგვარი ანალიზის ჩატარება, რადგან ეს, როგორც წინა შემთხვევებში მოხდა, მუდმივად დადის ექსპერიმენტის ობიექტისთვის მეტად ინტიმურ და უხერხულ საკითხებამდე. ამიტომ ბევრი ასეთი მაგალითის დასახელებისაგან თავს შევიკავებ. მიუხედავად მასალის განსხვავებისა საერთო ნიშანი ამ შემთხვევებისათვის ის არის, რომ დავიწყებული ან დამახინჯებულად გახსენებული სიტყვათმიმდევრობა რომელილაც ასოციაციური გზით უკავშირდება არაცნობიერი აზრის შინაარსს, საიდანაც გამომდინარეობს ეფექტი, რომელიც დავიწყების სახით ვლინდება.

კვლავ საკუთარი სახელების დავიწყების საკითხს მივუბრუნდები, რომელთან მიმართება-შიც ჩვენ აქამდე არც ცალკეული შემთხვევები გამოგვიკვლევია ამომწურავად და არც მოტივები. რადგან მეხსიერების ამგვარ დარღვევებს დროდადრო საკუთარ თავზეც საკმაოდ კარგად შემიძლია დავაკვირდე, საამისოდ მაგალითებიც საკმარისად მაქვს. რამდენიმე საათით ადრე სწორედ სახელების დავიწყებით ვხვდები მსუბუქი შაკიკის მოახლოებას, რომლითაც დღემდე ვიტანჯები. ხოლო მაშინ, როცა შაკიკი პიკს აღწევს, — სხვათაშორის ამ დროს სამუშაოსთვის თავის განებება არ მიხდება — „ხშირად არცერთი სახელი და გვარი არ მახსოვს. შეიძლებოდა სწორედ ისეთი შემთხვევები როგორიც ჩემია, საბაბად გამოეყენებინათ ჩვენს ოპონენტებს და პრინციპულად დაპირისპირებოდნენ ჩვენს ანალიტიკურ მცდელობებს. უნდა გამოვიტანოთ თუ არა ამგვარი დაკვირვებებიდან დასკვნა, რომ გამომწვევი მიზეზი გულმავიწყობისა, კერძოდ კი გვარ-სახელების დავიწყებისა თავის ტვინის საერთო და ცირკულაციის დარღვევებში არის საძიებელი? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თავი უნდა დავანებოთ ამ ფენომენის ფსიქოლოგიურად ახსნის მცდელობებს? მე ვფიქრობ, არავითარ შემთხვევაში! რადგან ქმედების ყველა შემთხვევისათვის ერთგვაროვანი მექანიზმი შესაძლოა მის ცვალებად და არა აუცილებლად საჭირო თანაქმედებაში აგვერიოს. შეკამათების ნაცვლად მხოლოდ ასეთი შედარების მოყვანით შემოვიფარგლები:

დავუშვათ, ისეთი დაუფიქრებლობა გამოვიჩინე, რომ ღამით, დიდი ქალაქის უკაცრიელ უბანში სასეირნოდ მარტო წავედი. ამ დროს თავს დამესხნენ და საათი და საფულე წამართვეს. პოლიციის უახლოეს განყოფილებაში გაკეთებულ წერილობით განცხადებაში ასეთი ფრაზები ჩავწერე: მე ვიყავი ამა და ამ ქუჩაზე, იქ მარტობამ და სიბნელემ საათი და საფულე წამართვეს. თუმცა ამ სიტყვებით ისეთი არაფერი მითქვამს, რაც სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ მაინც მემუქრება საფრთხე, რომ ჩემი განცხადების ტექსტში ასეთი სიტყვათმიმდევრობის გამო არა-ნორმალურად ჩამთვლიან. საქმის არსი კორექტულად მხოლოდ ამგვარად შეიძლება გადმოიცე: შემთხვევის ადგილის უკაცრიელობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ღამის წყვდიადში გამოჩენილმა უცნობმა ბოროტმოქმედმა ძვირფასეულობა წამართვა. საქმის გარემოება სახელების დავიწყებისას სხვაგვარი ვერც იქნება. უცნობი ფსიქიკური ძალა დაღლილობის, ცირკულაციის დარღვევის და ინტოქსიკაციის ხელშეწყობით მართმევს საშუალებას ვისარგებლო იმ სახელებით, რომლებიც ჩემი მეხსიერების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს იგივე ფსიქიკური ძალაა, რომელსაც სხვა შემთხვევებშიც, მაშინ როცა ადამიანი სრულიად ჯანმრთელი და სი-

ცოცხლისუნარიანია, შეუძლია მისი მეხსიერების დარღვევა გამოიწვიოს.

როცა თავსგადამხდარ შემთხვევებს ვაანალიზებ, სისტემატურად ვაწყდები ერთი და იგივე მომენტს, კერძოდ, დავიწყებული სახელი უშუალოდ უკავშირდება იმ თემას, რომელიც ჩემს პიროვნებასთან ახლო შეხებაშია, და შეუძლია ძლიერი, ხშირ შემთხვევაში უხერხული ეფექტებიც გამოიწვიოს ჩემში. ციურისის სკოლის (ბლოილერი, იუნგი, რიკლინი) მოსახერხებელი და ძალიან კარგი სწავლების მიხედვით ზემოთ თქმული ასეთი ფორმით შემიძლია გამოვხატო: დავიწყებულმა სახელმა „პიროვნული კომპლექსი“ გააღვიძა ჩემში. სახელის დამოკიდებულება ჩემს პიროვნებასთან წარმოადგენს მოულოდნელი, მეტწილად ზედაპირული ასოციაციის (სიტყვის მრავალმნიშვნელოვნება, მსგავსი უღერადობა) გზით მოწოდებულ დამოკიდებულებას. ზოგადად მას შეიძლება ეწოდოს გვერდითი (არაპირდაპირი) დამოკიდებულება. მის ბუნებას საუკეთესოდ ახსნის რამდენიმე მარტივი მაგალითი:

1) ერთი პაციენტი მთხოვს, ვურჩიო რომელიმე კურორტი რივიერაზე. ვიცი ერთი ასეთი ადგილი გენუასთან სულ ახლოს. ვიხსენებ ჩემი გერმანელი კოლეგის სახელსაც, რომელიც იქ მუშაობს, მაგრამ თვითონ ადგილის დასახელების გახსენებას ვერაფრით ვახერხებ, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ვიცი. მეტი არაფერი დამრჩნია, პაციენტს ვთხოვ, ცოტა ხანს დამელოდოს და სასწრაფოდ ოჯახის წევრებს ვუკავშირდები. „რა ჰქვია იმ კურორტს გენუასთან ახლოს, სადაც დოქტორ N-ს თავისი პატარა კლინიკა აქვს და სადაც იმდენ ხანს მკურნალობდა ის ქალი?“ „საოცარი არ არის, რომ სწორედ შენ დაგავიწყდა ეგ სახელი. იმ ადგილს ხომ ნერვი ჰქვია.“ ნერვებთან კი მართლაც საკმაოდ ბევრი შეხება მაქვს ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე!

2) მეორე პაციენტი ახლომდებარე კურორტის შესახებ მელაპარაკება და ამტკიცებს, იქ ორი ძალიან ცნობილი რესტორნის გარდა კიდევ ერთი არის, რომელთანაც გარკვეული მოგონებები მაკავშირებს, სახელსაც ახლავე გეტყვითო. მე თავგამოდებით უარვყოფ მესამე რესტორნის არსებობას და ვიმოწმებ იმ ფაქტს, რომ შვიდი წლის განმავლობაში ზედიზედ ყოველ ზაფხულს სწორედ იმ კურორტზე ვისვენებდი, და შესაბამისად ის ადგილი მე უკეთ უნდა ვიცოდე, ვიდრე მან. ჩემმა წინააღმდეგობამ პაციენტი ისე გააღიზიანა, რომ უკვე სახელის გახსენებაც შეძლო. რესტორანს ჰოსპარტნერი ერქვა. აქ კი იძულებული გავხდი დამეთმო, უფრო სწორად მეღლიარებინა, რომ შვიდი წლის განმავლობაში სწორედ ამ ჩემს მიერ უარყოფილი რესტორნის გვერდით ვცხოვრობდი. როგორ მოხდა, რომ საგნის არსებობაც დამავიწყდა და მისი სახელიც? მე მგონი, იმიტომ რომ ეს სახელწოდება ზედმინევნით კარგად მახსენებს ერთი ჩემი ვენელი კოლეგის გვარს და კვლავაც „პროფესიულ კომპლექსებს“ აღვიძებს ჩემში.

3) ერთხელაც, ის იყო სადგურ რაიხენჰალში ბილეთის ყიდვა დავაპირე, ერთბაშად ამომვარდა თავიდან მომდევნო დიდი სადგურის დასახელება, არადა, ამ სადგურზე არაერთხელ ჩამოვსულვარ. მთელი სერიოზულობით შევუდექი რუკაზე მის ძებნას. სადგურს როზენჰალი ჰქვია. მაშინვე მივხვდი, რომელმა ასოციაციამ ამომიგდო ეს სახელი მეხსიერებიდან. ერთი საათის წინ ჩემი და მოვინახულე, რომელიც რაიხენჰალთან ძალიან ახლოს ცხოვრობს. ჩემს დას როზა ჰქვია. ე. ი. გამოდის, რომ როზენჰალში უკვე ვიყავი (Heim გერმანულად საცხოვრე-

ბელს, სახლს ნიშნავს). ეს სახელწოდება „ოჯახურმა“ კომპლექსმა დამავიწყა.

4) „ოჯახური კომპლექსის“ ამ სწორედ რომ მტაცებლური ზემოქმედების დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია.

ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა კაცი მოვიდა ჩემთან მიღებაზე, ჩემი ერთ-ერთი პაციენტის უმცროსიძმა, რომელიც აქამდეც მრავალჯერ მენახა და ჩვეულებისამებრ სახელით მივმართავდი. მოგვიანებით, როცა ამ ვიზიტის შესახებ რაღაცის თქმა დავაპირე, ვერაფრით მოვახერხე მისი სახელის გახსენება, არადა საქმე სრულიად ჩვეულებრივ და საკმაოდ გავრცელებულ სახელს ეხებოდა. მერე ქუჩაში გავედი, რომ ფირმების ფირნიშები დამეთვალიერებინა, და სახელიც მაშინვე გამახსენდა, პირველი შეხვედრისთანავე. შემთხვევის ანალიზმა ნათლად დამანახა, რომ მე მიღებაზე მოსულსა და ჩემს საკუთარ ძმას შორის პარალელი გავავლე, რომლის კულმინაცია ამგვარად სახეცვლილ კითხვაში გამოიხატა: იგივე შემთხვევაში ჩემი ძმაც ასევე მოიქცეოდა თუ პირიქით? გარეგნული დაკავშირება უცხო და საკუთარ ოჯახებს შორის შემთხვევითობის წყალობით გახდა შესაძლებელი. აღმოჩნდა, რომ დედებს იქაც და ჩვენს ოჯახშიც ერთი და იგივე სახელი ერქვათ: ამალია. მერე ჩამნაცვლებელ სუროგატ სახელებსაც მივაგენი: დანიელი და ფრანცი. ეს სახელები უნებურად მომივიდა თავში, ახსნა-განმარტების გარეშე-ისინი, ამალიას მსგავსად, შილერის „ყაჩალებში“ გვხვდება, რომელთა სახელებს უკავშირდებოდა ვენელი დანიელ შპიცერის ერთი ცნობილი ანეკდოტი.

5) ერთხელაც ვერაფრით გავიხსენე პაციენტის სახელი, რომელთანაც ახალგაზრდობის-დროინდელი, ძალიან მჭიდრო მოგონებები მაკავშირებდა. ჩატარებულმა ანალიზმა ძალიან გრძელი, შემოვლითი გზით მატარა, ვიდრე სასურველ სახელამდე მიმიყვანდა. პაციენტმა შიში გამოთქვა, თვალისჩინი არ დავკარგო. ამ ნათქვამმა ერთი ახალგაზრდა კაცი გამახსენა, რომელსაც ტყვია მოხვდა და დაბრმავდა. ამ მოგონებამ კიდევ ერთი ყმაწვილის სურათი ამომიტივტივა, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღით თავის მოკვლა სცადა. ამ უკანასკნელს იგივე გვარი ჰქონდა, რაც პირველ პაციენტს, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის ნათესავები არ იყვნენ. გვარის გახსენება მხოლოდ მას შემდეგ მოვახერხე, როცა ამ ორი, ახალგაზრდობისდროინდელი შემთხვევიდან გადმომეცა შიშნარევი მოლოდინის განცდა, რომელიც თავის მხრივ ჩემი ოჯახის წევრს უკავშირდებოდა.

ჩემი აზროვნების გავლით მიედინება „თვითდამოკიდებულება“ (*Eigenbeziehung*) მუდმივი ნაკადი, საიდანაც მე, როგორც წესი, არავითარ ინფორმაციას არ ვიღებ, მაგრამ ეს ნაკადი თავს სწორედ სახელების დავიწყებით ავლენს. ისე მემართება, თითქოს იძულებული ვხდები, რომ ყველაფერი, რასაც უცხო ადამიანებზე გავიგებ, საკუთარ პიროვნებას შევადარო, თითქოს ჩემი პიროვნული კომპლექსები სხვებზე ყოველი ინფორმაციის მიღებისთანავე გააქტიურებას იწყებდეს. არაფრით არ შეიძლება ეს ჩემი პიროვნების ინდივიდუალური ხასიათის თავისებურება იყოს. ის აღბათ უფრო მითითებაა იმაზე, თუ საერთოდ როგორ გვესმის ფენომენი „სხვა“. მე გამაჩნია საფუძველი, ვივარაუდო, რომ სხვა ინდივიდებსაც მსგავსი შეგრძნებები აქვთ.

ამასთან დაკავშირებით მშვენიერი ისტორია მომითხოვ საკუთარი ცხოვრებიდან ერთმა

ბატონმა, გვარად ლედერერმა. ვენეციაში საქორნინო მოგზაურობისას ერთ ბატონს შეხვედრია, რომელსაც თურმე შორიდან იცნობდა. ახლადშერთული მეუღლისათვის მისი წარდგენა მოუნდომებია, მაგრამ გვარი დავიწყებია, და უხერხული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ისლა მოუხერხებია, რომ გვარის ნაცვლად რაღაც გაურკვეველი სიტყვა სპეციალურად ხმადაბლა და ლუდლულით წარმოუთქვამს. მეორედ შეხვედრისას, — ამას ვენეციაში ყოფნის დროს ადამიანი უბრალოდ ვერსად გაექცევა, — ეს კაცი გვერდზე გაუხმია და თხოვნით მიუმართავს, როგორმე ამ უხერხული მდგომარეობიდან დამიხსენით და თქვენი სახელი და გვარი გამახსენეთო. უცნობის პასუხი დასტურია იმისა, რომ ეს უკანასკნელი ზედმინევნით კარგად იცნობდა ადამიანებს და მათ შინაგან ბუნებას. ეჭვიც არ მეპარება, რომ ვერ დაიმახსოვრეთ ჩემი გვარი. მე და თქვენ ხომ ერთი და იგივე გვარი გვაქვს: ლედერერი! — უპასუხია მას. ვერავინ გაექცევა იმ ოდნავ უსიამოვნო შეგრძნებას, რომელიც უფლება ადამიანს, როცა გაიგებს, რომ მისი საკუთარ სახელსა და გვარს ვიღაც სრულიად უცხო ადამიანი ატარებს. ეს განცდა დიდ-ხანს არ მტოვებდა მას შემდეგ, როცა ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან მიღებაზე ვინმე ზ. ფრონდი გამოცხადდა. (სხვათაშორის აქვე ვითვალისწინებ ჩემი ერთერთი ოპონენტის პოზიციას, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ სრულიად საპირისპირო რეაქცია ექნებოდა).

6) თვითდამოკიდებულების გავლენას ასევე კარგად ვხედავთ ი უნგის მიერ შემოთავაზე-ბულ შემდეგ მაგალითზე:

„ვინმე ბატონ Y-ს უიმედოდ შეუყვარდა ერთი ქალბატონი, რომელიც მალე ბატონ X-ზე დაქორწინდა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი Y ბატონ X-ს საკმაოდ დიდი ხანია იცნობდა და მასთან საქმიანი ურთიერთობებიც კი აკავშირებდა, ამ ქორწინების შემდეგ გამუდმებით ავინყდებოდა მისი გვარი. ბატონი Y არაერთხელ გამხდარა იძულებული სხვებისთვის ეკითხა მისი სახელი და გვარი, როცა ბატონი X-ისთვის საქმიანი წერილის მიწერა სჭირდებოდა“.

ამ შემთხვევაში სახელის დავიწყების მოტივაცია ბევრად უფრო გამჭვირვალე და გასაგებია, ვიდრე წინა მაგალითებში, რომელთა მოტივირებაც უშუალოდ თვითდამოკიდებულების გავლენით აიხსნება. ბოლოს მოყვანილ მაგალითში აშკარად ჩანს, რომ დავიწყება პირდაპირი შედეგია იმ ანტიპათიისა, რომელიც გაუჩნდა ბატონ Y-ს თავისი ბედნიერი მეტოქის მიმართ. მას აღარაფერი სურს იცოდეს მის შესახებ: „ურჩევნია საერთოდ აღარ ახსოვდეს ის“.

7) სხვაგვარად და ძალიან დახვენილად მოტივირებულია გვარ-სახელის დავიწყების ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა, რომელიც თვითონვე გაანალიზა ადამიანმა, რომელსაც ეს ამბავი გადახდა:

„როცა დამატებით საგნად არჩეულ ფილოსოფიაში გამოცდას ვაბარებდი, გამომცდელმა მკითხა, რა ვიცოდი ეპიკურეს მოძღვრების შესახებ და მერე მკითხა, ხომ არ ვიცოდი, ვინ იყო მისი მოძღვრების მიმდევარი შემდგომ საუკუნეებში. მე დავუსახელე პიერ გასენდი, რომლის გვარსაც ორი დღის წინ შემთხვევით მოვკარი ყური კაფეში. გაკვირვებული გამომცდელის შეკითხვაზე, საიდან ვიცოდი პიერ გასენდი რომ ეპიკურეს მოწაფე იყო, თამამად ვუპასუხე,

რომ დიდი ხანია გასენდით ვიყავი დაინტერესებული. ჩემმა პასუხმა შედეგად *magna cum laude*-ს მოწმობა მომიტანა, და სამწუხაროდ ჯიუტი მიდრეკილებაც, გამუდმებით დამვიწყებოდა გასენდის სახელი და გვარი. მე მგონი, სინდისის ქენჯნას განვიცდიდი მაშინ ნათქვამი ტყუილის გამო და ამის ბრალი იყო, რომ, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ვერ ვიმახსოვრებდი გასენდის გვარს. მე ხომ ის წესით არც მაშინ უნდა მცოდნოდა“.

თუ გვინდა სწორად შევაფასოთ ჩვენი ინფორმატორის სიძულვილის ინტენსივობის ხარისხი გამოცდის ეპიზოდის გახსენებისადმი, უნდა ვიცოდეთ, რად უღირს ამ ადამიანს თავისი დოქტორის ხარისხი, და რის კომპენსაციას აძლევს ის.

8) დოქტორი ედ. ჰიჩმანი: „ბატონ N-ს სურს თანამოსაუბრეს წიგნებით მოვაჭრე ფირმის *Gilhofer & Ranschburg* სახელწოდება დაუსახელოს. დიდი ძალისხმევის მიუხედავად მხოლოდ მეორე გვარი რანშბურგი ახსენდება, თუმცა ეს ფირმა მისთვის კარგად ნაცნობია. ამ ფაქტის გამო ცოტა არ იყოს უკმაყოფილო ბრუნდება შინ. გამომდინარე იქიდან, რომ მისთვის ეს საქმე საკმაოდ მნიშვნელოვანია, უკვე ჩაძინებულ ძმას აღვიძებს და ფირმის სახელწოდების პირველი ნახევრის დასახელებას სთხოვს. ეს უკანასკნელიც მყისვე უსახელებს გილპოფერის გვარს. ბატონ N-ს „გილპოფერის“ გაგონებისთანავე სიტყვა „გალპოფი“ ახსენდება. რამდენიმე თვის წინ „გალპოფში“ ერთი მეტად მომზიბვლელი ქალიშვილის თანხლებით სასიამოვნოდ მოსაგონარი გასეირნება მოაწყო. გოგონამ მაშინ ნივთიც უსახსოვრა, რომელზედაც წააწერა „გალპოფში გატარებული ლამაზი საათების მოსაგონებლად“. რამდენიმე დღის წინ კი უჯრის ნაჩეარევად დახურვის დროს ბატონმა N-მა შემთხვევით სერიოზულად დააზიანა ეს სახსოვარი. თავისთავად ცხადია, ამის გამო თავს დამნაშავედ გრძნობდა. გარდა ამისა, ბოლო დღეებში ერთგვარ ამბივალენტურ განწყობაზე იყო ქალბატონის მიმართ, რომელიც, მართალია, უყვარდა, მაგრამ ქალის სურვილის დაკმაყოფილებას დაქორწინების თაობაზე, თავს არიდებდა და შეძლებისდაგვარად აჭიანურებდა“.

9) როცა 1915 წელს ომი დაიწყო იტალიასთან, საკუთარ თავზე დაკვირვებისას აღმოვაჩინე, რომ იტალიის მთელი რიგი ქალაქებისა და სხვა ადგილების დასახელებები მეხსიერებიდან ამომივარდა. ეს ის სახელები იყო, რომელთაც ხშირად ვიყენებდი და კარგად მახსოვდა. ბევრი სხვა გერმანელის მსგავსად მეც წესად მქონდა, შვებულების ერთი ნაწილი აუცილებლად იტალიის მიწაზე გამეტარებინა. ეჭვიც არ შემპარვია იმაში, რომ იტალიური სახელწოდებების ეს მასიური დავიწყება გამოხატულება იყო იმ გასაგები მტრული განწყობისა, რომელმაც ჩაანაცვლა უნინდელი სიყვარულის გრძნობა ამ ქვეყნის მიმართ. ამ პირდაპირი მოტივაციის გარდა მე სახელწოდებების დავიწყების არაპირდაპირი მოტივაციაც აღმოვაჩინე, რომელიც იმავე გავლენით აიხსნებოდა. განწყობილი ვიყავი, სხვა, არაიტალიური სახელწოდებებიც დამევიწყებინა და ამ შემთხვევების გაანალიზებისას აღმოვაჩინე, რომ ისინი რაღაცით მაგონებდა ჩემთვის საძრახის, მტრულ სახელებს. ბევრი ვიწვალე ერთ დღეს მორავის ქალაქ ბიზენცის გახსენებაზე. როცა ბოლოს და ბოლოს გამახსენდა, უკვე ვიცოდი, რომ ეს დავიწყება ორვიეტოში მდებარე სასახლე ბიზენცის უკავშირდებოდა. რომელშიც განთავსებულია სასტუმრო *Belle Arti* და რომელშიც მე ორვიეტოში ყოფნისას დავბინავდი. სასიამოვნო მოგონებები უკიდურესად

დააზიანა შეცვლილმა ემოციურმა განწყობამ.

სასარგებლო იქნებოდა გაგვეხსენებინა რამდენიმე მაგალითი, რომლებიც გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ჩადგეს სხვადასხვაგვარი განზრახვის აღსრულების სამსახურში სახელების დავიწყების ფენომენი.

10) დოქტორი ჰანს ზაქსი: „ერთ დღეს ახალგაზრდა კაცმა ჰანსიონში ინგლისელი გოგონა გაიცნო და მაშინვე მოეწონა. იმავე საღამოს შეხვდნენ ერთმანეთს. ახალგაზრდა კაცი გოგონას მისსავე მშობლიურ ინგლისურ ენაზე ესაუბრებოდა, რომელსაც საკმაოდ კარგად ფლობდა. რაღაც მომენტში სიტყვა *Gold*-ის (ოქრო) გამოყენება დასჭირდა, მაგრამ მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერაფრით შეძლო სასურველი სიტყვის გახსენება. სანაცვლოდ მეხსიერებაში ჯიუტად ამოუტივტივდა ფრანგული *or*, ლათინური *aurum* და ბერძნული *chrysos*, და გაჭირვებით მოახერხა მათი თავიდან მოშორება, თანაც დარწმუნებულიც იყო, რომ ამ სიტყვებს არაფერი ჰქონდათ საერთო იმ სიტყვასთან, რომელსაც უშედეგოდ ეძებდა. ბოლოს ისლა დარჩა, ხელით შეხებოდა გოგონას თითზე წამოცმულ ოქროს ბეჭედს და ამ გზით გაეგებნებინა მოსაუბრის-თვის სათქმელი. საშინლად შერცხვა, როცა გოგონამ აუხსნა, რომ სიტყვა, რომელიც ვერაფრით გაეხსენებინა, ზუსტად გერმანული სიტყვის (*Gold*) იდენტური იყო. დიდი მნიშვნელობა ამგვარი, ამ შემთხვევაში სიტყვის დავიწყებით განპირობებული შეხებისა, არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდა კაცმა ქალის ღირსების შეულახავად დაიკმაყოფილა მასთან ფიზიკური შეხების წყურვილი, რისთვისაც შეყვარებულები შემთხვევას ხელიდან არც არა-სოდეს უშვებენ ხოლმე, არამედ უფრო მეტად იმაში, რომ ამ შეხებამ შესაძლებელი გახადა, კაცს გოგონასთან დაკავშირებით თავისი განზრახვის სამომავლო პერსპექტივები დაენახა. ქალის არაცნობიერი, — განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ქალი თავისი პარტნიორის მიმართ სიმპა-თიას გრძნობს, — მყისვე გამოიცნობს დავიწყების უვნებელ ნიღაბს ამოთარებულ ეროტიულ სურვილს. ის, თუ როგორ აღიქვამს ქალი ამ შეხებას და რა მოტივაციას მოუძებნის მას, იქცევა ორივესთვის გაუცნობიერებელ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან საშუალებად ეს-ეს არის დაწყე-ბული ფლირტის სამომავლო შანსების ურთიერთშესათანხმებლად“.

შემეძლო უფრო მეტი მაგალითი მომეყვანა სახელების დავიწყების შემთხვევებზე, და ამ საკითხზე დისკუსიაც გაგვეგრძელებინა, მაგრამ არ მინდა, ისე მოხდეს, რომ ყველა თვალსაზრისი, რომლებიც მომდევნო თემატიკასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ, აქვე, პირველი თემის განხილვისთანავე ამომწურავად განიმარტოს. და მაინც, თავს უფლებას მივცემ, წარმოდგენილი მაგალითების განხილვის შედეგები რამდენიმე წინადადებით შევაჯამო:

სახელების დავიწყების მექანიზმი (უფრო სწორად: მეხსიერებიდან ამოვარდნის, დროებით დავიწყების) მდგომარებს იმაში, რომ სახელის რეპროდუცირების განზრახული პროცესი ირ-ღვევა აზრთა უცხო და ამავდროულად გაუცნობიერებული მიმდევრობის გამო. დამახინჯებით რეპროდუცირებულ სახელსა და გახსენების პროცესის ხელისშემსლელ კომპლექსს შორის ან თავიდანვე არსებობს ურთიერთკავშირი ან ასეთი კავშირი ხშირ შემთხვევაში ხელოვნური გზებით, ზედაპირული (გარეგანი) ასოციაციების საშუალებით წარმოიქმნება.

ხელისშემსლელ კოპლექსებს შორის თვითდამოკიდებულება (*Eigenbeziehung*) (პიროვნუ-

ლი, ოჯახური, პროფესიული) ყველაზე დიდი გავლენის ძექონე აღმოჩნდა.

სახელს, რომელიც თავისი მრავალმნიშვნელოვნების გამო აზრთა რამდენიმე სხვადასხვა წრეს (კომპლექსს) მიეკუთვნება, ხშირად სწორედ იმის გამო ვერ ვიხსენებთ აზრთა ერთ რომელიმე მიმდევრობასთან კავშირში, რომ ხელს გვიშლის მისი იმავდროული კუთვნილება აზრთა სხვა, უფრო ძლიერად ჩამოყალიბებულ მიმდევრობასთან (კომპლექსთან).

მეხსიერების ამგვარ დარღვევათა მოტივებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მოტივი, რომელიც მიზნად ისახავს სახელწოდების დავიწყების გზით თავიდან ააცილოს ადამიანს ის უსიამოვნება და ცუდი განწყობა, რომელსაც უცილობლად გამოიწვევდა მასში ამ კონკრეტული სახელის გახსენება.

ზოგადად სახელების დავიწყების ფენომენის ორი ძირითადი შემთხვევა შეიძლება განვასხვავოთ. ერთი, როცა თვითონ სახელი მოდის შეხებაში რაღაც არასასიამოვნოსთან, ან როცა ის უკავშირდება მეორე სახელს, რომელიც ასე ქმედებს. ასე რომ, სახელების რეპროდუცირების პროცესი შეიძლება შეფერხდეს ერთის მხრივ საკუთრივ მათივე მიზეზით, და მეორეს მხრივ, მათი ახლო თუ შორეული ასოციაციური კავშირების გამო.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გასაგები ხდება, რომ სახელების დროებით დავიწყება მეხსიერების შეცდომებს შორის ყველაზე ხშირია.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაშორებს იმ დროს, როცა ამ ფენომენის ყველა თავისებურების დასახელებას შევძლებთ. მინდა იმაზეც მივუთითო, რომ სახელების დავიწყება ძლიერ გადამდებია. საკმარისია, ორი პიროვნების საუბრისას ერთმა თქვას, ესა თუ ის სახელი დამავიწყდაო, რომ მაშინვე მეორესაც ავიწყდება იგივე. თუმცა იქ, სადაც დავიწყების ფენომენი ინდუცირებულია, დავიწყებული სახელის გახსენება კვლავ უფრო ადვილად ხერხდება. ეს „კოლექტიური“ დავიწყება, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მასების ფსიქოლოგის ფენომენი, ჯერ კიდევ არ გამხდარა ანალიტიკური კვლევის საგანი.

ადგილი აქვს ხოლმე სახელების დავიწყების გახანგრძლივებულ პროცესსაც, რომლის დროსაც ერთბაშად ხდება სახელთა მთელი წელის მეხსიერებიდან განდევნა. დავიწყებული სახელწოდების ძებნისას ადამიანი სხვებს ეჭიდება, რომლებთანაც ის სახელი, რომელსაც ეძებს, ძალიან ახლო კავშირშია. ამ დროს კი ხშირ შემთხვევაში ისინიც ავიწყდება, რომელთა გამოყენებასაც საყრდენად აპირებდა სასურველი სახელწოდების ძებნისას. დავიწყება ისე დახტის ერთი სახელიდან მეორეზე, თითქოსდა ადვილად ვერდასაძლევი დაბრკოლების არსებობის დამტკიცებას ცდილობდეს.

## თავი მეოთხე

### გავშვილისა და გადამფარავი მოგონებების შესახებ

ჩემს მორიგ ნაშრომში (1899 წ. გამოქვეყნდა ყოველთვიურ ჟურნალში „ფსიქიატრია და ნევროლოგია“) შევძელი დამეტყუცებინა გახსენების ფენომენის ტენდენციური ბუნების არ-სებობა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელ სფეროში. მე ვხელმძღვანელობდი იმ უცნაური რეა-ლობით, რომ, როგორც ირკვევა, ძალიან ადრეული ბავშვობიდან ადამიანს ხშირად მისთვის სრულიად უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი მოგონებები აქვს შემონახული, და ამავდროუ-ლად იმავე პერიოდის მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი და აფექტურით დატვირთული შთაბეჭდილებები (ხშირად, ცხადია, არა ყოველთვის) ზრდასრული ადამიანის მეხსიერებიდან უკვალოდ არის გამტრალი. რადგან ცნობილია, რომ მეხსიერება არჩევანს აკეთებს შემოთავა-ზებული შთაბეჭდილებიდან მისთვის ყველაზე სასურველზე, გამოდის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არჩევანი სრულიად განსხვავებული პრინციპით კეთდება ბავშვობის ასაკში, და სულ სხვაგვარად მიმდინარეობს იგივე პროცესი ინტელექტუალურად მომზიფებული პიროვნების მეხსიერებაში. დაწვრილებითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ეს ვარაუდი გადაჭარბებულია. მეხ-სიერებას შემორჩენილი ბავშვობისდროინდელი უმნიშვნელო მოგონებები თავიანთ არსებობას უნდა უმადლოდნენ მეხსიერებაში მიმდინარე ჩამნაცვლებელ პროცესს. რეპროდუქციის დროს სწორედ ისინი ენაცვლება სხვა, ნამდვილად მნიშვნელოვან და ღირებულ შთაბეჭდილებებს, რომელთა გახსენება ჩანაცვლებული მოგონებების (*Ersatzerinnerungen*) ფსიქიკური ანალიზის მეშვეობით ხერხდება, დარომელთა პირდაპირი რეპროდუქცია ფერხდება სხვადასხვა წინააღმ-დეგობის გამო. რადგან ისინი თავიანთ შენარჩუნებას საკუთარ შინაარსს კი არა, მათი შინაარ-სის სხვა შინაარსთან ასოციაციურ კავშირს უნდა უმადლოდნენ. აქედან გამომდინარე, მათ ნამდვილად შეესატყვისება განსაზღვრება, რომელიც მე მოვუძებნე, კერძოდ, გადამფარავი მოგონებები (*Deckerinnerungen*).“

კავშირებისა და მნიშვნელობების მრავალფეროვნებას ზემოთ ხსენებულ სტატიაში მე მხო-ლოდ შევეხე, ეს საკითხი არ ამომინურავს. იქ დაწვრილებით გაანალიზებულ მაგალითში განსა-კუთრებით წამოვნიერი წინ გადამფარავ მოგონებასა (*Deckerinnerung*) და მის მიერ გადაფარულ შინაარსს შორის არსებული დო ით ურთიერთმიმართების თავისებურება. გადამფარავი მოგონების შინაარსი იქ ბავშვობის ადრეულ წლებს უკავშირდებოდა, მაშინ როცა იმ აზრით განცდებს, რომლებიც მეხსიერებაში ამ გადამფარავი მოგონების სახით იქნა წარმოდგენილი, და რომლებიც თითქმის გაუცნობიერებელი დარჩა, ამ ადამიანის ცხოვრების შედარებით გვიანდელ წლებში ჰქონდა ადგილი. ამ სახის გადანაცვლებას ვუწოდე უკუ მი მართ უ-

ლ ი ანუ კ უ ს ვ ლ ა დ ი. ალბათ კიდევ უფრო ხშირად ვხვდებით საპირისპირო დამოკიდებულებას, როცა უახლოეს წარსულში მიღებული უმნიშვნელო შთაბეჭდილება გადამფარავი მოგონების სახით რჩება მეხსიერებაში და გადაფარავს ადრეული წლების მოგონებას, რომლის უშუალო რეპროდუქცია სხვადასხვა წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდება. ეს იმით აიხსნება, რომ ეს გადამფარავი მოგონება თავიანთი შინაარსით დაკავშირებულია საკმაოდ შორეულ წლებში განცდილთან. მას შეიძლება ეწოდოს წინ მიმართული ან წინ სწრებული გადამფარავი მოგონება. მთავარი, რაც მეხსიერების ზრუნვის საგანს წარმოადგენს, დროის თვალსაზრისით, გადამფარავი მოგონების უკან დევს. და ბოლოს, ვერც მესამე შემთხვევის შესაძლებლობას ავუვლით გვერდს, მით უფრო, რომ მას არც თუ იშვიათად აქვს ადგილი: ეს ის შემთხვევაა, როცა გადამფარავი მოგონება არამარტო შინაარსით, არამედ დროითაც თანხვედრილია იმ მოგონებასთან, რომელსაც ფარავს. ე. ი. საქმე გვაქვს თანადროულ ანუ მოსაზღვრე გადამფარავ მოგონებასთან.

თუ ჩვენი მეხსიერების მარაგის რა ნაწილი მიეკუთვნება გადამფარავ მოგონებათა რიცხვს და რა როლს თამაშობს ეს მოგონებები ნევროტიული აზროვნების სხვადასხვა პროცესებში, ის პრობლემებია, რომელთა შეფასება მე არც იქ მიცდია, არც აქ მაქვს დაგეგმილი. მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რომ წინ წამოვნიო საკუთარი სახელების დავიწყება-გახსენების და გადამფარავი მოგონებების წარმოქმნის პროცესების ერთგვაროვნების საკითხი.

ერთი შეხედვით ამ ორი ფენომენის განსხვავებულობა ბევრად უფრო თვალშისაცემია, ვიდრე მათი შესაძლო ანალოგიები. იქ საქმე ეხება საკუთარ სახელებს, აქ კი მთლიან, რეალობაში ან სულაც წარმოსახვაში განცდილ შთაბეჭდილებებს. იქ საქმე გვაქვს გახსენების ფუნქციის აშკარა დარღვევასთან, აქ კი გახსენების შედეგთან, რომელიც უსიამო გაოცებას იწვევს ჩვენში. იქ ადგილი ჰქონდა დროებით შეფერხებას – რადგან ეს-ესაა დავიწყებული სახელი ამ მომენტამდე ასჯერ შეიძლება ყოფილიყო ამ ადამიანის მიერ სწორად რეპროდუცირებული და შესაძლოა, ხვალიდან კვლავაც მრავალჯერ უპრობლემოდ მოხდეს მისი გახსენება, აქ კი მეხსიერების გრძელვადიან, უწყვეტ მარაგზეა საუბარი, რადგან გვგონია, რომ ბავშვობის უმნიშვნელო მოგონებები შეიძლება სულ თან მიჰყებოდეს ადამიანს ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ორივე შემთხვევა სხვადასხვა გამოცანის წინაშე გვაყენებს: იქ საქმე დავიწყებას ეხება, აქ – მოგონებების შენახვა-შენარჩუნებას, ეს კი ჩვენს მეცნიერულ ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს. თუ ცოტა უფრო ჩავუდრმავდებით, შევამჩნევთ, რომ მიუხედავად ორივე ფენომენს შორის არსებული განსხვავებულობისა, როგორც ფსიქიკური მასალის, ისე დროის თვალსაზრისით, თანხვედრათა რიცხვი აშკარად ჭარბობს სხვაობებს. იქაც და აქაც ადგილი აქვს გახსენების პროცესის მცდარ განვითარებას. მეხსიერების მიერ იმის რეპროდუცირება კი არ ხდება, რისიც კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, არამედ მის სანაცვლოდ სრულიად სხვა რამისა. საკუთარი სახელების დავიწყების შემთხვევაშიც ადგილი აქვს მეხსიერების ჩვეულებრივ ქმედებას, ის ახდენს რეპროდუცირებას, ოღონდ ჩამნაცვლებელი სახელებისას (*Ersatznamen*). გადამფარავი მოგონებების წარმოქმნა მიმდინარეობს სხვა, უფრო მნიშ-

ვნელოვანი შთაბეჭდილებების დავიწყების ფონზე. ორივე შემთხვევაში ინტელექტუალური შეგრძნება გვამცნობს პროცესში შეფერხების ჩართვის შესახებ, ოღონდ თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა ფორმით. სახელების დავიწყების დროს ვ ი ც ი თ, რომ ჩამნაცვლებელი სახელები ა რ ა ს წ ო რ ი ა; გადამფარავი მოგონებების შემთხვევაში კი გ ვ ა ო ც ე ბ ს ის ფაქტი, რომ ეს მოგონებები საერთოდ შემოუნახავს ჩვენს მეხსიერებას. თუ შემდგომი ფსიქოლოგიური ანალიზი დაამტკიცებს, რომ ჩამნაცვლებელი აზრების წარმოქმნა ორივე შემთხვევაში ერთნაირი გზით განხორციელდა, კერძოდ დიდი ხნის დროინდელი ზედაპირული ასოციაციის გადანაცვლების შედეგად, მაშინ სწორედ ორივე ამ ფენომენის განსხვავებულობა მასალის, დროის ხანგრძლივობისა და ცენტრირების თვალსაზრისით გაგვიძლიერებს იმის მოლოდინს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი და საზოგადოდ მიღებული აღმოვაჩინეთ. ეს საზოგადოდ იმის გამომხატველი იქნებოდა, რომ რეპროდუქციური ფუნქციის შეფერხება ან მცდარობა უფრო ხშირად, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ, სწორედ მიკერძოების ფაქტორის ჩართვაზე მიუთითებს, ანუ ტენდენციაზე, რომელიც ერთ მოგონებას რეპროდუქცირებაში ეხმარება, იმავდროულად კი ცდილობს ხელი შეუშალოს მეორე მოგონების წარმოქმნას.

ბავშვობისდროინდელი მოგონებები იმდენად მნიშვნელოვნად და საინტერესოდ მეჩვენება, რომ მინდა მივუძღვნა მას კიდევ რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც სცდება ჩვენს მიერ აქამდე განხილულ მოსაზრებებს.

რამდენად სწორება წარსულის შორეულ სიღრმეებს ბავშვობის მოგონებები? ჩემთვის ცნობილია ამ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე გამოკვლევა, მაგ. ჰ ე ნ რ ი ს ა (*V. et C. Henri*) და პოტ ვინის (*Potwin*); ამ გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ დაკვირვების ობიექტთა შორის დიდი ინდივიდუალური განსხვავებულობაა. მაშინ, როცა ერთი მათგანის პირველი მოგონება სიცოცხლის მეექვსე თვეს უკავშირდება, მეორეს თავისი ბავშვობის შესახებ მეექვსე ანდა მერვე წლამდე არაფერი ახსოვს. რასთან არის დაკავშირებული ბავშვობის მოგონებების დავიწყების სხვადასხვაგვარობა, და რა მნიშვნელობა ენიჭება მათ? დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თავისთავად ცხადია, ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალის მოგროვება საკმარისი არ იქნება. მას აუცილებლად დასჭირდება დამუშავება, რაშიც ინფორმაციის მომწოდებელი პირმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ინფანტილური ამნეზიის ფაქტს, ჩვენი სიცოცხლის პირველ წლებთან დაკავშირებული მოგონებების დავიწყების ფენომენს, ვფიქრობ, სატანადო ინტერესით არ ვეკიდებით და შესაბამისად ვკარგავთ შესაძლებლობას, ამოვიცნოთ მასში არსებული ძალზე უცნაური გამოცანა. ჩვენ გვავიწყდება, როგორი მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები და რთული შეგრძნებების უნარი გააჩნია ბავშვს უკვე დაახლოებით ოთხი წლის ასაკში. აქედან გამომდინარე, უნდა გვაოცებდეს ის ფაქტი, რომ ამ რთული მშვინვერი პროცესების შესახებ მეხსიერებას სიცოცხლის გვიანდელ პერიოდში, როგორც წესი, თითქმის არაფერი აქვს შემონახული. მით უფრო, რომ ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ დავიწყებულ ბავშვობისდროინდელ განცდებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ. მათ უდაოდ მოახდინეს გავლენა პიროვნების განვი-

თარებაზე და შესაბამისად განსაზღვრეს მისი ცხოვრების ყველა შემდგომი პერიოდი. და მაინც, მიუხედავად ამ შეუდარებლად დიდი გავლენისა, ისინი დავიწყებას მიეცა! ეს მიუთითებს გახსენების სრულიად სპეციფიურ პირობებზე (ცნობიერი რეპროდუქცია), რომლებიც აქამდე ჩვენი შემეცნებისთვის დაფარული იყო. ადვილად შესაძლებელია, რომ ბავშვობისდროინდელმა მოგონებებმა გვაპოვნინოს გასაღები იმ ამნეზიების არსში ჩასაწყდომად, რომლებიც ჩვენი უახლესი მონაცემების თანახმად, უნდა წარმოადგენდეს ნევროლოგიური სიმპტომების ჩამოყალიბების საფუძველს.

მეხსიერებაში შემონახული ბავშვობისდროინდელი მოგონებების ნაწილი ძალიან გასაგებად გვეჩვენება, ნაწილიც – უცნაურად და გაუგებრად. არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს სირთულეს ზოგიერთი შეცდომის გასწორება. თუ ადამიანის მეხსიერებაში შემონახულ მოგონებებს ანალიტიკურად განვიხილავთ, ადვილად დავადგენთ, რომ მათი ნამდვილობის გარანტია პრაქტიკულად არ არსებობს. მოგონების ბევრი ხატი უეჭველად დამახინჯებული, არასრული, ან დროსა და სავრცეში გადანაცვლებულია. გამოკითხული ადამიანების მიერ მოწოდებული ინფორმაციები იმის თაობაზე, თითქოს მათი პირველი მოგონებები სიცოცხლის მეორე წელს უკავშირდებოდეს, სარწმუნო ნამდვილად არ არის. მალე იმ მოტივების დადგენაც ხერხდება, რომელთა მეშვეობით გასაგები ხდება რამ გამოიწვია წარსულში განცდილის დამახინჯება ან დროსა თუ სივრცეში მისი გადანაცვლება. ეს მოტივები იმასაც ამტკიცებს, რომ მხოლოდ მეხსიერების ღალატი არ შეიძლება იყოს მოგონებების არასწორად რეპროდუცირების მიზეზი. სიცოცხლის შემდგომი პერიოდების ძლიერი ძალების ზემოქმედება განაპირობებს ბავშვობის მოგონებების გახსენების უნარის ფორმირებას. სავარაუდოდ, ეს ის ძალებია, რომელთა წყალობითაც საზოგადოდ ასე გაგვიუცხოვდა საკუთარი ბავშვობის ხანა და წაგვერთვა მისი გაგების უნარი.

ზრდასრულ ადამიანებში გახსენების პროცესი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის ფსიქიკურ მასალაზე დაყრდნობით მიმდინარეობს. ზოგიერთი ადამიანი მხედველობითი ხატების მოშველიებით იხსენებს, ასეთ მოგონებებს ვიზუალური ხასიათი აქვს; ზოგიც განცდილის ყველაზე მწირი მონახაზის ალდგენასაც ძლივს ახერხებს; ასეთ ადამიანებს შარკო ს მიხედვით *uditifs* და *moteurs* უწოდებენ, საწინააღმდეგოდ *Visuels*-ისა. სიზმარში ეს განსხვავებები ქრება; სიზმარს მეტნილად სურათ-ხატებად ვხედავთ. იგივე პროცესი მიმდინარეობს ბავშვობის მოგონებების რეპროდუცირებისას. ამიტომ მათ სანახაობით-მხედველობითი სახე აქვთ იმ ადამიანებთანაც კი, რომელთა მეხსიერებას ვიზუალური ელემენტები ზრდასრულ ასაკში საერთოდ აღარ გააჩნია. მხედველობითი გახსენება ამ გზით ინარჩუნებს ინფანტილური გახსენების ტიპს. პირადად ჩემს შემთხვევაში მხოლოდ ძალიან ადრეული ბავშვობის წლებიდან შემორჩენილ მოგონებებს გააჩნია ვიზუალური ხასიათი. ეს არის აშკარად სანახაობრივი სცენები, ზუსტად თეატრალური დადგმების მსგავსი. ბავშვობის შთაბეჭდილებების ამსახველ ამ სცენებში — მიუხედავად იმისა, ნამდვილია ისინი თუ დამახინჯებული — ადამიანი სისტემატურად ხედავს საკუთარ თავსაც, ბავშვური გარეგნობითა და ბავშვობისდროინდელი სამო-

სით. ეს გარემოება გაოცებას უნდა იწვევდეს. ვიზუალური მეხსიერების მქონე ზრდასრული ადამიანები გვიანდელ შთაბეჭდილებებთან დაკავშირებული მოგონებების რეპროდუცირებისას საკუთარ თავს ვეღარ ხედავენ.<sup>12</sup> თუ დავუშვებთ, რომ ბავშვს თავისი განცდებისას მთელი ყურადღება საკუთარ თავზე აქვს გადატანილი, ნაცვლად იმისა, რომ მოახდინოს მისი სრული კონცენტრირება გარეგან შთაბეჭდილებებზე, ნინააღმდეგობაში მოვალთ ყველა იმ დასკვნასთან, რაც აქამდე გაგვიკეთებია. ეს განსხვავებული პოზიციები გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ ჩვენს, ასე ვთქვათ, ყველაზე ადრინდელ ბავშვობის მოგონებებში მართლა რეალური მოგონებების კვალს კი არ ვხედავთ, არამედ მათ გვიანდელ, გადამუშავებულ ვარიანტს, რომელიც სიცოცხლის გვიანდელი პერიოდის სხვადასხვაგვარი ფსიქიური ძალების ზემოქმედების შედეგად იქნა ფორმირებული. ამგვარად, ინდივიდის „ბავშვობის მოგონებები“ ზოგადად გადამფარავი მოგონებების სახეს იძენს და ამავე დროს თავისი მნიშვნელობით უტოლდება ხალხების საწყისს მოგონებებს, რომლებიც მათსავე ზეპირმეტყველებაში თქმულებებისა და მითების სახითაა შემონახული.

ვისაც ფსიქოანალიზის მეთოდით საკმაო რაოდენობის ადამიანი ჰყავს გამოკვლეული, მას ყველა სახის გადამფარავი მოგონებების მაგალითებიც მრავლად ექნება მოგროვილი. თუმცა ამ მაგალითების მოწოდებას ზედმინევნით ართულებს ზემოთ განმარტებული თავისებურებები იმ ურთიერთმიმართებისა, რომელიც არსებობს ბავშვობისდროინდელ მოგონებებსა და ინდივიდის ცხოვრების გვიანდელ პერიოდს შორის. იმისათვის, რომ შეფასდეს რომელიმე ბავშვობისდროინდელი მოგონება როგორც გადამფარავი მოგონება, ხშირად ამ პიროვნების ცხოვრების მთელი ისტორიის სააშკარაოზე გამოტანა ხდება აუცილებელი. მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი, მსგავსად ქვემოთ მოყვანილი მშვენიერი მაგალითისა, ერთი კონკრეტული შემთხვევის ცალკე გამოყოფა და მისი დამოუკიდებლად განხილვა.

ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა იხსენებს ხუთი წლის ასაკში განცდილს. სურათი ასეთია: ბიჭუნა საზაფხულო აგარაკზეა, ბაღში. ტაბურეტზე ზის, დეიდის გვერდით, რომელიც ცდილობს ასოები ასწავლოს პატარას. ბიჭს უჭირს ასო *m*-სა და ასო *n*-ს შორის განსხვავების დამახსოვრება და სთხოვს დეიდას, მასწავლე, როგორ უნდა გამოვიცნო, რომელი რომელიაო. დეიდა ყურადღებას იმაზე ამახვილებინებს, რომ *m* *n*-ს მთელი ერთი ნაწილით მეტობს, *m*-ს *n*-სგან განსხვავებით ერთით მეტი ხაზი აქვს. არ არსებობდა არავითარი საფუძველი ეჭვისა, რომ ბავშვობის ეს მოგონება ნამდვილი არ იყო, თუმცა თავისი ნამდვილი მნიშვნელობა მან მხოლოდ მოგვიანებით აღიდგინა, როცა გაირკვა, რომ ამ მოგონებას შეუძლია სიმბოლურად განასახიეროს ბიჭის სულ სხვა სახის დაინტერესება. როგორც მაშინ, ხუთი წლის ასაკში ცდილობდა გაერკვია, როგორ განესხვავებინა ერთმანეთისგან *m* და *n* ასოები, ისევე უნდოდა ახლა, უკვე მოზრდილ ბავშვს, გაეგო რა განსხვავებაა გოგონასა და ბიჭს შორის. ნამდვილად არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო, თუ ამჯერადაც დეიდა იკისრებდა მასწავლებლის როლს. მერე გაარკვია კიდეც, რომ განსხვავება მართლაც იმ ასოების მაგალითის მსგავსი იყო: ბიჭი მთელი ერთი ნაწილით მეტობდა გოგონას. სწორედ ამ მიგნებამ გაუღიძა მას საკუთარ ბავშვურ ცნობისმოყვარეობასთან დაკავშირებული შესაბამისი მოგონება.

კიდევ ერთი მაგალითი უფრო გვიანდელი ბავშვობის წლებიდან: სექსუალურ სფეროში ძალიან დაკომპლექსებული კაცი, რომელიც ამჟამად 43 წლისაა, ყველაზე უფროსია ცხრა დაძმას შორის. ყველაზე უმცროსის დაბადებისას ის თხუთმეტი წლისა იყო, თუმცა ახლა ჯიუტად ამტკიცებს, რომ დედისთვის ფეხმძიმობა არასოდეს შეუმჩნევია. ეს, ცხადია, დაუჯერებლად მეჩვენება და დაუინებით ვცდილობ გავახსენო ის პერიოდი. როგორც იქნა, ახერხებს მეხსიერებაში ასეთი სურათის აღდგენას: დედა სარკის წინ დგას და აჩქარებით იხდის ქვედატანის ს. თავისი ვარაუდით ბიჭი მაშინ 11-12 წლისა იქნებოდა. დედას ეუბნება, ქუჩიდან შემოვედი და მოულოდნელად ჭინთვები დამეწყო. ქვედატანის გახდა (Aufbinden) ბიჭისთვის გადამფარავ მოგონებად იქცა, რომლის უკან მშობიარობა იმაღლება. ამგვარი „სიტყვიერი ხიდების“ მაგალითებს ჩვენ სხვაგანაც მრავლად შევხვდებით.

მხოლოდ ერთ მაგალითზე მინდა გაჩვენოთ, რა აზრი შეიძლება შეიძინოს ანალიტიკური გადამუშავების შემდგომ ბავშვობისდროინდელმა მოგონებამ, რომელიც ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი ჩანდა. როცა ორმოცდასამი წლის ასაკში ჩემი ბავშვობის მოგონებების ნარჩენებით დავინტერესდი, გონებაში ერთი სცენა ამომიტივტივდა, რომელიც უკვე დიდი ხანია (მეჩვენებოდა, რომ ძალიან ადრეული ასაკიდან) დროგამოშვებით მახსენდებოდა და ყველა საფუძველი მქონდა მეფიქრა, რომ ის ჩემი სიცოცხლის მესამე წლის ბოლოს უკავშირდებოდა. ვხედავდი, როგორ ვდგავარ ყუთთან და ტირილით ვითხოვ რაღაცას. ყუთის სახურავი ჩემს ოცი წლით უფროს ნახევარდმას უჭირავს ხელით. უცებ დედაჩემი შემოდის, ლამაზი და გამხდარი, თითქოს ახლახანს შემოვიდა ქუჩიდანო. ამ სიტყვებით აღვნერე სცენა, რომელსაც აქამდე მხოლოდ ვხედავდი და ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებდი. რა უნდოდა ჩემს ძმას, ამ ყუთის — ამ სცენის პირველად აღწერისას რატომდაც სიტყვა „კარადა“ გამოვიყენე — გაღება თუ დახურვა, რა მატირებდა, რა ჰქონდა საერთო ამ ყველაფერთან დედის შემოსვლას, მეტისმეტად ბუნდოვანი იყო ჩემთვის. ჩემეული ახსნა ასეთი იყო: უფროსი ძმა ჩემი წვალებით ერთობოდა, რაც დედის გამოჩენისთანავე შეწყვიტა. ბავშვობისდროინდელ მეხსიერებებთან დაკავშირებული ასეთი გაუგებრობები საკმაოდ ხშირია. ადამიანს ახსოვს რაღაც სიტუაცია, რომელიც არ არის ცენტრირებული და ვერ ხვდება, კერძოდ რომელ ელემენტზე უნდა გააკეთოს ფსიქიური აქცენტი. ჩემმა ანალიტიკურმა მცდელობებმა სრულიად მოულოდნელ შედეგამდე მიმიყვანა. სურათი უკვე ამგვარად ავხსენი: კარგა ხანს უშედეგოდ ვეძებდი დედას, მერე რატომდაც ეჭვი გამიჩნდა, რომ შეიძლებოდა ამ ყუთში თუ კარადაში ყოფილიყო ჩაკეტილი. ამიტომ ვთხოვდი ძმას მის გაღებას. მანაც შეასრულა ჩემი მოთხოვნა, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ დედა იქ არ იყო, ხმამაღალი ტირილი მოვრთე. სწორედ ეს მომენტი ჩამებეჭდა მეხსიერებაში. სურათი სრულდება ოთახში დედის შემოსვლით, რაც მიქარვებს დარდისა თუ მონატრების გრძნობას. საინტერესოა, საიდან მოუვიდა ბავშვს ის აზრი, რომ დედა ყუთში ეძებნა? ბოლოდროინდელი სიზმრები ბუნდოვნად მიმანიშნებდნენ ჩემს ძიძაზე, რომელიც მე სხვა მოგონებებსაც აღმიძრავდა. მაგ. ძიძა მოითხოვდა ჩემგან, რომ ყოველთვის პატიოსნად ჩამებარებინა მისთვის ის წვრილი ფული, რომელსაც ზოგჯერ საჩუქრად ვიღებდი. ეს ის დეტალია, რომელიც, ადვილად

შესაძლებელია, გადამფარავ მოგონებად იქცეს უფრო გვიან მომხდარი სხვა შთაბეჭდილები-სათვის. გადავწყვიტე, ამჯერად საქმე გამეიოლებინა და ჩემი მოხუცი დედისთვის გამომეკითხა ძიძასთან დაკავშირებული ამბები. ბევრი რამ შევიტყვე. მაგ. გავიგე, რომ ამ ჭკვიან, მაგრამ უწესო ადამიანს დედაჩემის მშობიარობის პერიოდში უამრავი რამ მოუპარავს ჩვენი სახლიდან, რის გამოც ჩემი ნახევარდმის დაშინებით გაუსამართლებიათ კიდეც. ამ ინფორმაციამ ძალიან ნათლად დამანახა ზემოთ აღნერილი სცენის ნამდვილი არსი: სახლიდან ძიძის მოულოდნელად გაქრობა შეუმჩნეველი არ დამრჩნია. სწორედ ჩემს ძმას მივმართე კითხვით, ძიძა რატომ აღარ ჩანს-მეთქი, რადგან როგორლაც შევნიშნე, რომ ამ საქმეში მასაც მიუძლოდა წვლილი. ჩემმა ძმამაც პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და კალამბურით მითხრა: „ყუთში გამოკეტესო“. ნათქვამი ისე გავიგე, როგორც ის ჩემმა ბავშვურმა გონებამ აღიქვა და გამოკითხვასაც თავი დავანებე, იმიტომ რომ მეტი მაინც არავინ არაფერი მითხრა. მაგრამ როცა ცოტა ხნის შემდეგ დედა მოვისაკლისე, მაშინვე ძმაზე მივიტანე ეჭვი. ჩავთვალე რომ ამ ბოროტმა ბიჭმა დედასაც იგივე გაუკეთა, რაც ძიძას. ამიტომ მოვთხოვე, სასწრაფოდ გაეხსნა ყუთი. ახლა იმასაც ვხვდები, რატომ იყო ბავშვობისდროინდელ ამ ვიზუალურ მოგონებაში ასე ხაზგასმული დედის სიგამხდრე. მე მისი სიგამხდრე თვალში მომხვდა, როგორც დედის სულ ცოტა ხნის აღდგენილი ძველი გარეგნობა. მე ორნლინახევრით უფროსი ვარ ჩემს მაშინ გაჩენილ დაზე. სამი წლის ასაკიდან კი უკვე აღარ ვცხოვრობდი ჩემს უფროს ნახევარდმასთან ერთად.<sup>13</sup>

## თავი მასუთა

### მცდართქმა

თუ მშობლიური ყოფითი სალაპარაკო ენის მასალა დავიწყებისგან ასე თუ ისე დაცულია, მაშინ იგი მით უფრო მიდრეკილია სხვა დარღვევებისადმი, რომელიც მცდართქმის სახელით არის ცნობილი.

ნორმალურ ადამიანში გამოვლენილი მცდართქმა პათოლოგიურ პირობებში გამომჟღავნებული ე.ნ. „პარაფაზიების“ წინარე საფეხურის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აქ მე — რაც არ უნდა უჩვეულო იყოს ეს — ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, როცა ვიღაცის მიერ ჩემამდე ჩატარებული სამუშაოს დაფასება შემიძლია. 1895 წელს მერინგერმა და კ. მაიერმა გამოაქვეყნეს ნარკვევი „მცდართქმა და მცდარკითხვა“, რომელთა მიდგომაც ჩემეულისაგან შორს დგას. კერძოდ, ავტორთაგან ერთ-ერთი, რომლის სახელითაც ხდება თხრობა, ენის მკვლევარია და ლინგვისტურმა ინტერესებმა უბიძგა გამოკვლევისაკენ, დაეცვა ის წესები, რომელთა მიხედვითაც ხდება მცდართქმა. ის იმედოვნებდა, ამ წესების საფუძველზე შეძლებდა დასკვნის გამოტანას „რაღაც გარკვეული სულიერი მექანიზმის“ არსებობაზე,

„რომლის თანახმადაც რაიმე სიტყვის, წინადადების ბერები და თავად სიტყვებიც სრულიად სპეციფიური გზით არიან ერთმანეთთან გადაბმული და დაკავშირებულნი.“

თავდაპირველად ავტორები „მცდართქმის“ მათ მიერ თავმოყრილ მაგალითებს აჯგუფებენ წმინდა დესკრიპციული პრინციპით, როგორც გადანაცვლებას (მაგ. მიღო ვენესელი ნაცვლად ვენერა მიღოსელისა): ა) როგორც წინმსწრებ გაუდერებას ანუ ანტიციპაციებს (მაგ. მკერდაში.... მკერდში ისე დამიმდიმდა), ბ) ნაცვიანებ გაუდერებას ანუ პოსტპოზიციას (მაგ. „მოგინოდებთ, ჩვენი შეფის დღეგრძელობისა მოვუჭახუნოთ“ ნაცვლად მიჭახუნებისა), გ) შერწყმას ანუ კონტამინაციას (მაგ. „უკანა თავზე დგება“ ნაცვლად: „თავში ჩაიდო“ და „უკანა თათებზე დგება“), დ) ჩანაცვლებას ანუ სუბსტიტუციას (მაგ. „პრეპარატებს ჩავუშვებ საფოსტო ყუთში“ ნაცვლად საინკუბაციო ყუთისა), ამ მთავარ კატეგორიებსაც კიდევ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი (და ჩვენი მიზნებისათვის ნაკლებად ღირებული) კატეგორია უნდა მიემატოს. ამ დაჯგუფებაში არ ხდება განსხვავება, ეს გადანაცვლება განზრახული წინადადების სიტყვის ცალკეულ ბერებს შეეხება, მარცვლებს თუ მთლიან სიტყვებს.

მცდართქმის გამოვლენილ სახეებს მერინგერი ენობრივი ბერების განსხვავებული ფსიქიკური ინტენსივობით ხსნის. თუ ხდება სიტყვის პირველი ბერის, წინადადების პირველი სიტყვის სტიმულირება, მაშინ აგზნების ეს პროცესი უკვე მომდევნო ბერებსა და სიტყვებზე ვრცელდება და რამდენადაც სტიმულირების ეს პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს, ერთმანეთზე შეიძლება ცვლილების გამომწვევი ზეგავლენა იქონიოს. ინტენსიური ბერის სტიმულირება ან წინმსწრებად ან ექოსებრ გამოძახილად უდერს და აფერხებს ნაკლები ინტენსივობის პროცესს. ახლა კი უნდა განვსაზღვროთ, თუ რომლებია სიტყვაში უმაღლესი ინტენსივობის ბერები. მერინგერი ამბობს: „თუ გვინდა, ვიცოდეთ, სიტყვის რომელი ბერაა ყველაზე მაღალი ინტენსივობის მქონე, ამისათვის საკუთარ თავს უნდა დავაკვირდეთ დავიწყებული სიტყვის, მაგ. სახელის ძებნისას. პირველ რიგში ცნობიერებაში შემოდის ის, რასაც დავიწყებამდე ყველაზე მაღალი ინტენსივობა ჰქონდა. ესე იგი, მაღალი ინტენსივობის მქონე ბერები ფუძისეული მარცვლების საწყისი ბერა და სიტყვის საწყისი ბერაა და — აქცენტირებული ხმოვანი ან ხმოვნები“.

არ შემიძლია, აქ წინააღმდეგობა არ გავწიო. ვარაუდში, მიეკუთვნება თუ არა სახელის საწყისი ბერა სიტყვაში უმაღლესი ღირებულების მქონე ელემენტებს, ის მაინც არასწორია, რომ სიტყვის დავიწყების შემთხვევაში პირველად სწორედ ის აღსდგება ცნობიერებაში; ამდენად, ზემოთ მოყვანილი წესი გამოუსადეგარია. თუ საკუთარ თავს რაიმე დავიწყებული სახელის ძებნისას დავაკვირდებით, უმეტეს შემთხვევაში დარწმუნებულები ვართ, რომ ის რაღაც გარკვეულ ასოზე ინყება. ეს დარწმუნებულობა ისევე ხშირად არის უსაფუძვლო, როგორც საფუძვლიანი. დიახ, მინდა განვაცხადო, რომ უმეტეს შემთხვევაში საწყისი ბერა არასწორადა მითითებული. „სინიორელი“-ს თაობაზე ჩვენს მაგალითშიაც ჩასანაცვლებელ სახელში გვხვდება საწყისი ბერა და არსებითი მარცვლები დაკარგულია; სწორედ მარცვლების ის ნაკლებად ღირებული წყვილი „ელი“ დაუბრუნდა მეხსიერებას ჩასანაცვლებელ სახელში „ბოტიჩელი“. ის, თუ რამდე-

ნად ნაკლებად სცემენ პატივს ჩასანაცვლებელი სახელები გონებიდან ამოვარდნილი სახელის საწყის ბგერას, და შემდეგმა შემთხვევამ გახადოს თვალსაჩინო:

ხანდახან ჩემთვის შეუძლებელია, გავიხსენო იმ პატარა ქვეყნის სახელი, რომლის დედაქა-ლაქიცაა მონტე კარლო. მისი ჩასანაცვლებელი სახელები შემდეგნაირად უდერს:

პიემონტი, ალბანეთი, მონტევიდეო, კოლიო.

ალბანეთი მალე მონტენეგროთი შეიცვლება და მერე თვალსაჩინო ხდება, რომ მარცვალი „მონტ“ (გამოთქმული როგორც „მონ“) მაინც მიესადაგება ყველა ჩასანაცვლებელ სახელს, უკანასკნელის გარდა. ამითი მიადვილდება, ჰერცოგი ალბერტის სახელიდან გამომდინარე, დავიწყებული მონაკუ ვიპოვო. კოლიო დავიწყებული სახელის მარცვალთა თანმიმდევრობასა და რითმიკას დაახლოებით მიაგავს.

თუ ვივარაუდებთ, რომ მცდართქმის შემთხვევებში იმავე მექანიზმთან გვაქვს საქმე, რა-საც სახელების დავიწყების შემთხვევაშიც ვხვდებით, მაშინ, მცდართქმის შემთხვევათა უფრო ღრმად დასაბუთებულ გაგებამდე მივალთ. მეტყველების ის დარღვევა, რომელიც მცდართქმის სახით წარმოგვიდგება, პირველ რიგში, შეიძლება გამოწვეული იყოს იმავე ფრაზის სხვა შემად-გენელი ნაწილის ზეგავლენით, ანუ წინმსწრებად იმისა, რაც შემდგომ უნდა ითქვას ან ნათქვა-მის შემდგომ გამოძახილად, ანდა სხვა ფორმულირების ზეგავლენით, რომელიც გამოსათქმე-ლი წინადადების ან აზრის ფარგლებს არ სცილდება, რომლის გამოთქმაც გვაქვს განზრახული — ამას განეკუთვნება მერინგერისა და მაიერისგან ალებული ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მაგ-ალითი; მეორეს მხრივ კი, შესაძლებელია დარღვევა სინიორელის შემთხვევის ანალოგიურად მოხდეს და როდესაც ეს დარღვევა ამ სიტყვის, წინადადების თუ მოცემული კავშირის გარეშე გავლენებიდან ხდება, იმ ელემენტებიდან მომდინარე, რომელთა გამოთქმა არ შედის ჩვენს განზრახვაში და რომელთა აგზების შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ამ დარღვევით თუ ვიგებთ. უნდა დავასკვნათ, რომ აგზების ერთდროულობა, სიმულტანურობა არის ის საერთო, რაც ამ ორი ტიპის მცდართქმას აერთიანებს, ხოლო მოცემული წინადადების ან მოცემული კავშირის გარეთ ან მის ფარგლებში ყოფნა კი — მცდართქმის ორივე სახისათვის განასხვავებს. პირვე-ლი შეხედვით განსხვავება ისეთი დიდი არ ჩანს, როგორც ის შემდგომში ჩნდება მცდართქმის სიმპტომატოლოგიის გარკვეული დასკვნების გათვალისწინებისას, თუმცა სრულიად ნათე-ლია, რომ მხოლოდ პირველი შემთხვევა გვაძლევს იმედს, რომ მცდართქმის ფენომენის გახ-ილვისას დავასკვნათ ისეთი მექანიზმების არსებობის შესახებ, რომლებიც ისეთნაირად აერ-თიანებენ ცალკეულ ბგერებსა და სიტყვებს, რომ ისინი ურთიერთზეგავლენას ახდენენ მათივე არტიკულაციის პროცესზე. ესე იგი ისეთი დასკვნები, რომელთაც ლინგვისტი ისურვებდა, რომ მცდართქმის გამოკვლევიდან მიეღო. გარედან შემოსული გავლენით განპირობებული წი-ნადადებისა თუ ფრაზათა დარღვევის შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნებოდა, დარღვევების გამომწვევი ელემენტების დადგენა და შემდეგ წამოიჭრებოდა კითხვა, შეუძლია თუ არა დარღვევის მექანიზმსაც სიტყვათწარმოების ნავარაუდევი კანონზომიერებების გა-მოაშკარავება.

უფლება არ გვაქვს განვაცხადოთ, რომ მერინგერს და მაიერს „რთული ფსიქიკური ზე-გავლენებით“, იმავე სიტყვის, წინადადებისა თუ იგივე ფრაზის თანმიმდევრობის გარეთ არსებული ელემენტებით მეტყველების დარღვევის შესაძლებლობა გამორჩათ. მათ უნდა შეემჩნიათ, რომ ის თეორია, რომლის მიხედვითაც ფსიქიკისთვის ყველა ბგერა თანაბრად ღირებული არ არის, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ბგერითი დარღვევების, ან წინმსწრები და შემდგომი გამოძახილის ასახსნელად არის საკმარისი. იქ, სადაც სიტყვიერი დარღვევები ბგერით დარღვევებზე ვერ დაიყვნება, მაგ. სიტყვების ჩანაცვლებებისა და კონტამინაციების დროს, მცდართქმის მიზეზს ისინიც უნებლიერ იმ განზრახული ურთიერთკავშირის გარეთ ეძებდნენ და საქმის ამგვარი ვითარება მშვენიერი მაგალითებითაც გაათვალისწინება. მე შემდეგი ადგილების ციტირებას მოვახდენ:

რუ. ყვება ამბავს, რასაც ის სულის სიღრმეში „ლორობად“ აფასებს. მაგრამ ის ამის უფრო რბილად გამოხატვას ცდილობს და იწყებს: „მაგრამ მერე ისეთი ფაქტები გამოღორდნენ...“ მაიერი და მე ამას შევესწარით და რუ.-მ დაადასტურა, რომ „ლორობებზე“ იფიქრა. ის, რომ ამ ნაფიქრმა სიტყვამ (ლორობა) გამოააშკარავა თავი და უცბად გახდა ქმედითი და ლაპარაკის დროს წასცდა, ამ ორი სიტყვის მსგავსებით აიხსნება.

„ისევე როგორც კონტამინაციების, ჩანაცვლებების დროსაც, მაგრამ ალბათ კიდევ უფრო დიდი ხარისხით, დიდ როლს თამაშობენ ხატოვანი სიტყვა-თქმანი და ორაზროვანი შესიტყვებები. ისინი, მართალია ცნობიერების ზღვარს ქვემოთ, მაგრამ მაინც ქმედით სიახლოვეში არიან, ადვილად შეუძლიათ სათქმელ კომპლექსთან მსგავსების მეშვეობით მიზიდულ იქნენ და მეტყველების თანმიმდევრული მსვლელობის პროცესიდან გადახვევა გამოიწვიონ ან მეტყველებისას სიტყვების მსვლელობაში ჩაერთონ. ეს ხატოვანი სიტყვა-თქმანი, როგორც ვთქვით, ხშირად ცოტა ხნის წინ დასრულებული ენობრივი პროცესების „დაგვიანებული მგზავრები“ (გამოძახილი) არიან.

ზემოთაღნიშნული მსვლელობიდან გადახვევა მსგავსებითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, როცა რაიმე სხვა მსგავსი სიტყვა ცნობიერების ზღვარს ქვემოთ დევს, მაგრამ სათქმელად არ არის გამიზნული. ეს ეხება ჩანაცვლებებს. — ამიტომ ვიმედოვნებ, რომ გადამოწმებისას ჩემი წესები დადასტურდებიან. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ როცა დაკვირვება სხვა ადამიანზე ხდება, ცხადად გავიაზროთ ყველა შესაძლებლობა, თუ რაზე შეეძლო მოსაუბრეს ეფიქრა<sup>14</sup>. აქ ერთ კარგ მაგალითს მოვიყვან. ლი.-მ ჩვენს შეკრებაზე თქვა: „ეს ქალი შემამზინებდა“. მე დავ-ეჭვდი, რადგან ეს „მზ“ აუხსნელად მომეჩვენა. თავს უფლება მივეცი, მოსაუბრის ყურადღება მიექცია მის შეცდომაზე, „შემაშინებდა“-ს მაგივრად „შემამზინებდა“ რომ თქვა, რაზეც მაშინვე მიპასუხა: „დიახ, ეს იმიტომ, რომ ვფიქრობდი: არ ვიქნებოდი მზად“ და ა.შ.“

„კიდევ ერთი შემთხვევა. ვეკითხები რ. ფ. შიდ.-ს, თუ როგორ არის მისი ავადმყოფი ცხენი. მან მიპასუხა: „ხო, ალბათ გამწუხრდ... გაგრძელდება კიდევ ერთი თვე.“ ეს „გამწუხრდ“ „ხო“-თი სრულიად გაუგებრად მესახა, რადგან შეუძლებელი იყო „გაგრძელდების“ „გრ“-ს ემოქმედა ამგვარად. ამიტომ რ. ფ. შ.-ს ყურადღება გავამახვილებინე ამაზე, რაზეც მან მიპასუხა, რომ

იფიქრა „ეს ძალიან სამწუხარო ამბავიაო“. ესე იგი, მოსაუბრეს ორგვარი პასუხი ჰქონდა თავში, რომლებიც შეერწყნენ ერთმანეთს.“

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თუ როგორ ახლოს მოდის ცნობიერების ზღვარს ქვემოთ მდგომი ხატოვანი სიტყვა-თქმანის და შესიტყვებების გათვალისწინება, რომლებიც სათქმელად არ არიან განკუთვნილნი და ის მოწოდება, რომ გამოვიკითხოთ, თუ რაზე იფიქრა მოსაუბრემ ჩვენი „ანალიზების“ პირობებთან. ჩვენც იმავე გზით ვეძებთ არაცნობიერ მასალას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გამოკითხულის თავში მოსული სიტყვებიდან დარღვევის მატარებელი ელემენტის აღმოჩენამდე კომპლექსურ ასოციაციათა წყების გავლით უფრო გრძელი გზის გავლა გვიწევს.

მე შევჩერდები კიდევ ერთ საინტერესო ქცევაზე, რომელზეც მერინგერის მაგალითები მოწოდენ. ავტორის აზრით, განზრახულ წინადადებაში რომელიმე სიტყვის მსგავსება სხვა იმ სიტყვასთან, რომლის გამოთქმასაც არ ვაპირებთ, უკანასკნელს საშუალებას აძლევს, რომ დამახინჯების, გადანაცვლების, კომპრომისული წარმონაქმნის (კონტამინაციით) გზით სუბიექტის ცნობიერებაში შეაღწიოს.

შემაშინებდა	გაგრძელდება	გამოვლინდა
მზადყოფნა	სამწუხარო	ღორობა

„სიზმრების ახსნის“ შესახებ ჩემს ნაწერში განვმარტე, თუ რა წვლილი შეაქვს კონდენსაციის სამუშოს სიზმრის ლატენტური აზრებიდან ე.ნ. სიზმრის ცხადი შინაარსის შექმნაში. არაცნობიერი მასალის ორ ელემენტს შორის ნებისმიერი საგნობრივი ან სიტყვიერი მსგავსება საბაბია იმისათვის, რომ რაიმე მესამე, შერეული ან კომპრომისული წარმოდგენა შეიქმნას, რომელიც სიზმრის შინაარსში თავის ორივე კომპონენტს შეენაცვლება და რომელიც ამგვარი წარმომავლობიდან გამომდინარე, ასე ხშირად გამოირჩევა ცალკეული თვისებების წინააღმდეგობრიობით.

ამრიგად, მცდართქმის დროს ჩანაცვლებებისა და კონტამინაციების წარმოქმნა იმ კონდენსაციის სამუშაოს დასაწყისია, რომლის შედეგსაც ვპოულობთ სიზმრის აგების პროცესში.

უფრო ფართო წრებისათვის განკუთვნილ ერთ პატარა ნაშრომში (1900 წლის 23 აგვისტოს „ახალი თავისუფალი პრესა“: „როგორ შეიძლება მცდართქმა მოგვივიდეს“) მერინგერმა ყურადღება დაუთმო მცდართქმათა ისეთი შემთხვევების განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას, როცა რაიმე სიტყვას მისი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვით ჩავანაცვლებთ. „ალბათ ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს, თუ როგორ გახსნა ამას წინათ სხდომა ავსტრიის პარლამენტის საკრებულოს პრეზიდენტმა: „უზენაესო საკრებულო! ვადასტურებ ამდენი და ამდენი ბატონის აქციებისა და ამით ხსდომას დახურულად ვაცხადებ!“ მხოლოდ საყოველთაო მხიარულებამ მიაპყრო მისი ყურადღება შეცდომას და მან ის გამოასწორა. ამ შემთხვევაში ახსნა ალბათ ის იქნებოდა, რომ პრეზიდენტს სურდა, ეს სხდომა, რომლისგანაც არაფერ კარგს არ

ელოდა, ნამდვილად დაეხურა, მაგრამ — ეს ხშირი მოვლენაა — გვერდითმა აზრმა ნაწილობრივ მაინც გამოჟონა და შედეგად მივიღეთ „დახურული“ ნაცვლად „გახსნილისა“, ესე იგი იმის საპირისპირო, რისი თქმაც იყო განზრახული. მაგრამ მრავალგვარმა დაკვირვებამ მასწავლა, რომ, საერთოდ, ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვებს საქმაოდ ხშირად ვურევთ ერთმანეთში; ისინი უკვე ჩვენს ენობრივ ცნობიერებაში არიან ასოცირებულნი, ერთმანეთთან შემჭიდროვებულნი არიან და ძალიან ადვილად ხდება მათი შეცდომით წამოძახება.“

საპირისპიროთა არევის ყველა შემთხვევაში არ არის ასე ადვილი, როგორც პრეზიდენტის მაგალითში, იმის გამოაშკარავება, რომ მცდაროთქმა წინააღმდეგობის მიზეზით, ერთგვარი პროტესტის გამო ხდება, ხდება, რომელიც მოსაუბრის შიგნით გამოთქმული წინადადების საწინააღმდეგოდ აღიძვრება. ანალოგიური მექანიზმი ჩვენ „a liquis“-ის მაგალითის ანალიზის დროსაც ვიპოვეთ; შინაგანი წინააღმდეგობა იქ სიტყვის დავიწყებაში გამოვლინდა, მისი საპირისპიროთი ჩანაცვლების მაგივრად. მაგრამ, ამ განსხვავებების მოსახსნელად გვსურს შევნიშნოთ, რომ პატარა სიტყვა „aliquis“ იმ ანტიპოდის მატარებელი არ არის, რომელიც სიტყვა „დახურვას“ და „გახსნას“ ერთმანეთის მიმართ აქვთ და რომ „გახსნა“ როგორც ძალზე ხშირად გამოყენებული, ძნელად მიეცემა დავიწყებას.

თუ მერინგერისა და მაიერის ეს უკანასკნელი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ მეტყველების დარღვევა შეიძლება განვითარდეს როგორც ერთი და იმავე წინადადებაში გამოსათქმელად განკუთვნილი ბგერებისა და სიტყვების ზეგავლენით, ასევე გამოსათქმელად განზრახული წინადადების ფარგლებს მიღმა არსებული მყოფი სიტყვების ზემოქმედებით, რომლებიც სხვაგვარად ვერ გამოვლინდებოდნენ, მაშინ თავდაპირველად იმის გაგება უნდა მოვინდომოთ, შევგიძლია თუ არა მცდაროთქმის ეს ორი კლასი ერთმანეთისგან მკვეთრად გავმიჯნოთ და როგორ არის შესაძლებელი, ერთი კლასის მაგალითის მეორე კლასისაგან გარჩევა. გამოკვლევის ამ ადგილას კი ვუნდტის მოსაზრებები უნდა გავიხსენოთ, რომელიც ენის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ თავის მრავლისმომცველ გამოკვლევაში (ხალხთა ფსიქოლოგია, ტომი I, ნაწილი I, გვ. 371-დან, 1900) მცდაროთქმის გამოვლინებებსაც ეხება. რაც ამ გამოვლინებებსა და სხვებს, მათ მონათესავეთ, არასოდეს აკლიათ, ვუნდტის მიხედვით, ეს გარკვეული ფსიქიკური ზეგავლენებია. „ამაში, პირველ რიგში, პოზიტიურ წინაპირობად ითვლება გამოთქმული ბგერებით გამოწვეული ბგერითი და სიტყვიერი ასოციაციების შეუჩერებელი ნაკადი. ამას, როგორც უარყოფითი ფაქტორი, ემატება ნებისყოფის და ყურადღების ზეგავლენის შესუსტება ან სრული შეწყვეტა, რაც ამ ნაკადს აფერხებს. ამ შემთხვევაში ყურადღება ნებისყოფის ფუნქციად გვევლინება. ასოციაციის ეს თამაში ვლინდება თუ არა იმაში, რომ მომავალი წარმოსათქმელი ბგერის ანტიციპაცია ან წარმოთქმული ბგერის რეპროდუქცია ხდება, ან რომ ჩვევაში გამჯდარი რომელიმე ბგერა სხვებს შორის ჩაერთვება, ან და, ბოლოს და ბოლოს, იმაში, რომ სრულიად სხვა სიტყვები, რომლებიც გამოთქმული ბგერებით ასოციაციურ კავშირში იმყოფებიან, მათზე უკუქმედებენ — ყველაფერი ეს მხოლოდ განსხვავებებს აღნიშნავს ამ მიმართულებით და, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ სივრცეში,

განხორციელებულ ასოციაციებში, მაგრამ არა მათ საერთო ბუნებაში. ზოგიერთ შემთხვევაში ისიც კი შეიძლება იყოს საეჭვო, რომელ ფორმას უნდა მივაკუთვნოთ რაიმე გარკვეული დარღვევა ან უნდა დავიყვანოთ თუ არა ისინი, უფრო მეტად, მიზეზთა გართულების პრინციპის მიხედვით<sup>15</sup>, მრავალ მოტივთა თანხვედრაზე.“

ვუნდტის ეს შენიშვნები მართებულად და დამაკვალიანებლად მიმაჩნია. შეიძლება ვუნდტზე უფრო დიდი შემართებითაც გავუსვათ ხაზი იმას, რომ მეტყველებაში შეცდომების პოზიტიურად ხელშემწყობი მომენტი — ასოციაციათა შეუჩერებელი ნაკადი — და ნეგატიური — ყურადღების შემაკავებელი ზეგავლენის შესუსტება — სისტემატურად მოდიან ურთიერთქმედებაში, ისე რომ ორივე მომენტი ერთი და იმავე პროცესის მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებულ ასპექტებად იქცევა. ყურადღების შემაკავებელი ზეგავლენის შესუსტებასთან ერთად სწორედ ამ ასოციაციათა შეუჩერებელი ნაკადი ამოქმედდება; კიდევ უფრო ზუსტად რომ გამოვთქვათ: ამ შესუსტებით.

ჩემს მიერ შეგროვილ მცდართქმათა მაგალითებს შორის თითქმის ვერ ვპოულობ ისეთს, რომელშიც მეტყველების დარღვევა მხოლოდ და მხოლოდ იმაზე დაყვანება, რასაც ვუნდტი „ბგერათა კონტაქტურ გავლენას“ უწოდებს. თითქმის ყველა შემთხვევაში მე ვპოულობ დარღვევის გამომწვევ ზეგავლენასაც, რომელიც განზრახული ფრაზის ფარგლებს მიღმაა და ეს დამრღვევი ზეგავლენა ან ერთეული არაცნობიერად დარჩენილი აზრია, რომელიც მცდართქმით გამოავლენს თავს და ხშირად მხოლოდ გულმოდგინე ანალიზის მეშვეობით თუ უბრუნდება ცნობიერს, ან და ეს რაიმე უფრო ზოგადი ფსიქიკური მოტივია, რომელიც მთელი ფრაზის წინააღმდეგაა მიმართული.

1) ჩემს ქალიშვილს, რომელიც ვაშლში ჩაკერისას მჟავე სახეს იღებს, ციტატას მოვუყვან:

„მანჭიაობს მაიმუნი,  
მეტადრე ვაშლს როცა ჭამს.“

მე კი ვიწყებ: მანჭამს... ეს ალბათ „მანჭიაობის“ და „ჭამის“ კონტამინაციაა (კომპრომისული წარმონაქმნი ამ ორ სიტყვას შორის) ან და გამზადებული „ჭამის“ ანტიციპაციადაც შეიძლება იქნეს აღქმული. საქმის ვითარება უფრო ზუსტად შემდეგშია: ერთხელ მე ეს ციტატა უკვე წარმოვთქვი და პირველ ჯერზე არაფერი წამცდენია. მცდართქმა მომივიდა მხოლოდ მისი გამეორებისას, რომელიც აუცილებელი აღმოჩნდა, რადგან ის, ვისაც მივმართე, სხვა რამით იყო გართული და არ მისმენდა. სწორედ ეს გამეორება და მასთან დაკავშირებული მოუთმენლობა, ამ წინადადების მოშორების სურვილი ჩემი მცდართქმის მოტივების იმ რიგს უნდა მივაკუთვნო, რომელიც კონდენსაციის ქმნილებად გვევლინება.

2) ჩემი ქალიშვილი ამბობს: მე ვწერ ფრაუ შრეზინგერს... იმ ქალბატონს შლეზინგერი ჰქვია. მეტყველების ეს შეცდომა ალბათ არტიკულაციის შემსუბუქების ტენდენციასთან არის დაკავშირებული, რადგან „ლ“ გამეორებული „რ“-ს შემდეგ რთული გამოსათქმელია. მაგრამ ისიც უნდა დავამატო, რომ ჩემი ქალიშვილის ამ მცდართქმას რამდენიმე წუთით ადრე ჩემს მიერ არეული „მანჭამს“ და „მანჭიაობს“ უსწრებდა წინ. გამოდის, რომ მცდართქმა დიდწილად გადამდებია, ისევე როგორც სახელების დავიწყება, რომელთანაც მერინგერმა და მაიერმა

ეს თავისებურება შეამჩნიეს. ამ ფსიქიკური ინდუცირების მიზეზი ნამდვილად არ შემიძლია დავასახელო.

3) „ისე ვიკეცები როგორც დიბის ჯანა - ჯიბის დანა“, ამბობს ერთი პაციენტი ქალი სეანსის დასაწყისში, ბგერების არევით, რაც ისევ არტიკულაციის სიძნელით შეიძლება გავამართლოთ. როცა მეტყველების შეცდომაზე გავამახვილებინე ყურადღება, მაშინვე მიპასუხა: „დიახ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს თქვენ „შერიოზული“ (Ernscht) თქვით.“ მე მას მართლაც ამ ფრაზით დავხვდი: „დღეს სერიოზულს (Ernst) ვიზამთ“ (რადგან ბოლო სეანსი იყო გამგზავრებამდე) და „სერიოზული“ ხუმრობით „შერიოზულად“ გადავაკეთე. სეანსის მანძილზე მას კიდევ ბევრჯერ მოსდის მცდართქმა და ბოლოს ვამჩნევ, რომ იგი უბრალოდ ჩემს იმიტაციას კი არ აკეთებს, არამედ მას განსაკუთრებული მიზეზი აქვს, ქვეცნობიერში სიტყვა „სერიოზულთან“ როგორც სახელთან გაჩერდეს.<sup>16</sup>

4) „ისეთი გაციებული ვარ, რომ არ შემიძლია ვირით ცხვისუნთქო - ცხვირით ვისუნთქო“ (durch die Nase atmen) — წაცდება იგივე პაციენტს სხვა დროს. ის მაშინვე ხვდება თუ როგორ მივიდა მეტყველების ამ შეცდომამდე. „მე ყოველ დღე ჰაზენაუერის ქუჩაზე ვჯდები ტრამვაიში, და დღეს დილა-ადრიანად ვაგონს რომ ვუცდიდი, გამიელვა, რომ ფრანგი რომ ვყოფილიყავი, აზენაუერს ვიტყოდი, რადგან ფრანგები საწყის ბგერაში „ჰ-ს ყოველთვის ტოვებენ“. შემდეგ მოიყვანს მთელ რიგ რემინისცენციებს ფრანგებზე, რომლებსაც იცნობს, და ფართო შემოვლითი გზებით იმ მოგონებასთან მიაღწევს, რომ თოთხმეტი წლის ასაკში პატარა სპექტაკლში „მეწვრილმანე და პიკარდი“ პიკარდს თამაშობდა და მაშინ დამტვრეული გერმანულით ლაპარაკობდა. იმ შემთხვევითობამ, რომ მის საცხოვრებელში ახლახან პარიზელი სტუმარი ჩამოვიდა, მოგონებათა მთელი ეს წყება გააღვიძა. ესე იგი, ბგერების გადანაცვლება სრულიად უცხო კავშირიდან მომდინარე არაცნობიერი აზრის ზეგავლენით იყო გამოწვეული და არავითარი კავშირი არ ჰქონდა საუბრის თემასთან.

5) მცდართქმის მექანიზმი მსგავსია ერთ სხვა პაციენტ ქალთან, რომელსაც მეხსიერება ღალატობს სწორედ იმ დროს, როცა დიდი ხნის წინ მივიწყებულ ბავშვობის მოგონებას მიეცემა. ის, თუ სხეულის რა ადგილას წვდა მას სხვისი ცნობისმოყვარე და მსუნავი ხელი, მეხსიერება არ ეუბნება. პირდაპირ ამის მერე ის თავის დაქალს ინახულებს და მას საზაფხულო აგარაკებზე ესაუბრება. როცა ეკითხებიან, თუ სად მდებარეობს მისი პატარა სახლი მ.-ში, იგი პასუხობს: მთის მკერდობზე ნაცვლად მთის ფერდობისა.

6) კიდევ ერთი პაციენტი ქალი, რომელსაც სეანსის დამთავრების შემდეგ ვეკითხები, თუ როგორ არის ბიძამისი, მპასუხობს: „არ ვიცი, ეხლა მას მარტო *in flagranti* თუ ვხედავ.“ მეორე დღეს ის იწყებს: „საშინლად შემრცხვა, ასეთი სულელური პასუხი რომ მოგეცით. რა თქმა უნდა, სრულიად გაუნათლებელ პიროვნებად მიგაჩინივართ, რომელიც გამუდმებით ურევს ერთმანეთში უცხოურ სიტყვებს. მე მინდოდა მეთქვა: *en passant*.“ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თუ საიდან მოეტანა მას ეს არასწორად გამოყენებული უცხოური სიტყვები. მაგრამ იმავე სეანსის დროს, წინა დღის თემაზე საუბრისას მას ერთი ვითარება, რომელშიც *in flagranti* ნივთიერი

სამხილით დაჭერა ასრულებდა მთავარ როლს. ამგვარად, წინა დღის შეცდომამ, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი მოგონების ანტიციპაცია მოახდინა.

7) კიდევ ერთი სხვა პაციენტის შესახებ, ანალიზის მსვლელობისას, იმ მოსაზრების გამოთქმა მიწევს, რომ იმ დროს, რომელსაც იმ მომენტში ვეხებით, მას თავისი ოჯახის რცხვენოდა და მამამისს საყვედურობდა და ჩვენთვის ჯერ უცნობ ბრალდებას უყენებდა. იგი ამდაგვარს ვერაფერს იხსენებს და ეს საეჭვოდაც მიაჩნია. თუმცა იგი საუბარს აგრძელებს ოჯახზე შენიშვნებით: „ისინი მაინც განსაკუთრებული ადამიანები არიან, ყველას აქვს შურიერება — მე მინდოდა მეთქვა — „სულიერება“ (*Geist*). და მართლაც ეს იყო ის ბრალდება და საყვედური, რომელიც მას თავისი მეხსიერებიდან განედევნა. ის, რომ ამ მცდართქმაში სწორედ ის აზრი გამოხტება, რომლის დათრგუნვაც გვინდა, ხშირად ხდება (შეადარე მერინგერის შემთხვევა: გამოღორვა, გამოვლენის ნაცვლად). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მერინგერთან პიროვნებას ისეთი რამის დათრგუნვა სურს, რაც მას გაცნობიერებული აქვს, როცა ჩემი პაციენტი ამ დათრგუნულს ვერ აცნობიერებს, ან და, შეიძლება ითქვას, არ იცის, თუ რას თრგუნავს და რომ რაღაცას თრგუნავს.

8) განზრახ შეკავებასთანაა დაკავშირებული მცდართქმის შემდეგი მაგალითიც. ერთხელ, დალმათიაში, ორ ქალბატონს შევხვდი, რომლებიც ტურისტებივით იყვნენ ჩაცმულნი. მე მათ რაღაც მონაკვეთზე გავყევი და ვსაუბრობდით იმ სიამოვნებებზე, მაგრამ ასევე იმ უხერხულობებზე, რასაც ტურისტული ცხოვრების წესი გვთავაზობს. ერთერთი ქალბატონი აღიარებს, რომ დღის გატარების ეს წესი საკმაოდ შეიცავს შემანუხებელ ფაქტორებსაც. „მართალია“, თქვა მან, „რომ სრულებითაც არაა სასიამოვნო, როცა მთელი დღე მზეში სიარულის შემდეგ მაისური და პერანგი სულ მთლად გაოფლიანებულია.“ ამ წინადადებაში მას მოუნია ერთი პატარა შეცბუნება დაეძლია. შემდეგ განაგრძო: „მაგრამ მერე საცვალში (სახლის მაგივრად) რომ ბრუნდები და გამოცვლა რომ შეგიძლია...“ მივიწინე, რომ აქ ჩაძიება არ იყო საჭირო, ამ მცდართქმის ასახსნელად. ქალბატონს აშკარად განზრახული ჰქონდა, ჩამონათვალი უფრო სრული გაეხადა და ეთქვა: მაისური, პერანგი და საცვალი. მესამე სახის თეთრეულის დასახელების განზრახვა მან წესიერების გამო დათრგუნა. თუმცა შემდეგ, შინაარსობრივად დამოუკიდებელ წინდადებაში განდევნილმა სიტყვამ როგორც მისი მსგავსი სიტყვის — „სახლის“ — დამახინჯებამ მისი ნების საწინააღმდეგოდ მაინც გაიტანა თავი.

9) „თუ ხალიჩების ყიდვა გინდათ, კაუფმანთან მიდით მათეს ქუჩაზე. მე მგონი, იქ თქვენთვის რეკომენდაციის გაწევაც შემიძლია, „მეუბნება ერთი ქალბატონი. მე ვიმეორებ: „ესეიგი მათესთან... კაუფმანთან, მინდოდა მეთქვა.“ თითქოს ეს დაბნეულობის შედეგი იყო, ერთი სახელი მეორის ნაცვლად რომ გავიმეორე. ამ ქალბატონის საუბარს მართლაც დავებნიე, რადგან ყურადღება სხვა რაღაცაზე გამამახვილებინა, რაც ჩემთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ხალიჩები. კერძოდ, მათეს ქუჩაზე ის სახლი დგას, რომელშიც ჩემი ცოლი ცხოვრობდა, როცა ჯერ კიდევ საცოლე იყო. სახლს შესასვლელი სხვა ქუჩიდან ჰქონდა, და შევამჩინე, რომ მისი სახელი დამვიწყნოდა და რომ მისი ცნობიერში დაბრუნება მხოლოდ შემოვლითი

გზების მეშვეობით შემეძლო. სახელი მათე, რომელთანაც გაჩერებული ვარ, ჩემთვის, ესე იგი, ჩასანაცვლებელი სახელია ქუჩის დავიწყებული სახელისათვის. ამისათვის ის უფრო შესაფერისია, ვიდრე სახელი კაუფმანი, რადგან მათე მარტო საკუთარი სახელია, კაუფმანი<sup>17</sup> კი — არა, და დავიწყებულ ქუჩასაც საკუთარი სახელის მიხედვით ჰქვია: რადეცკი.

10) ნინამდებარე შემთხვევა შემეძლო შემდგომში განსახილველ „შეცდომებშიც“ ჩამესვა, თუმცა მას აქვე მოვიყვან, რადგან ის ბგერითი მიმართებები, რომელთა საფუძველზეც სიტყვის ჩანაცვლება ხდება, განსაკუთრებით მკაფიოა. ერთი პაციენტი ქალი მიყვება თავის სიზმარს: ვიღაც ბავშვმა გადაწყვიტა, გველის ნაკბენით მოიკლას თავი. მას ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოჰყავს. ქალი უყურებს, თუ როგორ იკრუნჩება ის და ა.შ. ახლა კი მე მას ვთავაზობ, რომ სიზმარი დააკავშიროს ნინადღით განცდილთან. მაშინვე ახსენდება, რომ გუშინ საღამოს გველის მიერ კბენის შემთხვევაში პირველადი დახმარების შესახებ საჯარო ლექციას მოუსმინა. თუ გველმა ერთდროულად დაკბინა უფროსი და ბავშვი, მაშინ პირველ რიგში ბავშვის იარა უნდა დამუშავდეს. იგი იხსენებს, თუ რა ინსტრუქციები მისცა მათ მომხსენებელმა. მას უთქვამს, რომ ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი სახეობა გიკბენს. აქ მე მას ვაწყვეტინებ და ვეკითხები: მან არ გითხრათ, რომ ჩვენს მხარეში ძალიან ცოტა შხამიანი გველია და რომლებია საშიში? „კი, მან განსაკუთრებით ჩხრიალა გველზე (*Klapperschlange*) გაამახვილა ყურადღება.“ ჩემი სიცილი მას ახვედრებს, რომ რაღაც არასწორი თქვა. მაგრამ ის ახლა სახელს კი არ ასწორებს, არამედ უკან მიაქვს ნათქვამი. „მართლაც, ის ხომ ჩვენს მხარეში არ არის, ასპიტზე ლაპარაკობდა ის კაცი. მაინც რამ მათქმევინა ჩხრიალა გველი?“ მე ვვარაუდობ, რომ იმ აზრების ზეგავლენით, რომელიც სიზმრის უკან იყო დამალული. გველის ნაკბენით თვითმკვლელობა სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა მინიშნება მშვენიერ კლეოპატრაზე. ორივე სიტყვის საკმაოდ დიდი ბგერითი მსგავსება, „კლ..პ...რ“-ასოების ერთნაირ რიგითობაში და „ა“-ასოზე აქცენტირებაში თანხვედრა შეუძლებელია ვერ შეამჩნიო. ჩხრიალა გველსა (*Klapperschlange*<sup>18</sup>) და კლეოპატრას შორის მიმართება მასში წამიერად მსჯელობის უნარის დაქვეითებას იწვევს, რის შედეგადაც იგი იმ განცხადებაში, რომ მომხსენებელმა ვენის პუბლიკას ჩხრიალა გველის ნაკბენების მოვლა ასწავლა, ვერაფერ უცნაურს ვერ ხედავს. ისე, მან ისევე კარგად იცის, როგორც მე, რომ ამ სახის გველი ჩვენს ფაუნას არ მიეკუთვნება. არც იმაში დავძრახავთ მას, რომ ვერ მოისაზრა ჩხრიალა გველის ეგვიპტეში ლოკალიზება, რადგან ჩვენ მიჩვეულები ვართ, ყველაფერ გარეევროპულს, ეგზოტიკურს ერთად მოვუყაროთ თავი, და მეც კი რაღაც გარკვეული დრო დამჭირდა, სანამ ის აზრი გამოვთქვი, რომ ჩხრიალა გველი მხოლოდ ახალ მიწას მიეკუთვნება.

ანალიზის მსვლელობასთან ერთად კიდევ ბევრი დამადასტურებელი არგუმენტი იჩენს თავს. სიზმრის მნახველმა გუშინ პირველად დაათვალიერა მისი ბინის ახლოს შტრასერის მიერ დადგმული ანტონიუსის სკულპტურა. ეს იყო, ესე იგი, სიზმრის მეორე საბაბი (პირველი გველის ნაკბენებზე ლექცია იყო). სიზმრის გაგრძელებაში ის ვიღაც ბავშვს არწევდა, რაზეც მას გრეტჰენი გაახსენდა. იმას, რაც შემდგომ ახსენდება, „არიასა და მესალინაზე“ მოაქვთ რემი-

ნისცენციები. სიზმარში პიესებიდან ამდენი სახელის გამოჩენა უკვე გვაფიქრებინებს, რომ სიზმრის მნახველი ადრეულ წლებში მსახიობის კარიერაზე ოცნებობდა.

სიზმრის დასაწყისი: „ერთმა ბავშვმა გადაწყვიტა, სიცოცხლე გველის ნაკბენით დაესრულებინა“, სხვას მართლა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ პაციენტს ბავშვობაში განზრახული ჰქონდა, ოდესმე ცნობილი მსახიობი გამოსულიყო. სახელ მესალინადან იმ აზრთა ნაკადს, რომელსაც სიზმრის არსებით შინაარსამდე მივჰყავდით, უკვე სხვა მიმართულება აქვს. ბოლო დროის გარკვეულმა შემთხვევებმა ის საზრუნავი გაუჩინეს, რომ მის ერთადერთ ძმას შეიძლება მათი წრისთვის შეუფერებელი არაარიელი ცოლი მოეყვანა, ანუ მეზალიანსმი (Me-salience) შესულიყო.

11) მინდა ერთი სრულიად უმანკო და, მოტივაციის მხრივ შეიძლება ჩვენთვის საკმარის დონეზე აუხსნელი, მაგალითიც მოვიყვანო, რადგან ის სრულიად გამჭვირვალე მექანიზმს გვიჩვენებს:

იტალიაში მოგზაურ ერთ გერმანულს დასჭირდა ღვედი (*riemen*), თავისი დაზიანებული ჩემოდანი რომ შეეკრა. ლექსიკონი ღვედისათვის იტალიურ სიტყვა „coreggia“-ს აწვდის. ის მიიჩნევს, ამ სიტყვას ადვილად დავიმახსოვრებო მხატვრის (კორეჯოს) სახელზე ფიქრით. შემდეგ მაღაზიაში მიდის და ითხოვს: *una ribera*.

როგორც ჩანს, მას არ გამოუვიდა, მეხსიერებაში გერმანული სიტყვა იტალიურით ჩაენაცვლებინა, მაგრამ მის გარჯას მთლად ამაოდ მაინც არ ჩაუვლია. მან იცოდა, რომ მხატვრის სახელს უნდა მიჰყოლოდა, და ასე იგი იმ მხატვრის სახელს კი არ მიადგა, რომელიც საჭირო იტალიურ სიტყვას ჰგავს, არამედ სხვას, რომელიც გერმანულ სიტყვა *riemen*-ს (ღვედს) უახლოვდება. ბუნებრივია, შემეძლო ეს მაგალითი როგორც სახელთმავინწყობის ისე მცდართქმის შემთხვევებშიც ჩამესვა.

როცა ამ ნაწერის პირველი გამოცემისათვის მცდართქმის მაგალითებს ვაგროვებდი, ისე მოვიქეცი, რომ ყველა შემთხვევა, რომლებზე დაკვირვებაც შემეძლო, მათ შორის ყველაზე ნაკლებად შთამბეჭდავებიც კი, ანალიზს დავუქვემდებარე. მას შემდეგ ბევრმა სხვამ იტვირთა ეს სახალისო ჯაფა, მცდართქმები ეპოვნა და გაეანალიზებინა, და ამგვრად ისეთ მდგომარეობა შემიქმნეს, რომ შემიძლია უფრო მდიდარი მასალიდან ამოვარჩიო მაგალითები.

12) ერთი ახალგაზრდა კაცი ეუბნება მის დას: დ.-ებთან უკვე მთლიანად გავწყვიტე ურთიერთობა, აღარც კი ვესალმები. მისი და პასუხობს: საერთოდ, საეჭვო ზასოგადოებაა. მას უნდოდა ეთქვა: საზოგადოება, მაგრამ მან კიდევ ორი რამ ჩაატია მეტყველების ამ შეცდომაში, ის, რომ ერთ დროს მის ძმას თავად ჰქონდა ამ ოჯახის ქალიშვილთან ფლირტი, და რომ ამ გოგოზე ამბობდნენ, ბოლო დროს სერიოზულ, სრულიად გაუგონარ სასიყვარულო ისტორიაში არის გახვეულიო.

13) ახალგაზრდა კაცი ქუჩაში ერთ ქალბატონს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ნება მომეცით, ქალიშვილო, გაგამციროთ..“ ის აშკარად ფიქრობდა, რომ სიამოვნებით გააცილებდა მას, მაგრამ ეშინოდა, რომ ამ შეთავაზებით ქალიშვილს დაამცირებდა. ის, რომ ამ ორმა ურთი-

ერთსაწინააღმდეგო გრძნობამ ერთ სიტყვაში — სწორედ ამ მცდართქმაში — ჰპოვა გამოხატულება, იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდა კაცის ნამდვილი განზრახვები მთლად წმინდა არ იყო და მას თავად უნდა მოსჩვენებოდა ისინი დამამცირებლად ამ ქალის წინაშე. ხოლო, როცა იგი ქალისაგან სწორედ ამის დამალვას ცდილობდა, მისმა ქვეცნობიერმა ის ოინი გაუკეთა, რომ თავისი ნამდვილი განზრახვა გასცა, რითიც, მეორეს მხრივ, მან ქალს შემდეგი საზოგადოდ გავრცელებული პასუხით დაასწრო: „როგორ გგონიათ, რითი შეგიძლიათ ეხლა დამამციროთ?“ (მაგალითი მომაწოდა ო. რანკმა.)

ზოგ მაგალითი მომყავს 1904 წლის 4 იანვარს ვ. შტეკელის მიერ „ბერლინერ ტაგებლატში“ გამოქვეყნებული სტატიიდან „ქვეცნობიერი აღიარებები“.

14) „ჩემი ქვეცნობიერი ფიქრების ერთ პატარა უსიამოვნო ნაწილს ააშკარავებს შემდეგი მაგალითი. იმთავითვე იგულისხმება, რომ ჩემს საექიმო პრაქტიკაში მოხვეჭის სურვილით არა-სოდეს ვიყავი შეპყრობილი და მუდამ ავადმყოფის ინტერესები მაქვს თვალთახედვის არეში, რაც, რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადი ამბავია. ვიმყოფები ერთ ქალთან, რომელსაც, მძიმე ავადმყოფის შემდეგ, გამოჯანმრთელების სტადიაში როგორც ექიმი დახმარებას ვუწევ. ერთად ბევრი რთული დღე და ღამე გადავიტანეთ. ბედნიერი ვარ, მას უკეთეს მდგომარეობაში რომ ვხედავ, ვუხატავ აბაციაში დასვენების მთელ ნეტარებებს და ვამატებ: „თუ თქვენ, როგორც ვიმედოვნებ, ლოგინიდან მალე არ წამოდგებით...“ აშკარად ქვეცნობიერის ეგოს-ტური მოტივიდან წარმოიშვა ის, რომ კიდევ დიდხანს შემძლებოდა ამ მდიდარი ავადმყოფის მკურნალობა, ისეთი სურვილიდან, რომელიც ჩემი ფხიზელი ცნობიერებისთვის სრულიად უცხოა და რომელსაც დარცხვენილი უარვყოფდი.“

15) სხვა მაგალითი (ვ. შტეკელი). „ჩემი ცოლი ნაშუადლევისათვის მოსამსახურედ ერთ ფრანგ ქალს იყვანს და უნდა, რომ, პირობებზე შეთანხმებამდე, მისი დოკუმენტები დაიტოვოს. ფრანგი სთხოვს, რომ ისინი დაუპრონოს, შემდეგი საპატიო: „*Je cherche encore pour les après-midiens, pardon, pour les avant-midiens*“<sup>19</sup>. როგორც ჩანს, მას განზრახული ჰქონდა, სხვაგანაც მიმოეხედა და იქნებ უკეთესი პირობები მიეღო — განზრახვა, რომელიც მან შეასრულა კიდევაც.“

16) (დრ. შტეკელი) „ერთი ქალისათვის ლევიათანი უნდა წამეკითხა და მისი ქმარი, რომლის თხოვნითაც ხდებოდა ეს, კარს უკან დგას და გვიყურადებს. ქადაგების ბოლოს, რომელმაც აშკარად მოახდინა შთაბეჭდილება, მე ვამბობ: „ხელს ემთხვიე, მოწყალეო ბატონი!“ ამით საქმეში ჩახედული უნდა მიმხდარიყო, რომ ეს სიტყვები იმ ბატონისადმი იყო მიმართული და რომ მე ეს მის გამო წარმოვთქვი.“

17) დრ. შტეკელი თავის თავზე ყვება, რომ ერთ დროს ორ ტრიესტელ პაციენტს მკურნალობდა, რომლებსაც ის ყოველთვის ერთმანეთის სახელებით ესალმებოდა. „დილა მშვიდობისა, ბატონი ჰელონი“, — ვეუბნებოდი ასკოლის, — „დილა მშვიდობისა, ბატონი ასკოლი“, — ჰელონის. ის თავიდან არანაირ უფრო ღრმა მოტივაციას არ მიაწერდა ამ არევას და ამას მხოლოდ ორივე ბატონის მრავალი საერთო ნიშნით ხსნიდა. თუმცა, ადვილი გახდა მისი დარწმუნება,

რომ აქ სახელების ეს არევა ერთგვარ კუდაბზიკობას შეესაბამებოდა, რომლითაც, შესაძლოა, თავისი ორივე იტალიელი პაციენტისთვის სურდა ეთქვა, რომ იგი არაა ერთადერთი ტრიესტელი, რომელიც ვენაში ჩამოდის, რათა მას სამედიცინო რჩევა ჰქონის.

18) თავად დრ. შტეკელი ამბობს ერთ ხმაურიან გენერალურ შეკრებაზე: გადავჩეუბვართ (გადავდივართ) დღის წესრიგის მეოთხე პუნქტზე.

19) წარდგენის სიტყვაში ერთმა პროფესორმა თქვა: „მე არ მივდგები (გამოვდგები) ჩემი დიდად პატივსაცემი წინამორბედის დამსახურებათა ჩამოთვლას.“

20) დრ. შტეკელი ეუბნება ქალბატონს, რომელთანაც ბაზედოვის დაავალებას ეჭვობს: „თქვენ ერთი ჩიყვით (თავით) მაღალი ხართ თქვენს დაზე.“

21) დრ. შტეკელი ყვება: ვიღაცას სურს აღნეროს ორი მეგობრის ურთიერთობა, რომელთაგან ერთერთი უნდა დახასიათდეს როგორც ებრაელი. ის ამბობს: ისინი ისე იყვნენ ერთად როგორც კასტორი და პოლაკი. <sup>20</sup> ეს სრულებითაც არ იყო ხუმრობა, მოსაუბრემ ვერც კი შეამჩნია ეს მცდართქმა და მხოლოდ მე მივაპყრობინე მას ამაზე ყურადღება.

22) ხანდახან ერთი მცდართქმა მთელი ზედმიწევნითი დახასიათების საქმეს აკეთებს. ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც სახლში უფროსობს, თავის ავადმყოფ ქმარზე მიყვება, რომ ის ექიმთან იყო, რათა მისთვის საჭირო დიეტაზე ეკითხა. ექმის უთქვამს, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი. „მას შეუძლია ჭამოს და სვას, რაც მე მინდა.“

თ. რაიკის მომდევნო მაგალითები (ფსიქოანალიზის საერთაშორისო ჟურნალი, III, 1915) ისეთი სიტუაციებიდანაა აღებული, როცა მცდართქმა განსაკუთრებით ადვილად ხდება, რადგან უფრო მეტი უნდა იქნას დათრგუნული, ვიდრე უნდა თქმულიყო.

23) ერთი ბატონი ახალგაზრდა ქალბატონს, რომლის ქმარიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა, სამძიმარს უცხადებს და მიუგებს: „ნუგეშს პპოვებთ იმაში, რომ მთლიანად თქვენს ბავშვებს მიუქვრებთ თავს.“ დათრგუნული აზრი სხვაგვარ ნუგეშზე მიუთითებს: ახლაგაზრდა ქვრივი მალე ახალ სექსუალურ სიამოვნებას მიიღებს.

24) იგივე ბატონი იმავე ქალბატონს სალამოს შეკრებილ საზოგადოებაში იმ დიდ სამზადისებზე ესაუბრება, რომლებიც ბერლინში აღდგომის დღესასწაულისათვის იმართება, და ეკითხება: „ნახეთ დღეს ვერთპაიმის ვიტრინაში რეებია გამოდებული? სულ დეკოლტირებულია.“ მას არ ჰქონდა უფლება, მშვენიერი ქალის დეკოლტეთი აღფრთოვანება ხმამაღლა გამოეთქვა, ახლა კი უკუგდებულმა აზრმა თავისი გაიტანა, საქონლის ვიტრინის დეკორაციის დეკოლტირებად გადაქცევით, რაშიც სიტყვა „გამოდებული“ არაცნობიერად ორმაგი დატვირთით იქნა გამოყენებული.

იგივე ეხება იმ დაკვირვებასაც, რომლის გადმოცემაც სურს დრ. ჰანს ზაქსს:

25) „ერთი ქალბატონი ჩვენს საერთო ნაცნობზე მიყვება, რომ, ბოლოს რომ ვნახე, ისევე ელეგანტურად იყო გამოწყობილი როგორც ყოველთვის და განსაკუთრებით ლამაზი, ყავისფერი ნახევრად დახურული ფეხსაცმელი ეცვაო. ჩემს კითხვაზე, თუ სად ნახა იგი, ქალმა მიპასუხა: „მან ჩემი სახლის კარის ზარი დარეკა და მე ის ჩამოშვებული უალუზებიდან დავინახე. მაგრამ

არც კარი გამიღია და არც სიცოცხლის რაიმე ნიშანი მიმიცია, რადგან არ მინდოდა გაეგო, რომ უკვე ქალაქში ვიყავი. „მოსმენისას ვფიქრობ, რომ ის რაღაცას მიმალავს, ალპათ სწორედ იმას, რომ, მან კარი არ გააღო, რადგან მარტო არ იყო და სტუმრის მისაღებად შესაფერისად ჩაცმული არ იყო, და ცოტათი ირონიულად ვკითხე: „ესე იგი დახურული უაღუზებიდან შეძელით მისი სახლებრად... ნახევრად დახურული ფეხსაცმლით დამტკბარიყავით?“ „სახლის ფეხსაცმელში“ მის სახლის ტანისამოსზე შეკავებული ფიქრი გამოაშკარავდა. მეორე მხრივ კი, სიტყვა „ნახევრის“ მოშორების მოთხოვნილება იმიტომ გაჩნდა, რომ სწორედ ამ სიტყვაში იდო უკუგდებული პასუხის არსი: „თქვენ მხოლოდ ნახევარ სიმართლეს მეუბნებით და მიმაღავთ, რომ მხოლოდ ნახევრად იყავით ჩაცმული.“ ეს მცდართქმა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ზუსტად მანამდე ჩვენ ზემოთხსენებული კაცის ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე, „ოჯახურ ბედნიერებაზე“ ვსაუბრობდით, რაც მის პერსონაზე გადასვლაში განმსაზღვრელი იყო. და ბოლოს უნდა ვაღიარო, რომ შეიძლება ჩემმა შურმაც იმოქმედა, როცა ეს ელეგანტური ბატონი სახლის ფეხსაცმელებით გამოვაჭენე ქუჩაში; მეც ვიყიდე ამასწინათ ყავისფერი ნახევრად დახურული ფეხსაცმელები, რომლებიც უკვე ნამდვილად აღარ არიან „განსაკუთრებით ლამაზი“.

დღევანდელი ომის მსგავს პერიოდებს ისეთ მცდართქმათა მთელი წყება მოაქვთ, რომელთა გაგებაც არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს.

26) „რომელ ბატალიონში იმყოფება თქვენი ვაჟი?“ - ეკითხებიან ერთ ქალბატონს. ის პასუხობს: „42-ე მკვლელებში (მცველებში).“

27) ლეიტენანტი ჰენრიკ ჰაიმანი ბრძოლის ველიდან იწერება: „მე დამატყვევებელი წიგნის კითხვას მწყვეტენ, რომ ცოტა ხნით რადისტი შევცვალო. ხელმძღვანელობის მიერ მძიმე ტექნიკის სადგომის შემოწმებაზე ასე ვრეაგირებ: კონტროლი სწორია, კავშირის სიწყნარე. რეგლამენტის მიხედვით ასე უნდა ყოფილიყო: კონტროლი სწორია, კავშირის დასასრული. ჩემი წაცდენა იმ გაღიზიანებით აიხსნება, რომ კითხვაში შემაწუხეს.“ (ფსიქოანალიზის საერთ. ჟურნ., IV, 1916/17.)

28) ფელდფერები არიგებს ჯარს, რომ ზუსტად გააგზავნონ თავიანთი მისამართები სახლებში, რათა მათი ქონი (ქონება) გზაში არ დაიკარგოს.

29) ამ არაჩვეულებრივ და თავისი ძალიან სამწუხარო წარსულის მქონე მნიშვნელოვან მაგალითს მე დრ. ლ. შემთხვევაში მონაყოლს ვუმადლი, რომელმაც, ომის დროს ნეიტრალურ შვეიცარიაში ყოფნისას, ეს დაკვირვება გააკეთა და ამომწურავად გააანალიზა. მის მონათხობს აქ პატარა, შედარებით არაარსებითი ნაწილების გამოტოვებით გადმოგცემთ:

„თავს უფლებას მივცემ, „მცდართქმის“ ერთ შემთხვევაზე მოგიყვეთ, რომელიც ბატონ პროფესორ მ. 6.-ს ა. ში ამჟამად უკვე დასრულებული ზაფხულის სემესტრის დროს შეგრძნებათა ფსიქოლოგიაზე ლექციის კითხვისას გაეპარა. წინასწარვე უნდა გაცნობოთ, რომ ეს ლექციები უნივერსიტეტის დარბაზში ფრანგი ინტერნირებული ომის ტყვეებისა და უმეტეს შემთხვევაში ანტანტის მომხრე ფრანგებისა და შვეიცარიის შემდგარი სტუდენტობის წინაშე იკითხებოდა. ა. ში, როგორც თვითონ საფრანგეთში, სიტყვა *boche* ამჟამად მხოლოდ

გერმანელის ალსანიშნავად იხმარება. თუმცა ღია ყრილობებზე, ისევე როგორც ლექციებზე და ამისთანებზე მსხვილი მოხელეები, პროფესორები და სხვა პასუხისმგებელი პირები ცდილობენ, ნეიტრალიტეტის გამო, ამ ავ სიტყვას მოერიდონ.

ამასობაში პროფესორი ნ. იმით იყო დაკავებული, რომ აფექტების პრაქტიკული მნიშვნელობა გაერჩია, და განიზრახა, ერთი მაგალითის ციტირება მოეხდინა რომელილაც აფექტის მიზანმიმართული გამოყენებისთვის, რათა კუნთების თავისთავად უინტერესო სამუშაო პოზიტიური გრძნობებით დაეტვირთა და ამგვარად უფრო ინტენსიურად გამოეკვეთა. ამისათვის იგი მოყვა, რა თქმა უნდა ფრანგულად, საყოველთაო გერმანული გაზეთიდან აქაურ გაზეთებში გადმობეჭდილი ამბავს გერმანელი მასწავლებლის შესახებ, რომელმაც თავის მოსწავლეებს ბალში მუშაობისას სტიმულის მისაცემად უბრძანა, წარმოედგინათ, თითქოს თითოეული გოჯი მიწის ნაცვლად ფრანგის თავის ქალას აპობდნენ. ამ ამბის მოყოლისას ნ., რა თქმა უნდა, ყოველთვის, როცა გერმანელზე იყო საუბარი, სრულიად კორექტულად ამბობდა *Allemand-s* და არა *boche-s*. თუმცა, როცა თავისი ისტორიის პუანტესთან მივიდა, მასწავლებლის სიტყვები მან შემდეგნაირად გადმოთქვა: „*Imaginez vous, qu'en chaque moche vous ecrasez le crane d'un Francais.*“ ესეიგი, *motte-s* (გოჯი) ნაცვლად — *moche!* (მახინჯი.)

ხომ აშკარაა, როგორ აჰყავს კორექტულ სწავლულს თხრობის დაწყებიდანვე თავი ხელში, რომ არ მინებდეს ჩვევას და, შეიძლება ითქვას, ცდუნებასაც, და ის მთავრობის ბრძანებითაც კი მკაცრად უარყოფილი სიტყვა უნივერსიტეტის დარბაზის კათედრიდან არ წამოროშვას! და სწორედ იმ მომენტში, როცა მან ბედნიერად ბოლოჯერ სრულიად კორექტულად თქვა „*instituteur allemand*“ და შინაგანად ამოსუნთქვით უპრობლემო დასასრულისაკენ მიიჩქარის, წვალებით უკუგდებული ის სიტყვა მიეკრობა სიტყვა *motte-s* მსგავს უდერადობას და — უბედურებაც ხდება. პოლიტიკური უტაქტობის შიში, შეიძლება უკუგდებული სურვილიც, ეს ჩვეული და ყველას მიერ გამოყენებული სიტყვა მაინც ეხმარა, ისევე როგორც სულით ხორცამდე რესპუბლიკელისა და დემოკრატის შინაგანი ჯანყი აზრის თავისუფლად გამოთქმის ნებისმიერი სახის შეზღუდვის წინააღმდეგ მაგალითის კორექტულად გადმოცემაზე მიმართულ მთავარ განზრახვასთან ინტეფერირებენ. ინტერფერირების ეს ტენდენცია მოსაუბრისათვის ცნობილია და — სხვანაირად ეს არც შეიძლებოდა ყოფილიყო — ზუსტად მცდართქმამდე იგი ამაზე ფიქრობდა.

პროფესორმა ნ.-მ თავისი ეს მცდართქმა ვერ შეამჩნია, ყოველ შემთხვევაში, მან ის არ შეასწორა, რაც, წესით, მაშინვე ხდება ავტომატურად. სამაგიეროდ ლაფსუსი ძირითადად ფრანგებისგან შემდგარმა აუდიტორიამ დიდი სიამოვნებით მიიღო და სრულიად განზრახული სიტყვიერი ხუმრობის შთაბეჭდილება დატოვა. მე კი ამ თითქოს უხიფათო მოვლენას ნამდვილი შინაგანი მღელვარებით მივყვებოდი. რადგან, თავისთავად ცხადი მიზეზების გამო არ უნდა დამესვა პროფესორისათვის ფსიქოანალიტიკური მეთოდის ცოდნით გამოწვეული აკვიატებული კითხვები, ეს მცდართქმა ჩემთვის საბუთი იყო, რომ თქვენი მოძღვრება ცდომილებათა განსაზღვრულობის შესახებ მართებულია და მცდართქმასა და ხუმრობას შორის ღრმა ანალო-

გია და ურთიერთკავშირი არსებობს.“

აქედან მეტყველების იმ დარღვევებამდე მივდივართ, რომლებიც აღარ აღიქმებიან როგორც მცდართქმა, რადგან არა უპრალოდ ცალკეულ სიტყვას, არამედ მთელი ფრაზის რითმსა და მიმდევრობას მოიცავენ, როგორც, მაგალითად, უხერხულობაში ენის დაბმა და წაბორძიკება. მაგრამ აქაც და იქაც ეს რაღაც შინაგანი კონფლიქტია, რომელიც მეტყველების დარღვევაში ვლინდება. არა მგონია, ვინმეს რაიმე წასცდეს მის აღმატებულებასთან აუდიენციის დროს, სერიოზული სასიყვარულო პაემანის დროს, ნაფიცთა წინაშე ღირსებისა და სახელის დასაცავად წარმოთქმული სიტყვის დროს, მოკლედ, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პიროვნება მთლიანად ჩართულია. სტილის შეფასებისასაც, როგორითაც ავტორი წერს, შეგვიძლია და მიჩვეული ვართ, ახსნის ის პრინციპი გავატაროთ, რომელსაც მეტყველების თითოეული შეცდომიდან დასკვნის გამოყვანისასაც კივერველევით. წერის ცხადი და არაორაზროვანი მანერა გვეუბნება, რომ აქ ავტორი თავის თავთან სრულ თანხმობაშია, ხოლო სადაც ნაძალადევ და ნატანჯ წინადადებას ვპოულობთ, ისეთს, რომელიც, როგორც ამბობენ, მეტს გულისხმობს, ვიდრე ამბობს, აქ შეგვიძლია რაიმე არასაკმარისად დასრულებული, რთული აზრის მონაწილეობა ან და ავტორის მიერ თავის კრიტიკის გაგუდული ხმა შევიცნოთ.<sup>21</sup>

## თავი მეექვა

### მცდარკითხვა და მცდარწერა

ის, რომ კითხვის და წერის დროს დაშვებული შეცდომებისათვის იგივე თვალსაზრისები და შენიშვნებია ქმედითი, რაც მეტყველების შეცდომებისათვის, ამ ფუნქციათა შინაგანი ნათესაობის ფონზე გასაკვირი არ არის. მე აქ იმით შემოვიფარგლები, რომ ყურადღებით გაანალიზებული რამდენიმე მაგალითი გადმოგცეთ, და არ შევეცდები, მოვლენათა მთლიანობა მოვიცვა.

#### ა) მცდარკითხვა

1) ყავის სახლში „ლაიპციგური ილუსტრირებულის“ ერთი ნომერი გადავშალე, რომელიც ირიბად მიჭირავს, და ამ გვერდზე გადაჭიმული სურათის სათაურად ვკითხულობ: საქორწილო ზემინი ოდისეაში. ყურადღება გამახვილებული და გაოცებული ფურცელს სწორად ვიჭერ და ვას-წორებ: საქორწილო ზემინი *an der ostsee*.<sup>22</sup> როგორ მომივიდა კითხვის ეს სულელური შეცდომა? ჩემი აზრები მაშინვე გარბიან რუთის ერთი წიგნისაკენ — „ექსპერიმენტული გამოკვლევები მუსიკალური ფანტომებისა და სხვათა შესახებ“, რომელსაც ბოლო დროს დიდ ყურადღებას ვუთმობდი, რადგან ჩემ მიერ განხილულ ფსიქოლოგიურ პრობლემებს ეხება. ავტორი შემდ-

გომისთვის გვპირდება ნაწარმოებს, რომელსაც „სიზმრის ფენომენის ანალიზი და საფუძველთა კანონები“ ერქმევა. არაა გასაკვირი, რომ მე, რომელმაც ახლახანს გამოვეცი „სიზმრების ახსნა“, უდიდესი დელვით ველი ამ წიგნს. მუსიკალური ფანტომების შესახებ რუთის ნაწერში წინ გამოტანილ სარჩევში ვიპოვე იმ დაწვრილებითი ინდუქციური დასაბუთების წინმსწრები განაცხადი, რომ ძველ ელინურ მითებსა და თქმულებებს მთვარავი საფუძველი თვლემისა და მუსიკალურ ფანტომებში, სიზმრის ფენომენებსა და ასევე დელირიებში აქვთ. მაშინ იმ წამსვე გადავშალე ტექსტი, რომ გამერკვია, დაჰყავს თუ არა მას ოდისევსის ნაუსიკაასთან გაჩენის სცენა, სიშიშვლის ჩვეულ სიზმარზე. ერთმა ჩემმა მეგობარმა მიმითითა გ. კელერის „მწვანე ჰაინრიხში“ ერთ ლამაზ ადგილზე, რომელიც ოდისეის ამ ეპიზოდს ხსნის როგორც სამშობლოსაგან შორს მოხეტიალე მეზღვაურის სიზმრების ობიექტივაციას; მე, ჩემი მხრივ „ექზიბიციურ“ სიზმართან დავაკავშირე (მე-8 გამოც. შ. 170). რუთთან ამის მსგავსი ვერაფერი ვნახე. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პრიორიტეტული აზრები მაწუხებდა.

2) როგორ მივედი იქამდე, რომ ერთ დღეს გაზეთში წამეკითხა: „ევროპაში ფეხით მკასრი“, ნაცვლად მგზავრისა? ამისი ახსნა დიდი ხნის მანძილზე სირთულეებს მიქმნიდა. თუმცა შემდგომი ფიქრები იმაზე მიანიშნებდნენ, რომ დიოგენეს კასრი უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, და ხელოვნების ისტორიაში ცოტა ხნის წინ ალექსანდრეს დროინდელ ხელოვნებაზე წამეკითხა რაღაცეები. ამდენად, არაა გასაკვირი, რომ ალექსანდრეს ცნობილ გამოთქმაზე მეფიქრა: ალექსანდრე რომ არ ვყოფილიყავი, დიოგენედ ყოფნას ვარჩევდიო. ასევე ვინმე ჰერმან ცაიტუნგის შესახებ ამომიტივტივდა რაღაცეები, რომელიც ყუთში ჩაფუთული მოგზაურობდა. მაგრამ ურთიერთკავშირის დასადგენად მეტი ვეღარაფერი ხერხდებოდა, და ვერც ის შევძელი, ხელოვნების ისტორიაში ის გვერდი მეპოვნა, რომელზეც თავის დროზე ის შენიშვნა მომხვედროდა თვალში. მხოლოდ თვეების შემდეგ გამახსენდა ეს განზე გადადებული გამოცანა, და ამჯერად ახსნაც მოჰყვა. მომაგონდა გაზეთის ერთ სტატიაში წაკითხული შენიშვნა იმის თაობაზე, თუ გადაადგილების რა უცნაურ ხერხებს მიმართავენ ადამიანები, რათა პარიზში მოხვდნენ მსოფლიო გამოფენაზე, და იქ, როგორც მახსოვს, ხუმრობით ისიც იყო ნათქვამი, რომ ერთ ბატონს ის განზრახვაც კი აქვს, სხვა ბატონის მიერ გაგორებული კასრით იგოროს პარიზამდე. ამ ხალხს, რა თქმა უნდა სხვა არანაირი მოტივი არ ჰქონდა, გარდა ასეთი სისულელებით ყურადღების მიქცევისა. ჰერმან ცაიტუნგი (გერმანულად ცაიტუნგი გაზეთს ნიშნავს), მართლაც იყო იმ კაცის სახელი, რომელმაც გადაადგილების ასეთი უჩვეულო გზის პირველი მაგალითი აჩვენა. შემდეგ გამახსენდა, რომ ერთხელ ვმკურნალობდი პაციენტს, რომელსაც გაზეთების მიმართ ავადმყოფური შიში ჰქონდა. ეს შიში იყო რეაქცია ავადმყოფურ პატივმოყვარეობაზე — სურვილზე, ენახა თავისი სახელი გაზეთში. ალექსანდრე მაკედონელი ალბათ ერთერთი ყველაზე პატივმოყვარე ადამიანი იყო კაცობრიობის ისტორიაში. იგი ხომ ჩიოდა, რომ ვერსად იპოვიდა მეორე ჰომეროსს, რომელიც მის საგმირო საქმეებს შეასხამდა ხოტბას. მაგრამ როგორ შემეძლო იმაზე არ მეფიქრა, რომ სხვა ალექსანდრე უფრო ახლოს დგას ჩემთან, რომ ალექსანდრე ჩემი უმცროსი ძმის სახელია! მე მაშინვე ვიპოვე უსიამოვნო და განდევნის

საჭიროების მქონე ფიქრი ამ ალექსანდრესთან მიმართებაში და ამის უშუალო მიზეზი. ჩემი ძმა ტარიფებისა და ტრანსპორტის სპეციალისტია, და თავისი სამასწავლებლო საქმიანობისათვის მაღე ერთ კომერციულ უმაღლეს სასწავლებელში პროფესორის ტიტულიც უნდა მიეღო. ასეთივე თანამდებობაზე გადაყვანაზე იგივე უნივერსიტეტში წლების განმავლობაში მეც ვიყავი წარდგენილი, თუმცა უშედეგოდ. დედაჩვენი გაკვირვებას გამოთქვამდა იმაზე, რომ მისი უმცროსი ვაჟი უფრო მაღე ხდებოდა პროფესორი, ვიდრე - უფროსი. ასეთი ვითარება იყო იმ დროს, როცა კითხვის შეცდომისათვის ახსნას ვერ ვპულობდი. მერე ჩემ ძმასთან დაკავშირებითაც წარმოიქმნა სირთულები; მისი შანსები, პროფესორი გამხდარიყო, ჩემსას ჩამორჩა. აქ კი უცებ განმიცხადდა მცდარკითხულის აზრი; ისე გამოვიდა, თითქოს ძმის შანსების შემცირებამ დაბრკოლება მომისხნა. ისე მივექეცი, თითქოს გაზეთში ძმის დანიშვნაზე ვკითხულობდი და ამ დროს თავს ვეუბნებოდი: უცნაურია, რომ ასეთი სისულელებისათვის (როგორიც მისი პროფესია) შეიძლება შენზე გაზეთში დაწერონ! (ე. ი. პროფესორობა მოგანიჭონ). შემდეგ ალექსანდრეს დროინდელი ელინისტური ხელოვნების შესახებ ის ადგილი წვალების გარეშე გადავშალე და გაოგნებული დავრწმუნდი, რომ წინა ძებნის დროს ამ გვერდზე განმეორებით ვკითხულობდი და ყოველ ჯერზე, როგორც რაღაც ნეგატიური ჰალუცინაციის ძალაუფლების ქვეშ, ამ წინადადებას ვახტებოდი. იგი არაფერ ისეთს არ შეცავდა, რაც ახსნაში დამეხმარებოდა, რაც დავიწყების ღირსი იქნებოდა. ვგულისხმობ იმას, რომ წიგნში საჭირო ადგილის ვერპოვნის სიმპტომი მხოლოდ ჩემთვის გზა-კვალის ასარევად იყო შექმნილი. აზრთა კავშირის გაგრძელება იქ უნდა მეძებნა, სადაც ჩემს ძიებას გზაში დაბრკოლება დაუხვდა, ანუ ალექს-ნადრე მაკედონელის შესახებ რაიმე იდეაში, და ამით იგივე სახელის მქონე ძმას რაც შეიძლება საიმედოდ ავცდენოდი. ეს მშვენივრადაც მოხერხდა; მე მთელი ძალისხმევა იმაზე მოვმართე, რომ ხელოვნების ისტორიაში დაკარგული ადგილი მეპოვნა ისევ.

სიტყვა „გადაადგილების“ ორაზროვნება ამ შემთხვევაში ასოციაციური ხიდი იყო ორ კომპლექსს შორის, უმნიშვნელოს - რომელსაც გაზეთის ნოტა ალძრავს — და უფრო საინტერესოს, მაგრამ უსიამოვნოს შორის, რომელიც აქ წასაკითხის დარღვევაში ხდება ქმედითი. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ყოველთვის არ არის ადვილი, კითხვის ამ შეცდომის მაგვარი შემთხვევები ახსნა. ხანდახან ისიც გვიწევს, რომ გამოცანის ახსნა უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადადოთ. მაგრამ რაც უფრო რთულია ახსნის სამუშაო, მით უფრო მოსალოდნელია, რომ ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი ხელშემშლელი ფიქრი ჩვენი ცნობიერი აზროვნების მიერ უცხოდ და წინააღმდეგობრივად შეფასდება.

3) ერთ დღეს ვენის მახლობელი ადგილიდან წერილს ვიღებ, რომელიც თავზარდამცემ ამბავს იუნიკება. ჩემს ცოლსაც მაშინვე ვურეკავ და მოვუნოდებ გაიზიაროს საწყალი ქალბატონი ვილპელმ მ.-ს ასე მძიმედ დაავადება, რომლის გადარჩენის იმედი ექიმებს აღარ აქვთ. მაგრამ სიტყვებში, რომლებითაც წუხილი შევმოსე, რაღაცას ყალბად უნდა ეუღერა, რადგან ჩემი ცოლი ეჭვდება, წერილის ნახვას ითხოვს და დარწმუნებით ამბობს, რომ ასე არ შეიძლებოდა ყოფილიყო იქ დაწერილი, რადგან არავინ მოიხსენიებს ქალს თავისი ქმრის სახელით, და

რომ, ამას გარდა, წერილის ავტორისათვის ქალის სახელი ძალიან კარგად იყო ცნობილი. მე ჩემს აზრს ჯიუტად ვიცავ და სავიზიტო ბარათების იმ მიღებულ ფორმაზე მივუთითებ, როცა ქალი თავისი ქმრის სახელს იყენებს. საბოლოოდ წერილის აღება მიწევს, და ჩვენ მართლაც ვკითხულობთ „საწყალი ბატონი ვ. მ.“, და კიდევ უფრო მეტი, რაც საერთოდ გამომრჩენიდა: „საწყალი ბატონი დრ. ვ. მ.“. ჩემი შეცდომა ერთგვარ სასოწარკვეთილ მცდელობას წარმოადგენს, სამწუხარო ახალი ამბის სიმძიმე კაციდან ქალზე გადავიტანო. არტიკულს, ეპითეტსა და სახელს შორის შეცურებული წოდება არ უხდება იმ მოთხოვნას, რომ აქ ქალი უნდა იგულისხმებოდეს. ამიტომ კითხვის დროის ის საერთოდ ამოვარდა. ხოლო, ამ გაყალბების მოტივი ის კი არ იყო, რომ ქალი ნაკლებად მესიმპათიურებოდა ვიდრე კაცი, არამედ ამ საწყალი კაცის ბედს ჩემი ღელვა სხვა, ახლობელი პიროვნების გარშემო გაემძაფრებინა, რომელსაც ავადმყოფობის ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ჩემთვის ნაცნობი ვითარებები ჰქონდა საერთო.

4) გამაღიზიანებელი და სასაცილოა ჩემთვის ერთი მცდარკითხვა, რომელიც ხშირად მომდის, როცა არდადეგების დროს უცხო ქალაქის ქუჩებში ვსეირნობ. ყველა მაღაზის აბრას ვკითხულობ როგორც ანტიკვარს, თუ ისინი ამას რამენაირად ჩამოგვანან. ამაში კოლექციონერის თავგადასავლის ჟინი ვლინდება.

## ბ) მცდარწერა

1) ფურცელზე, რომელზეც მეტ-წილად სამსახურეობრივი ინტერესის მოკლე დღიური ჩანაწერებია, ჩემდა გასაკვირად, სექტემბრის თვის სწორ თარიღიებს შორის ვპოულობ მცდარწერილ თარიღს — „ხუთშაბათი, 20. ოქტ.“. არ არის რთული ამ ანტიციპაციის, სურვილის გამოხატულების ახსნა. სულ რამდენიმე დღის დაბრუნებული ვარ საშვებულებო მოგზაურობიდან და თავს მზად ვგრძნობ დატვირთული საექიმო საქმიანობისათვის, თუმცა პაციენტთა რიცხვი ჯერ ისევ ცოტაა. დაბრუნებისას ერთი ავადმყოფი ქალბატონის წერილი ვნახე, რომელიც იუნიებოდა, რომ 20 ოქტომბერს მოვიდოდა. როცა დღის იგივე რიცხვი სექტემბერში ჩავინიშნე, ალბათ უნდა მეფიქრა: ნეტა X უკვე აქ ყოფილიყო; აფსუსია მთელი ერთი თვე! და ამ ფიქრებში თარიღი წინ წავნიე. დამრღვევ ფიქრს ამ შემთხვევაში აღმაშფოთებელს ნამდვილად ვერ ვუნოდებთ; სამაგიეროდ, შევნიშნავ თუ არა მაშინვე მომეპოვება ახსნა წერის შეცდომისათვის. მთლიანად ანალოგიურ და იგივენაირად მოტივირებულ მცდარწერას ვიმეორებ შემდეგი წლის შემოდგომაზე. — ე. ჯონსმა თარიღის წერისას დაშვებული მსგავსი შეცდომები შეისწავლა და უმრავლეს შემთხვევაში ადვილად მოტივირებადად აღიარა.

2) ვიღებ „ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის წლიური უნივერსიტეტის“ ჩემ მიერ დაწერილი სტატიის კორექტურას და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული გულმოდგინებით ავტორთა სახელები უნდა შევასწორო, რომლებიც, სხვადასხვა ეროვნული მიკუთვნების გამო, ასოთამწყობს ყოველთვის უდიდეს სირთულეებს უქმნის. ზოგიერთი უცხოდ მუდერი სიტყვა მართლა შესასწორებელია, მაგრამ ერთი სახელი, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ასოთამწყობმა ჩემი

ხელნაწერის საწინააღმდეგოდ შეასწორა, და სრულიად მართებულადაც. კერძოდ, მე „ბურკ-რარდი“ დამენერა, როცა ასოთამწყობმა „ბურკპარდი“ ამოიცნო. ერთი მეანის ნაწერი მე თავად შემექო როგორც დამსახურებული ნაშრომი. არც არაფერი მქონდა მისი ავტორის საწინააღმდეგო, მაგრამ იგივე სახელს ატარებს ასევე ერთი ვენელი მწერალი, რომელმაც ჩემ „სიზმრების ახსნაზე“ უგუნური კრიტიკით გამაბრაზა. თითქოს სახელ ბურკპარდის დაწერისას, რომელიც მეანზე მიუთითებდა, რაღაც ცუდი ვიფიქრე მეორე ბ.-ზე, მწერალზე, ვინაიდან სახელების შეტრიალება საკმაოდ ხშირად, როგორც მცდართქმაში ვახსენე, შეურაცხყოფას ნიშნავს<sup>23</sup>.

4) მცდარნერის როგორც ჩანს უფრო სერიოზული შემთხვევა, რომელიც ასეთივე წარმატებით „წაცდენათა“<sup>24</sup> რიგსაც შეიძლება მივათვალოთ:

განზრახული მაქვს, ფოსტის ბანკიდან 300 კრონის ოდენობის თანხა გამოვიწერო, რომელიც საკურორტო დანიშნულებისათვის მინდა გავუგზავნოიქნასულ ნათესავს. ამასთან ვამჩნევ, რომ ჩემ ანგარიშზე 4380 კრონაა და გადავწყვეტ, ეხლა ეს თანხა მრგვალ 4000 კრონაზე დავიყვანო, რომელიც მომდევნო ხანში ხელშეუხებელი უნდა დარჩეს. მას შემდეგ, რაც ჩეკი მოწესრიგებულად შევავსე და თანხის შესაბამისი ციფრები გამოვკვეთე, უცებ ვამჩნევ, რომ, როგორც მინდოდა, 380 კრონა კი არა, არამედ 438 გამოვიწერე, და შევდრკები საკუთარი ქმედების არასანდობაზე. შეშინებას მალე გაუმართლებლად ვცნობ; მე ხომ ახლა არ ვარ უფრო ღარიბი, ვიდრე მანამდე. თუმცა კარგა ხანი მინევს იმაზე ფიქრი, თუ რომელმა ზეგავლენამ დაარღვია აქ ჩემი პირველადი, ჩემი ცნობიერებისთვის გაცხადების გარეშე. თავიდან არასწორ გზებს ვადგები, მსურს ორივე რიცხვი, 380 და 483 ერთმანეთისგან განვაცალეკვო, მაგრამ არ ვიცი, რა ვუყო ამ განსხვავებას. ბოლოს და ბოლოს, უეცარი მოსაზრება მიჩვენებს ნამდვილ ურთიერთკავშირს — 438 ხომ 4380 კრონის მთლიანი ანგარიშის ათ პროცენტს შეესაბამება! 10 % ფასდაკლება კი წიგნის გამყიდველთან გვაქვს. მახსენდება, რომ რამდენიმე დღის წინ სამედიცინო ნაწარმოებების გარკვეული რაოდენობა, რომელთა მიმართაც ინტერესი დავკარგე, გამოვარჩიე, რათა ისინი წიგნების გამყიდველისათვის შემეთავაზებინა 300 კრონად. მას მოთხოვნა ზედმეტად ძვირად ეჩვენა და დამპირდა, რომ შემდეგ დღეებში საბოლოო პასუხს მეტყოდა. თუ შეთავაზებას მიიღებს, მაშინ სწორედ იმ თანხას ამინაზღაურებს, რომელიც ავადმყოფისათვის უნდა გავცე. არ უნდა უარვყოთ, რომ ეს გაცემა მამწუხრებს. ჩემი შეცდომის გააზრებისას ჩართული აფექტი იმის შიშით უფრო კარგად აიხსნება, ასეთი ხელგაშლილობით არ გავღარიბებულიყავი. მაგრამ ორივე, ამ ფულის გაცემის თაობაზე ღელვა და გაღარიბების მასთან დაკავშირებული შიში ჩემი ცნობიერებისათვის სრულიად უცხოა; ეს წუხილი არ მიგრძვნია, როცა ამ თანხას შევპირდი, და ამის მოტივაცია სასაცილოდ მომეჩვენებოდა. საკუთარი თავისითვის ასეთი სულიერი მოძრაობის მინერას ვერც კი გავბედავდი, პაციენტებთან ფსიქოანალიზის პრაქტიკის მეშვეობით სულიერი ცხოვრების განდევნილ მომენტებში საკმაოდ ჩახედული რომ არ ვყოფილიყავი, და რამდენიმე დღის წინ სიზმარი რომ არ მენახა, რომელიც ასეთივე ახსნას მოითხოვდა.<sup>25</sup>

5) ვ. შტეკელის მიხედვით ვახდენ შემდეგი შემთხვევის ციტირებას, რომლის აუთენტურობაზე თავად ვაგებ პასუხს: „მცდარნერისა და მცდარკითხვის ლამის დაუჯერებელი მაგალითი

მოხდა ერთი გავრცელებული საკვირაო გაზეთის რედაქციაში. მის ხელმძღვანელობას საჯაროდ უწოდეს „მოსყიდვადი“; ახლა საჭიროა, ამის გასაქარწყლებელი და თავდაცვითი სტატია დაიწეროს. ასეც მოხდა — თანაც უდიდესი მხურვალებითა და პათოსით. გაზეთის მთავარმა რედაქტორმა წაიკითხა სტატია, დამწერმაც, რა თქმა უნდა, მრავალჯერ — თვითონ ხელნაწერში, მერე კიდევ ერთხელ — კორექტურაში, ყველა ძალზედ კმაყოფილი იყო. უცებ კორექტორი ჩნდება და ერთ პატარა შეცდომაზე მიუთითებს, რომელიც ყველას გამოპარვოდა. იქ გარკვევით ეწერა: „ჩვენს მკითხველებს მხოლოდ იმის თქმა შეუძლიათ, რომ ჩვენ ყოველთვის ანგარებით ვიბრძოდით საყოველთაო კეთილდღეობისათვის.“ რა თქმა უნდა, „უანგაროდ“ უნდა ეწეროს. მაგრამ ნამდვილმა ფიქრებმა ელემენტარული ძალით გამოაღწიეს ამ პათეტიკურ სიტყვაში.

ვუნდტი იმ ადვილად დადასტურებადი ფაქტის აღსანიშნავ დასაბუთებას იძლევა, რომ ჩვენ უფრო იოლად მოგვდის მცდარნერა, ვიდრე მცდართქმა. „ჩვეულებრივი საუბრის დროს ნებაში არსებული დამთრგუნავი ფუნქცია გამუდმებით იმაზეა მიმართული, რომ წარმოდგენების მდინარება და არტიკულაციის მოძრაობა ერთმანეთის შესატყვისობაში მოიყვანოს. თუ წარმოდგენებს მოყოლილი გამოხატვის მოძრაობა მექანიკური მიზეზებით შენელდება, როგორც წერისას, მაშინ ამგვარი ანტიციპაციები განსაკუთრებით იოლად გვეუფლება.“

იმ ვითარებებზე დაკვირვება, რომლებშიაც მცდარკითხვა წარმოიშობა, ერთი ეჭვის საფუძველს გვაძლევს, რომელიც არ მინდა უხსენებელი დავტოვო, რადგან იგი, ჩემი აზრით, ძალიან ნაყოფიერი გამოკვლევის ამოსავალ წერტილად შეიძლება გამოდგეს. ყველასთვის ცნობილია, თუ რა ხშირად ტოვებს ხმამაღლა კითხვისას მკითხველის ყურადღება ტექსტს და საკუთარ აზრებთან მიდის. ყურადღების ამ გადაცდენის შედეგი არც თუ იშვიათად ისაა თუ კითხვას შეაწყვეტინებთ და გამოკითხავთ, ის საერთოდ ვერ გეტყვით, რას კითხულობდა, ირკვევა, რომ ის ავტომატურად, მაგრამ თითქმის ყოველთვის სწორად კითხულობდა. არა მგონია, რომ კითხვის შეცდომები ასეთ ვითარებებში განსაკუთრებულად იზრდებოდეს. რაღაც ფუნქციებიგან მიჩვეულნი ვართ იმის ვარაუდს, რომ ავტომატურად, ე.ი. ლამის არანაირი ცნობიერი ყურადღების გარეშე, ისინი ყველაზე ზუსტად ხორციელდება. აქედან თითქოს გამომდინარეობს, რომ მეტყველების, კითხვისა და წერის შეცდომების დროს ყურადღების პირობები სხვადასხვანაირად უნდა განისაზღვროს, ვიდრე ეს მოცემული გვაქვს ვუნდტან (ყურადღების გამოთიშვა ან მინებება). ის მაგალითები, რომლებიც გავაანალიზეთ, არ გვაძლევენ იმის უფლებას, რომ ყურადღების კვანტიტატიური შემცირება ვივარაუდოთ; ჩვენ აღმოვაჩინეთ (რაც ალბათ არ არის იგივე) ყურადღების დარღვევა უცხო, პრეტენზიის მქონე აზრის მეშვეობით.

1. ეს არის ის ზოგადი გზა, დაფარული წარმოსახვის ელემენტების ცნობიერებაში ამოსატივტივებლად. შდრ. ჩემი „სიზმრის ახსნა“ (3. გამოცემა, გვ. 71) (სრული თხზ. ტომი II/III).
2. ამ პატარა ანალიზმა დიდი ყურადღება გამოიწვია ლიტერატურაში და გაცხოველებული დისკუსიები მოჰყვა მას. ე. ბლოილერი ცდილობდა სწორედ ამით მათემატიკურად აქსენტიზური ახსნა-განმარტებების დამაჯერებლობა და დასკვნა, რომ ამ პატარა ანალიზს უფრო მეტი დამაჯერებლობა აქვს, ვიდრე ათასობით არასადაცვო სამედიცინო „მიღწევებს“ და რომ იგი თავის განსაკუთრებულ ადგილს მხოლოდ იმის წყალობით დაიმკვიდრებს, რომ ჯერ კიდევ დაჩვეული არ არიან მეცნიერებაში ანგარიში გაუწიონ ფსიქოლოგიურ სინამდვილეს (ეგოცენტრისტულ-მოუწესრიგებელი აზროვნება მედიცინაში და მისი გადალახვა. ბერლინი. 1919).
3. უფრო ზუსტი დაკვირვება ოდნავ ამცირებს კონტრასტს „სინიორელისა“ და ალიქუის ანალიზს შორის ჩანაცვლებით გახსენებასთან მიმართებაში. აქაც, როგორც ჩანს, დავიწყებას თან ახლავს სანაცვლოს წარმოქმნა. როცა მე ჩემს პარტნიორს დამატებით დავუსვი შეკითხვა, დავიწყებული სიტყვის სანაცვლოდ რაიმე სხვა სიტყვა ხომ არ გახსენდება-მეთქი მიპასუხა, რომ თავდაპირველად ცდუნება ვიგრძენი ლექსში ჩამერთო აბ: ნოსტრის აბ ოსსიბუს (ალბათ *a liquis* მსგავსად), და შემდეგ, ეხორიარე განსაკუთრებით მკაფიოდ და ჯიუტად ამეცვიატაო. როგორც სკეპტიკოსმა, დაამატა: ალბათ იმიტომ, რომ ეს ლექსის პირველი სიტყვა იყოო. როცა მე მას ვთხოვე, მაინც მიაქციეთ ყურადღება ეხორიარე-ს ასოციაციას მეთქი, ექსორციზმი დაასახელა. აქედან გამომდინარე, ადვილად შემიძლია ვიფიქრო, რომ ეხორიარე-ს გაძლიერებას რეპროდუქციაში მსგავსი ჩანაცვლებითი წარმოქმნის მნიშვნელობა ჰქონდა. იგივე მოყვებოდა ასოციაციას: ექსორციზმი წმინდანთა სახელებიდან გამომდინარეობს. ამ დროს ეს არის ის წვრილმანი ნიუანსები, რასაც მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ (*P. Wilson: The impereceptible Obvious Revista de Psiquiatria, Lima ianvari, 1922*, კი ხაზგასმით ალინიშნავს, რომ *exoriare*-ს გაძლიერებას საკმაოდ დიდი განმარტებითი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ექსორციზმი საუკეთესო სიმბოლური ჩანაცვლება იქნებოდა აბორტის გზით არასასურველი ბავშვის გაჩენის მოშორების ფიქრის სანაცვლოდ. მე ამ შესწორებას მადლიერებით მივიღებ, რაც არაფრით ზიანს არ აყენებს ანალიზის სავალდებულობას). თუმცა, შესაძლებელია, რომ რაიმე სანაცვლო გახსენება წარმოადგენდეს ტენდენციური, შევიწროებით მოტივირებული დავიწყების მუდმივ, იქნებ მხოლოდ დამახასიათებელ და გამამულავნებელ ნიშანს. ამ ჩანაცვლების წარმოქმნას ადგილი აქვს იქაც, სადაც არ ხდება არასწორი სანაცვლო სახელების ამოტივტივება, იმ ელემენტის გასაძლიერებლად, რომელიც დავიწყებულის მეზობლად იმყოფება. „სინიორელის“ შემთხვევაში მაგალითად, ვიდრე მხატვრის გვარი ჩემთვის მიუწვდომელი იყო, ფრესკების ციკლის და სურათის კუთხეში დატანებული ავტოპორტრეტის ვიზუალური გახსენება ძალზე მნიშვნელოვანია, ყოველ შემთხვევაში, უფრო ინტენსიური, ვიდრე ვიზუალური გახსენების სხვა კვალი, სხვა შემთხვევა, რომელიც ასევე მითითებულია 1898 წლის სტატიაში, ერთ-ერთ ქალაქში უსიამოვნო ვიზიტი მქონდა. დამავიწყდა ქუჩის სახელი, სახლის ნომერი კი შესანიშნავად მახსოვდა, მაშინ, როდესაც ციფრების დამახსოვრება ჩემთვის უდიდეს სირთულესთანაა დაკავშირებული.

4. „სინიორელის“ შემთხვევაში ორივე აზრობრივ წრეში შინაგანი ურთიერთკავშირის არარსებობას სრული დაჯერებულობით ვერ დავუწყებ მტკიცებას, სიკვდილის და სქესობრივი ცხოვრების თემაზე გაძევებული ფიქრების უფრო დეტალური დაკვირვებისას ვაწყდებით იდეას, რომელიც ახლო შეხებაში მოდის ორვიეტოს ფრესკების თემასთან.
5. პატივით შეხვდებიან კი მის მოსვლას,  
ახლა, როცა ყოველ დღეს რაღაც ახალი მოაქვს?  
რადგან თვითონ წარმართია და მისიანებიც,  
ესენი კი ქრისტიანები არიან და მონათლულნიც. (გერმ.)
6. პატივით კი შეხვდებიან მის მოსვლას,  
თუ ძვირად არ დაუჯდა ეს წყალობა. (გერმ.)
7. ახლად აღმოცენებას იწყებს რწმენა,  
და ხშირად ამ დროს სიყვარული და ერთგულება,  
ბოროტ სარეველასავით იძირკვება. (გერმ.)
8. კარგად დააკვირდი,  
ხვალ უკვე ჭალარა იქნება. (გერმ.)  
ჩემმა კოლეგამ ლექსის ამ მშვენიერ ადგილს არამარტო სიტყვათმიმდევრობა შეუცვალა, არამედ აზრობრივი გამოყენებაც. გოგონა ასე მიმართავს თავის საქმროს:

*Meine Kette hab ich dir gegeben:  
Deine Locke nehm ich mit mir fort.  
Sieh sie an genau!  
Morgen bist du grau,  
Und nur braun erscheinst du wieder dort.*

(ჩემი ყელსაბამი შენ გისახსოვრე:  
შენს კულულს შორეთში თან წავიღებ მე.  
კარგად დააკვირდი მას!  
ხვალ შენ უკვე თმაჭალარა იქნები,  
იქ კი კვლავ ძველი იერით მომევლინები.)

9. ფგას ფიჭვის ხე ეულად და სხვ.
10. ძილი ერევა. (გერმ.)
11. თეთრი საბურველით. (გერმ.)
12. ამას ვამტკიცებ ჩემს მიერვე შეკრებილი რამდენიმე მონაცემის საფუძველზე.
13. ვინც დაინტერესებულია ბავშვობის ადრეული წლების მშვინვერი ცხოვრებით, ადვილად მიხვდება უფროსი ძმის მისამართით წაყენებული მოთხოვნის ღრმა პირობითობას. სამ წლამდე ასაკის ბავშვიც კი მიხვდა, რომ ცოტახნის წინ გაჩენილი პატარა და დედის მუცელში გაიზარდა. ამ შემომატებას ის სულაც არ ეთანხმება და ეჭვი აწუხებს, რომ დედის მუცელში შეიძლება კიდევ იმაღებოდნენ სხვა ბავშვები. ყუთი თუ კარადა მისთვის დედის მუცელთან ასოცირდება. ანუ ის მოითხოვს, ჩაახედონ ყუთში და ამ მოთხოვნას თავის უფროს ძმას უყენებს. როგორც სხვა მასალიდან ირკვევა, მამის ნაცვლად ეს ძმა იქცა ოჯახის ახალი წევრის მეტოქედ. სწორედ ამის გამო, გარდა დასაბუთებული

ეჭვისა, რომ გაუჩინარებული ძიძა სწორედ მან გამოკეტა ყუთში, მისკენ არის მიმართული კიდევ ერთი ეჭვი, რომ ახლადმოვლენილი პატარის დედის მუცელში „მოხვედრაშიც“ სწორედ ამ ძმას უნდა ერიოს ხელი. იმედგაცრუების აფექტი, რომელიც ცარიელი ყუთის დანახვას მოჰყვება, ბავშვური მოთხოვნილების ზედაპირული მოტივაციითაა განპირობებული. უფრო ღრმა მისწრაფებისთვის სხვა ადგილის შერჩევაა საჭირო (?). სამაგიეროდ უკანდაბრუნებული დედის სიგამხდრით გამოწვეული უდიდესი კმაყოფილება მხოლოდ ამ უფრო ღრმა შრიდან ხდება სრულად გასაგები.

14. გამოყოფილია ჩემ მიერ (ავტ. შენ.)
15. გამოყოფილია ჩემ მიერ (ავტ. შენ.)
16. კერძოდ, იგი, როგორც გაირკვა, ორსულობისა და ფეხმძიმობისგან თავდაცვის ქვეცნობიერი აზრის ზეგვლენის ქვეშ იმყოფებოდა. სიტყვებით: „დაკეცილი როგორც ჯიბის დანა“, რაც მან სრულიად განზრახ როგორც ჩივილი წარმოსთქვა, მას სურდა დედის მუცელში ბავშვის მდგომარეობა აღწერა. ჩემ მიერ ნათქვამმა სიტყვამ „რნსტ“ მას კერნტნერშტრასეზე ცნობილი ვენური ფირმის სახელი (შ. რნსტ) გაახსენა, რომელიც დაფეხმძიმების საწინააღმდეგო დამცავი საშუალებებით სავაჭრო დაწესებულებად აცხადებს თავს.
17. გერმანულად „კაუფმანი“, *Kaufmann* ვაჭარს ნიშნავს.
18. გამოითქმის როგორც „კლაპერშლანგე“
19. „ჯერ კიდევ ვეძებ ნაშუადლების, უკაცრავად, შუადლემდელ სამუშაოს.“
20. „პოლაკი“ გერმანულენოვან სამყაროში პოლონელის დამამცირებელი სახელია.
21. „ასე გავიცანი ერთი ძალიან ლამაზი და პატიოსანი ქალი მაღალი საზოგადოებიდან, რომელმაც, სამოქალაქო შვებულებაში მყოფ, კარზე ომის საქმეებში ჩართულ ერთ კეთილშობილ მამაკაცთან საუბრისას, მას უთხრა: „გავიგე, რომ მეფემ იმ ქვეყანაში ყ... ხიდი ააფეთქებინა.“ მას სურდა ეთქვა „ყველა“. წარმოიდგინეთ, ცოტა ხნის წინ ქმართან მწოლიარეს, ან და საყვარელზე მფიქრალს, მას ეს სიტყვა ჯერ კიდევ ენაზე ედგა; და ის კეთილშობილი კაცი მისი სიყვარულით აინთო ამ სიტყვის გამო.“  
„ერთი სხვა ნაცნობი ქალბატონი, რომელიც მასზე უფროს მეორე ქალბატონს ემასლაათებოდა და მის მშვენიერებას უქებდა და უდიდებდა, შემდეგ ეუბნება: „არა, მადამ, ამას არ გეუბნებით პირმედაობით“ - პირმოთნეობის თქმის სურვილით, როგორც შენილბა მერქ: წარმოიდგინეთ, ფიქრობდა, რომ ქმრისთვის ეღალატა და ემეძავა.“
22. გერმანული სახელწოდება ბალტიის ზღვისთვის.
23. შეადარეთ თუნდაც „იულიუს კეისარიდან“ შემდეგი ადგილი, III, 3:  
ცინა: სწორედ გეტყვით, მე ცინა მქვიან.  
მოქალაქე: შუა გავგლიჯოთ, მოვკლათ, ეს მოლალატეა!  
ცინა: მე პოეტი ცინა ვარ! (...) მე შეთქმული ცინა არ ვარ. (...)  
მოქალაქე: ეგ სულ ერთია, ცინა ხომ გქვიან. გულიდან სახელი ამოვგლიჯოთ და ისე გავუშვათ.
24. ამ შემთხვევაში ხელის წაცდენის გაგებით.
25. ეს სწორედ ის სიზმარია, რომელიც მოკლე სტატიაში: „სიზმრის შესახებ“, (ნო. VIII ნერვული და სულიერი ცხოვრების სასაზღვრო საკითხები“, ლიოვენფელდისა და კურელას მიერ გამოცემული, 1901. - ეს სრული გამოცემის მესამე ტომშია შესული) პარადიგმად ავიღე.